სამი პოლიტიკური ცენტრი A8
სპეცსამსახურები B4-B5
ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 29 ოქტომბერი, 2002 წელი. №149
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### „დროსაც მოვიგებთ და არჩევნებსაც„

"გაერთიანებული დემოკრატები" წინასაარჩევნო კამპანიას ეკონომიკური ფორუმით და იმედიანი განწყობით იწყებენ. "დროსაც მოვიგებთ და არჩევნებსაც", - აცხადებენ ისინი.

A3

## ეკონომიკა

### „კასტელმა„ მომგებიანი ჯარიმა აიკიდა

შპს "კასტელი საქართველო", რომელიც ცნობილი ლუდების - "არგოსა" და "კასტელის", ასევე სხვადასხვა დასახელების უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანიაა, ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ათასი ლარით დაჯარიმდა. მაგრამ ამ თანხის გადახდა კომპანიისთვის მომგებიანიც კია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯარიმის თავიდან ასაცილებლად "კასტელს" რეალიზაციაში არ უნდა გაეშვა უკვე დაბეჭდილი ლიმონათის ეტიკეტები, რაც, დაახლოებით, 100 000 ლარის ზარალს მოუტანდა კომპანიას.

A4

## უცხოეთი

### ბრაზილიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ბრაზილიის ბევრი ამომრჩეველი ამაზონის მიუვალ ჯუნგლებში ცხოვრობს და დანარჩენი სამყაროსგან მთლიანად იზოლირებულებია. თუმცა, უახლესი ელექტრონული ყუთების მეშვეობით ჩატარებულმა ბოლო არჩევნებმა საკმაოდ დიდი წარმატებით ჩაირა.

A5

## საზოგადოება

### ქუჩის აქციების ბიზნესი

თბილისში, ოფიციალური სტრუქტურების წინ, საპროტესტო აქციის გამართვა და ცენტრალური ქუჩისა თუ გზის გადაკეტვა ერთგვარ მოდად იქცა. ამ ეგრეთ წოდებული მოდის მიმდევრები ძირითადად მრავალშვილიანი დედები და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახები არიან. ამბობენ, ქუჩის აქციებით მათ მშვენიერი ბიზნესი ააწყვეს და აწი შინ რაღა გააჩერებთო.

A6

## სამართალი

### პოლიცია შიდა ქართლში დაწყებული სპეცოპერაციით კმაყოფილია

საქართველოს ხელისუფლებას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ოპერაციის დროს განსაკუთრებული შედეგი კორუფციასთან ბრძოლას მოჰყვებოდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 19 |
| ქუთაისი | 20 |
| ბათუმი | 20 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 19 |
| თელავი | 18 |
| ზუგდიდი | 19 |
| გორი | 14 |
| ახმეტა | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1085 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3475 |
| რუბლი | 0.0682 |

# თბილისის საკრებულოს ირგვლივ კვლავ ქაოსია



ასეთი იყო ვითარება ცესკო-ს სხდომაზე.

*თბილისელები ნელ-ნელა უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ ქვეყნის მთავარ ქალაქს საკრებულო არ ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი ორი თვის მანძილზე მაინც. არც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება, არც თბილისის მერია და არც პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ეს სკანდალი რამენაირად მაინც მოგვარდეს. მეტიც – პარტიათა ნაწილი კვლავ სასამართლოსაკენ იყურება და ნებისმიერ შემთხვევაში გაასაჩივრებს არჩევნების შედეგების იმ ხელახალ ოქმს, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია, ალბათ, ოდესღაც დაამტკიცებს.*

თამარ მჭედლიშვილი

პოლიტიკურ კულუარებში ყველა აღიარებს, რომ თბილისის საკრებულოსთან დაკავშირებით უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები. პოლიტიკოსებს შორის არ მოიძებნება არც ერთი ადამიანი, რომელსაც ეყოფა იმის გამბედაობა, ხმამაღლა განაცხადოს, თითქოს ორი ივნისის არჩევნები მხოლოდ "უმნიშვნელო დარღვევებით წარიმართა". თუმცა, ისიც ცხადია, რომ იმ ქვეყნის დედაქალაქი, რომელსაც დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს, შეუძლებელია, ხუთი თვის მანძილზე თვითმმართველობის გარეშე რჩებოდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოპოზიციას ხელს არ აძლევს შევარდნაძე-აბაშიძის დაპირისპირებაში ჩარევა

ეკა კვესიტაძე

უკვე ორი კვირაა, რაც ქართული პოლიტიკის მთავარი თემა ჯერ სახელმწიფო მინისტრის, მოგვიანებით კი პრეზიდენტ შევარდნაძის წინასაიმპიჩმენტო პროცედურაა. მაგრამ, თუ ელემენტარული ლოგიკით ვიმსჯელებთ და იმპიჩმენტის პროცესის რთულ იურიდიულ მხარეს გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ პარლამენტართა ნაწილის მოთხოვნას ასრულების თეორიული შანსიც კი არ გააჩნია. მაშინ გაუგებარია, რატომ წამოიწყეს დეპუტატებმა ეს თავიდანვე წაგებული თამაში?

იმპიჩმენტის მსხვერპლად ოპოზიციის ნაწილი თავიდან ავთანდილ ჯორბენაძეს "ამზადებდა". მართალია, სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტიც არარეალურად გამოიყურებოდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გათვლა იმაზე მაინც გაკეთდა, რომ, ოპოზიციის ზეწოლის შემთხვევაში, პრეზიდენტი

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნიკოლოზ ბაკაშვილი: "მე "აზოტის" იტერასათვის" გადაცემას არ ვაპირებ"

როგორც ცნობილია, "აზოტი" უკვე ერთი წელია, რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოებას მთლიანად განკარგავს სასამართლო ხელისუფლება და მის მიერ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველი. ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, თავად პრეზიდენტსაც არ ძალუძს, ქარხნის მართვის სადავეები "იტერას" ან თუნდაც სხვა დაინტერესებულ კომპანიას გადააბაროს.

"აზოტის" რეაბილიტაციის მმართველმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა "24 საათს" განუცხადა: **"კანონის მიხედვით, "აზოტის" მთელ ქონებას მე ვმართავ და განვკარგავ, რადგან, იმავე კანონით, ეს უფლებამოსილება მთლიანად ჩემზეა დელეგირებული. მე არ ვაპირებ "აზოტის" "იტერასათვის" გადაცემას."**

მისივე თქმით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შეუძლია, როგორც ქარხნის აქციების მფლობელს, გაყიდოს თავისი წილი, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ფასიანი ქაღალდების მესაკუთრის უფლებამოსილება შეზღუდულია და მართვაში ის მონაწილეობას ვერ მიიღებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ორი ერის ტრაგედია

შოთა უტიაშვილი

სამი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსულმა სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებმა შტურმით აიღეს მელნიკოვის ქუჩაზე მდებარე თეატრის შენობა. უკანასკნელი, მაგრამ არა საბოლოო მონაცემებით, ოპერაციას 50-მდე ჩეჩენი ტერორისტისა და სხვადასხვა ეროვნების 118 უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ყველა გარდაცვლილი, გარდა ორისა, მომწამლავი გაზის ზემოქმედებით არის მოკლული.

დისკუსია იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მელნიკოვის 7 ნომერში და მის ირგვლივ და რამდენად გამართლებული იყო ასეთი მომაკვდინებელი "სპეცსაშუალებების" გამოყენება, სულ უფრო მწვავდება. საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ბოლო წლებში ძალზე დაუნდობელია ტერორისტების წინააღმდეგ, მოსკოვის ტერაქტში დამნაშავეებს ორივე მხარეს ეძებს. დასავლეთის განწყობას, ვფიქრობთ, კარგად ასახავს "ნიუ-იორკ ტაიმსის" სარედაქციო კომენტარი, რომელშიც გაზეთი აცხადებს, რომ დრამის 58-მა საათმა საქვეყნოდ მოსჭრა თავი როგორც ჩეჩნებს, ისე რუსეთის ხელისუფლებას.

რატომ?

გაგრძელება A5 გვერდზე

### რუსეთის რაზმებმა ასეულობით მძევალი გაათავისუფლეს

რუსეთის სპეციალური დანიშნულების ძალებმა მოულოდნელად დაასრულეს 700-მდე ადამიანის სამდღიანი მძევლობა. ასეულობით მძიმედ შეიარაღებულმა ჯარისკაცმა შენობის შტურმი დილის ექვს საათზე დაიწყო.




## შევარდნაძე ოპოზიციისთვის პასუხის გასაცემად მზად არაა და დრო გაჰყავს

*"პროტესტანტი ფრაქციების" მიერ გაწნული სილა საქართველოს პრეზიდენტს დღესაც უპასუხოდ აქვს დატოვებული. არადა, ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც არა მხოლოდ მტრობას, არამედ მეგობრობასაც არავის პატიობდა, ალბათ, ყველაზე კარგად ესმის, რომ ასეთ შეურაცხყოფას ღირსეული პასუხი სჭირდება.*
*პრეზიდენტის უმოქმედობა ნიშანია იმისა, რომ მას უკვე აღარც ძალა შესწევს, აღარც უნარი და აღარც პოლიტიკური ალღო, რომ ბრალდებებს და ზურგშექცევას ადეკვატურად უპასუხოს.*

თამარ ხორბალაძე

პოლიტიკოს ედუარდ შევარდნაძეს ეს ძალიან კარგად ესმის.

ესმის ისიც, რომ "უმადურ" სამწყსოს ვერ დაემუქრება გადადგომით, რადგან ამჯერად აღარავინ დაუჩოქებს და თუ დაუჩოქებს, არა - ხალხი.

ორიოდე კვირის წინ ისიც აღმოაჩინა, რომ "პანკისური წარმატებული ოპერაცია" აღარ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ პრეზიდენტი გამარჯვებული გამოვიდეს პოლიტიკური დაპირისპირებიდან.

დღეს უკვე შიდა პრობლემებში მოხარშული დიდი რუსეთიც ველარ ვარგა იმ საფრთხობელად, რომლითაც შეგიძლია, პოლიტიკური სპექტრიც დააშინო და საზოგადოებაც.

აქცენტების გადატანის ჩვეული მეთოდი, ერთი შეხედვით, გაცვდა.

ამიტომაც წუწუნებდა მთავრობის ბოლო სხდომებზე, რომ მისი მოხსენება არასწორად წაიკითხეს.

ამიტომაც დაავალა სახელმწიფო მინისტრს, რომ სპეციალური მოხსენება დაეწერა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღსრულდეს პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლაში მოხსენიებული "ახალი პროექტი საქართველოსთვის".

"ახალი პროექტი საქართველოსათვის" სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი მცდელობა ბედნიერი მომავლის დახატვისა, რითიც საქართველოს ხელისუფალი ბოლო წლების მანძილზე კვებავს ხალხს, რომელიც უკვე ერთ წელიწადში საარჩევნო ყუთებთან უნდა მივიდეს.

უკვე ორი წელია, რაც საქართველოში ანტიკორუფციული პროგრამები იქმნება.

გასული გაზაფხულიდან იწერება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის გეგმებიც. ბოლო ვადები თავად ხელისუფლებას ოქტომბრის ბოლოსთვის ჰქონდა "მოსაზღვრული". ამ პერიოდში უნდა შესულიყო საქართველოს პარლამენტში მთლიანი აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის გეგმა, რომელიც

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ბი-პი„ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მისალდენის მარშრუტის შეცვლას არ გეგმავს

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ოპერატორი კომპანია "ბი-პი" ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლის საკითხს არც კი განიხილავს. ამის შესახებ გუშინ სახელმწიფო მინისტრს - ავთანდილ ჯორბენაძეს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა მოახსენა. "ბი-პის" მიერ ეს მარშრუტი ინტენსიური მუშაობის შედეგად შეირჩა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის უკვე დამტკიცებულია. ამდენად, ჩვენ მხოლოდ გარემოს დაცვით ღონისძიებებზე შეგვიძლია ვისაუბროთ," – აღნიშნა მან. დევიდ ვუდვორდმა იგივე პოზიცია დააფიქსირა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის დროსაც.*

მაია ურუშაძე

გუშინ სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას, დევიდ ვუდვორდის გარდა, აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმის პრეზიდენტი, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნატიკ ალიევი, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" აღმასრულებელი დირექტორი მაიკლ თაუნსენდი, "ბი-პის" წარმომადგენელი საქართველოში ედ ჯონსონი, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ გუმბერიძე და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურიაც ესწრებოდნენ. დევიდ ვუდვორდის განცხადებით, "ბი-პის" უკვე მზად აქვს ის ცვლილებები, რომელიც საქართველოს მხარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სპეცსამსახურები B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის ვიცე-პრემიერს ახმედ ზაკაევს მიაჩნია, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ამჟამინდელი ეტაპი "პრაქტიკულად შეუძლებელს" ხდის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ჩეჩნეთის კრიზისის დარეგულირების საქმეში შუამავლის სტატუსით მონაწილეობას. "ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, იჩქერიის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა ედუარდ შევარდნაძის შუამავლად გამოსვლის შესახებ თხოვნით მიმართა, რაზეც რუსეთმა კატეგორიული უარი განაცხადა", - განაცხადა ახმედ ზაკაევმა დანიიდან სატელეფონო საუბრისას. მას მიაჩნია, რომ აღნიშნულს რუსეთი არც ახლა დათანხმდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში არსებულმა ჩეჩნურ-ქისტურმა დიასპორამ ორთაჭალაში, პურ-პროდუქტების კორპორაციის შენობაში მდებარე ოფისი დატოვა. გავრცელებული ინფორმაციით, ამის მიზეზი რუსეთის ხელისუფლების ცნობილი განცხადება გახდა იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში "საქართველოს ხელისუფლების ნებართვით, ჩეჩენ სეპარატისტთა ოფიციალური წარმომადგენლობა ფუნქციონირებს". თავად დიასპორის ხელმძღვანელი ხიზრი ალდამოვი ოფისის ამ მოტივით დატოვებას არ ადასტურებს. როგორც მან განაცხადა, პურ-პროდუქტების კორპორაციის შენობის მეხუთე სართულზე მდებარე ოფისში, რომელიც თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა, ამჟამად რემონტი მიმდინარეობს და ჩეჩნურ-ქისტური დიასპორა საქმიანობას, დროებით ალდამოვის საკუთარ სახლში განაგრძობს. ალდამოვი ირწმუნება, რომ რემონტის დასრულების შემდეგ, იგი ძველ ოფისს დაუბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.**. დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურები სამ კვირაზე მეტი ხნის წინ ფლობდნენ ინფორმაციას ევროპაში ჩეჩენ ბოევიკთა შესაძლო თავდასხმის შესახებ, - განაცხადა ტერორიზმის მონიტორინგის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა როლან ჟაკარმა. ცენტრი ფლობდა მონაცემებს, რომელთა თანახმად, "ჩეჩნები თურქეთის გავლით აპირებდნენ გერმანიაში ჩასვლას, მაგრამ ზუსტად არ იყო ცნობილი, გეგმავდნენ თუ არა ტერაქტს, ამ აქციას ექნებოდა თუ არა კავშირი "ალ ქაიდასთან", ისინი გერმანიაში გამოჩნდებოდნენ თუ ევროპის სხვა ქვეყანაში". "ამასთან დაკავშირებით ვსვამ კითხვას, ეს ჩეჩნები ხომ არ დაიყვნენ რამდენიმე ჯგუფად, შესაძლოა, ერთი ჯგუფი მოსკოვისკენ გაემართა, მეორე კი - ევროპაში," - აღნიშნა ჟაკარმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვში გამართულ დსთ-ს ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრთა შეხვედრაზე საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ინიციატივამ სომხეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების პარალელური მუშაობის აუცილებლობის შესახებ, ამ ორი მოდავე ქვეყნის ენერგეტიკის თავკაცები მეტად გააცხარა, თუმცა, როგორც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რუსეთმა მირცხულავას წინადადებას მხარი დაუჭირა, რაც აისახა კიდეც „თანამშრომლობის შესახებ“ მინისტრების მიერ ხელმოწერილ შემაჯამებელ ოქმში. ამ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის გამო, სომხეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების პარალელური მუშაობა ვერ ხერხდება, რაც კავკასიის რეგიონში ვერ უზრუნველყოფს ენერგოსისტემის მდგრადობას და, შესაბამისად, რეგიონის ენერგოუსაფრთხოებას. დღეისათვის სომხეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემები მხოლოდ ცალ-ცალკე უკავშირდება საქართველოს, რაც სისტემის მდგრადობისთვის არასაკმარისია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ინგუშეთი.** ჩეჩენი ბოევიკების და უცხოელ დაქირავებულ მებრძოლთა მრავალრიცხოვანი დაჯგუფება კიდევ ერთხელ შეიჭრა ინგუშეთის ტერიტორიაზე. ზონაში, სადაც დაჯგუფება აღმოაჩინეს, უკვე დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, ბრძოლების დროს ერთი რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ორი კი, დაიჭრა. შვიდი ბოევიკი განადგურებულია. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ დაკონსერვებული კონფლიქტების მოგვარების გარეშე, რთულია მთლიანად კავკასიის რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლაში გამარჯვებაზე საუბარი. "მოუგვარებელი კონფლიქტები - ეს ის წყაროებია, რომლითაც ტერორიზმი იკვებება. აფხაზეთის კონფლიქტი, რომ არ ყოფილიყო, ჩეჩნეთის პრობლემაც არ წარმოიქმნებოდა", - აღნიშნა მან. თედო ჯაფარიძემ წუხილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთში, "აფხაზეთის კონფლიქტს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ, როდესაც ჩეჩნეთის პრობლემას ტერორიზმს უწოდებენ". მისი თქმით, აფხაზეთის საკითხის საბოლოოდ დარეგულირება რეგიონში მთლიანად ტერორიზმის დამარცხებას დაეხმარებოდა. მისთვის ასევე, გაუგებარია "რუსეთის სამთავრობო სტრუქტურათა" პოზიცია, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოსახლეობას მასიურად რუსეთის მოქალაქეობას ანიჭებენ. მისი განცხადებით, "რუსეთის პასპორტების დარიგება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყველა მოსახლისათვის შეიძლება, თუმცა, საქართველოსათვის ამ ტერიტორიების წართმევა არვის ძალუძს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის ხელისუფლება რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობას კოდორის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველო-აფხაზეთის საზღვართან მუდმივი სამეთვალყურეო საგუშაგოს გახსნას სთხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება აქ შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეიცვალოს, აფხაზურ არმიას შეიძლება კვლავ თავს დაესხას ჩეჩენ ბოევიკთა ბანდები, განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ. მისი აზრით, კოდორის ხეობის ჩრდილო-აღმოსალეთი ნაწილში საჭიროა რუსეთის სამშვიდობო ძალების მუდმივი სამეთვალყურეო საგუშაგო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სკოლებს ელექტროენერგიას პარავენ. აღნიშნული განცხადებით მერიაში გამართულ თათბირზე განათლების მეურნეობის სამსახურის უფროსი მიხეილ სტურუა გამოვიდა. მისი თქმით, იმის გამო, რომ თელასის მიერ სკოლებში ახალი მრიცხველების შენობიდან მოშორებით დამონტაჟებამ, დახარჯული ელექტროენერგიის ზრდა გამოიწვია. გამოითქვა ვარაუდი, რომ მრიცხველს უკანონოდ მიუერთდნენ ახლომდებარე სავაჭრო ობიექტები. სტურუა და სკოლების დირექტორები ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთადერთ გზას მიიჩნევენ - დაუყოვნებლივ მოხდეს მრიცხველების სკოლის შენობაში გადმოტანა, რისი გაკონტროლებაც შესაბამის სამსახურებს დაევალებათ. **კავკას-პრესი.**

# პარლამენტის ბიუროს "კანონგარეშე" სხდომაზე

*პარლამენტის ბიუროს სხდომა, კვორუმის არარსებობის გამო, გუშინ არ ჩატარდა. უფრო ზუსტად, სხდომა კი გაიმართა, მაგრამ, ზემოაღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, მას არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა და, ამდენად, რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა.*
*იმაში, რომ კვორუმის მიზეზით სხდომების (როგორც პლენარულის, ისე ბიუროს) ჩაშლამ პარლამენტში სისტემატური ხასიათი მიიღო, დეპუტატები ... რეგლამენტს ადანაშაულებენ და მის გადასინჯვას ითხოვენ.*



*პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.*

გიორგი ასანიშვილი

ბიუროს გუშინდელი "კანონგარეშე" სხდომის დიდი ნაწილი 23-26 ოქტომბერს მოსკოვში დატრიალებულ ტრაგედიაზე მსჯელობას დაეთმო. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატას მან უკვე გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა, ხოლო ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა კოლეგებს დაწვრილებით მოუთხრო ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქში მისი ვიზიტის შესახებ.

საერთო თანაგრძნობის ტონთან ერთად, გაკეთდა მკვეთრი განცხადებებიც. მაგალითად, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ **"რუსეთის ხელისუფლებამ ლოკალური მიზნების მისაღწევად საკუთარი ხალხი ამოხოცა".** იგი აგრეთვე იხსენებს ტერაქტის მიმდინარეობისას გავრცელებულ ცრუ ინფორმაციებს თეატრის შენობიდან საქართველოს დროშების გადმოფენის თუ ტერორისტების მიერ ქართველი და აფხაზი მძევლების გათავისუფლების შესახებ და მოითხოვს, ამგვარი ცილისწამებების პასუხად ქართულმა მხარემ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანოს.

**"ასეთი ტყუილებისთვის ვიღაც-ვიღაცეებს ენა უნდა წაეჭრას",** - დასძენს ბარამიძე.

რუსული მასმედიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის ირგვლივ ისაუბრა დავით გამყრელიძემაც. მან, კერძოდ, ის შემთხვევა გაიხსენა, როდესაც რუსეთში აგორდა ხმები პარლამენტის თავმჯდომარის მამის, ბატონ ანზორ ბურჯანაძის მიერ, ვითომდა, საქართველოში ჩეჩნეთის "წარმომადგენლობის" დაფინანსების თაობაზე. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის აზრით, **"ეს უფრო მეტად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პიროვნული შეურაცხყოფაა და იგი უპასუხოდ არ უნდა დარჩეს".**

გამყრელიძის ამ მოსაზრებას ბიუროზე დამსწრე თითქმის ყველა პარლამენტარი დაეთანხმა, მაგრამ რუსეთთან დამოკიდებულების გამწვავება თავად ნინო ბურჯანაძემ არ ისურვა.

**"მართებული არ იქნება, რომ რუსეთის ხელისუფლების კრიტიკა დავიწყოთ, საკუთარ ხალხს უდიერად ექცევაო. ამის გაკეთება მით უფრო არასწორია ახლა, როდესაც მეზობელ ქვეყანაში გლოვაა გამოცხადებული",** - სპიკერის ამ განცხადებამ რუსეთის "საშინაო საქმეებში ჩარევის" მსურველთა ემოციები დააცხრო.

■ ■ ■

უახლოეს მომავალში საქართველოს დიპლომატიურ კორპუსში გარკვეული გადაადგილებებია მოსალოდნელი. პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ ბიუროს სხდომაზე დაბრუნებულმა ნინო ბურჯანაძემ დეპუტატებს აცნობა, რომ ნავარაუდევია საბერძნეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ალექსანდრე ჩიკვაიძის შვეიცარიაში გადაყვანა, ხოლო მის ადგილზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ზვიად ჭუმბურიძის კანდიდატურა განიხილება.

ნინო ბურჯანაძისავე თქმით, ამ კვირაში პარლამენტში მოისმენენ გენერალური პროკურორის ინფორმაციას "რუსთავი-2"-ის გადაცემა "60 წუთში" მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ფართომასშტაბიან კონტრაბანდას შეეხებოდა.

■ ■ ■

თვითმმართველობის არჩევნებზე მომხდარი დარღვევების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე, პარასკევს გამართული პლენარული სხდომის მიმდინარეობის დროს, რიგი საპროცედურო საკითხების დარღვევაში დაადანაშაულა.

მისი ბრალდება უპასუხოდ დიდხანს არ დარჩენილა. **"ზაქარია ცუდ გზას დაადგა. მან ერთხელ უკვე წაიმტვრია ცხვირი საკრებულოში. მის პრეტენზიებს საფუძველი არ გააჩნია. იგი თავად იყო მონდომებული, რომ ჩავარდნილიყო დადგენილება საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ და ახლა ცდილობს, ეს მე გადმომაბრალოს",** - აცხადებს გიგი წერეთელი.

გიგი წერეთელი ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, სადაც ამერიკელ პარტნიორებთან, ძირითადად, საქართველოში ელექტრონული სისტემით არჩევნების ჩატარების დაფინანსებაზე ექნება საუბარი.

# „როცა ქვეყნის სათავეში მოვალთ, ხელისუფლებას ზვიადის მთავრობას გადავცემთ„

**"პრეზიდენტი აღარ არის, ახლა თქვენი იმედი გვაქვს, ბატონო გურამ, მოგვაშორეთ თეთრი მელა,"** – ეხვეწებოდნენ ყრილობის მონაწილეები აბსანძეს. ყრილობის შემდეგ ექს-ფინანსთა მინისტრმა ამაყად განაცხადა, რომ საქართველოში სოფელი არ დარჩენილა, გუშინდელ ყრილობაზე თავისი წარმომადგენელი არ გამოეგზავნოს. მისი თქმით, სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრას 7 ათას 349 ადამიანი დაესწრო.

მამა ზაქარიას ლოცვა-კურთხევისა და "მამაო ჩვენოს" ერთხმად წარმოთქმის შემდეგ, ყრილობის მონაწილეებმა საქართველოს ჰიმნი შეასრულეს, თანაც ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრებისგან განსხვავებით, ჰიმნის სიტყვები თითქმის არავის არ შეშლია. **"რას ამბობთ, გოგონა, საქართველოს ჰიმნს რა დამავიწყებს, ზვიადის დროს თითქმის ყველა მიტინგზე ვასრულებდით... მას შემდეგ დღეს პირველად ვიგრძენი, რომ ეროვნული სული ქართველებში კიდევ ცოცხლობს, შევარდნაძემ იგი ვერ ჩაკლა,"** – გვიპასუხა ერთმა ქალბატონმა, რომელიც მღელვარებისგან ტიროდა.

ეროვნული თანხმობის მიღწევა – ეს არის ის ძირითადი საკითხი, რომელსაც ახლადშექმნილი კავშირი პრიორიტეტულად აღიარებს. აბსანძის თქმით, ეროვნული თანხმობა არ ნიშნავს ხელისუფლებასთან შერიგებას, რასაც მისი კავშირი არასდროს დათანხმდება. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, გურამ აბსანძე საკუთარ მხარდამჭერებს "შევარდნაძის მიზეზით გაჩანაგებული ეკონომიკის" აღდგენას ჰპირდება. "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, გაუქმდება ასევე ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც არსებულმა ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების "ვითომდა გადასაწყვეტად" გააფორმა, აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზეთიდან დევნილები დაუბრუნდებიან საკუთარ მიწა-წყალს, ხალხს დაუბრუნდება ის ქონება, რომელიც "შევარდნაძემ და მისმა მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებმა მიითვისეს.

გუშინდელ ყრილობაზე "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" თავმჯდომარედ გურამ აბსანძე გამოცხადდა. აირჩიეს პოლიტიკური საბჭო, სადაც საკუთარი ადგილი იპოვეს უზენაესი საბჭოს ვიცე-სპიკერმა ნემო ბურჭულაძემ, უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ვალტერ შურღაიამ, ცნობილმა მსახიობმა ოთარ კობერიძემ და სხვებმა.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გურამ აბსანძის პოლიტიკური კავშირი მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობა. ამ უკანასკნელის შეცვლის ბერკეტები კი აბსანძეს აქვს. ის ქუჩაში ათასობით მხარდამჭერს გამოიყვანს და ხელისუფლებას საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას აიძულებს. **"ჩვენ ამის გამოცდილება გაგვაჩნია. ქუჩაში გამოვალთ, გზებს გადავკეტავთ და საარჩევნო კანონმდებლობას მაინც შევაცვლევინებთ,"** – არ ხუმრობს ექს-ფინანსთა მინისტრი. არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ კავშირის შემადგენლობაში მყოფი ზვიად გამსახურდიას უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: **"როცა ჩვენი კავშირი გაიმარჯვებს და ქვეყნის სათავეში მოვალთ, ხელისუფლებას ზვიადის მთავრობას გადავცემთ,"** – პირობას იძლევა აბსანძე, რომელიც საკუთარი კავშირის პირველი ყრილობით ძალიან კმაყოფილია.



*ზვიადისტები ქუჩაში გამოსვლით და გზების გადაკეტვით იმუქრებიან.*

გამსახურდიას დროინდელი ფინანსთა მინისტრის წარმატება არ გაუხარდა მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და მის მომხრეებს. გუშინ არჩვაძის მომხრეების მცირე ჯგუფი ყრილობის დაწყებამდე სპორტის სასახლესთან გურამ აბსანძის მანქანის გამოჩენას ელოდებოდა. აბსანძე შენობაში დაცვის თანხლებით შევიდა. **"შეხედე, როგორ ეშინია, მშიშარაა..."** –მიაძახეს მას არჩვაძის მომხრეებმა. სპორტის სასახლეს გაძლიერებულად იცავდნენ პოლიციელები, მათ შორის - თბილისის პოლიციის უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძეც, რომელმაც "24 საათთან" საუბარში განმარტა, რომ შენობას სწორედ არჩვაძის მომხრეთა შესაძლო თავდასხმისგან იცავს. საბოლოოდ, ყრილობამ ექსცესების გარეშე ჩაიარა.

## ტერაქტი

# მოსკოვში გრძელდება "ასე ცხოვრება"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

"მძევალთა გამოყვანა სპეცოპერაციაზე უარესად იყო განხორციელებული – შტურმის დროს ამდენი ტელეკამერა იქ არ უნდა ყოფილიყო," - მიიაჩნია კრემლის მთავარ იდეოლოგს გლებ პავლოვსკის. ამის მიუხედავად, ჟურნალისტებმა მაინც სერიოზულად იმუშავეს. სხვა საქმეა, რამდენად იყვნენ ისინი დაცულნი.

შტურმამდე რამდენიმე საათით ადრე, საგანგებო შტაბის წარმომადგენელი მივიდა "ნტვ"-ს კორესპონდენტ მიხეილ კოლცოვთან და გადასცა ტერორისტთა თხოვნა, შენობაში შესულიყვნენ და ინტერვიუ ჩაეწერათ. ოპერატორთან ერთად მიხეილი შენობისაკენ დაიძრა. შტაბიდან მათ პამპერსებითა და ტუალეტის ქაღალდებით სავსე ყუთები გაატანეს. ინტერვიუ ტელეარხმა არ უჩვენა, რადგანაც იგი არ შედგა. მოვსარ ბარაევთან ინტერვიუ, რომლის დემონსტრირებაც ხდებოდა, ჩაიწერა ამერიკულმა ტელეკომპანიამ; ხოლო პროგრამა "ნამედნის" ეთერში კოლცოვმა განაცხადა, რომ რუს ჟურნალისტებს სინამდვილეში იქ არავინ ელოდა, პირიქით, რეპორტიორის ვიზიტმა ტერორისტები გააცხარა. "ნტვ ბოლო დროს გაფუჭდა", - უთქვამს კოლცოვისათვის ბარაევს. ორმოცი წუთი ყურყუტის შემდეგ ჟურნალისტებმა შენობა დატოვეს და მხოლოდ უკანა გზაზე გაიაზრეს ბოლომდე, რომ შემთხვევით გადარჩნენ სიკვდილს.

როცა კრემლმა ჩეჩნეთში პოლიტიკურ დარეგულირებაზე საუბარი და მასხადოვთან მოლაპარაკებებისთვის გზების ძიება დაიწყო, სწორედ მაშინ აღდგა მკვდრეთით მოვსარ ბარაევი და ტერაქტი მოაწყო. მსგავსი "რეანიმაციის" საიდუმლო მხოლოდ მან იცის, ვინც რამდენჯერმე უპატაკა პრეზიდენტ პუტინს ტერორისტის განადგურება და ვინც თეატრის შენობამდე მშვიდობიანად მიიყვანა საბრძოლო არსენალით დატვირთული მიკროავტობუსი. ერთი სიტყვით, გარკვეულმა ძალებმა ეს პროცესი ჩაშალეს - ასეთია ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია, რომელსაც მხარს უჭერენ რუსეთის მემარჯვენე ძალებიც.

მოსკოვში აშშ საელჩო რუსეთის ხელისუფლებისაგან ითხოვს შტურმის დროს გამოყენებული მომწამვლელი ქიმიური გაზის ფორმულის დასახელებას, რაც მედიკოსებს ავადმყოფთა მკურნალობას გაუადვილებდა. მოსკოვის მთავარი ტოქსიკოლოგი პროფესორი ფიოდოროვი მიიჩნევს, რომ, რადგანაც ქიმიური იარაღის გამოყენება საერთაშორისო ნორმებით აკრძალულია, ხელისუფლება ვალდებულია, დაასახელოს დაღუპულთა ზუსტი რიცხვი და პრეპარატის ქიმიური ფორმულა.

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები განაგრძობენ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მაღალპროფესიონალურ დონეზე ჩატარებული ოპერაციისათვის ხოტბის შესხმას. ამასთანავე, ხელისუფლება ცდილობს, ინფორმაციული წნეხის ქვეშ მოაქციოს ისედაც ტრამვირებული საზოგადოება. რადიო "ეხო მოსკვი" რჩება ლამის ერთადერთ პირუთვნელ საინფორმაციო წყაროდ, რომელზე შეტევაც კრემლს, როგორც ჩანს, სერიოზულად განზრახული არ აქვს, რადგანაც საერთაშორისო საზოგადოების თვალში დემოკრატიზმის ერთი სიმბოლო მაინც სჭირდება.

### ჭიპაშვილის ბაბუამ ნერვიულობას ვერ გაუძლო

28 ოქტომბერი მოსკოვის სკოლებში, შტურმის დროს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, წუთიერი დუმილით დაიწყო. მოსკოველი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისინი გმობენ ხელისუფლების ასეთ საქციელს, თუმცა, იქვე მიუთითებენ, რომ რუსეთში კავკასიელების ადგილი არ არის - ყველამ თავის სამშობლოში უნდა იცხოვროს.

საავადმყოფოებში მოთავსებულ მძევალთა აბსოლუტური უმრავლესობა უარს აცხადებს პრესასთან კონტაქტებზე მას შემდეგ, რაც მათთან რუსეთის სპეცსამსახურებმა და პროკურატურის წარმომადგენლებმა "წინასწარი მუშაობა" ჩაატარეს.

მე-13 კლინიკური საავადმყოფოს მეორე ქირურგიული განყოფილებიდან მალე გამოწერენ სპეცოპერაციის დროს დაზარალებულ 15 წლის ქეთევან ჭიპაშვილს. იგი ახლობლებს ეუბნება, რომ გაზის ზემოქმედების შემდეგ ჩაეძინა და ავტობუსში გამოეღვიძა, თავს კარგად გრძნობს, მაგრამ არაფერი ახსოვს.

მოსკოვის მე-13 საავადმყოფოსთან გუშინ დილით მისულ 200-მდე მშობელს გამოუცხადეს, რომ ავადმყოფებთან მუშაობა გამომძიებლებს არ დაუმთავრებიათ.

**ლარისა, 54 წლის**: "ჩემი ბიჭი, იგორი, ქირურგიულში წევს. აცხადებენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ერთი დაიღუპა, იქ კი ასამდე კაცი წევს დაჭრილი. მთავარი დიაგნოზი მოწამვლაა, მაგრამ ბევრი, თურმე, ფანჯრიდან ხტებოდა და ფეხები აქვთ დამტვრეული."

**ირა კუმანოვას დედა**: "ირას ქმარმა აჩუქა "ნორდ-ოსტის" ბილეთი. დაბადების დღე ჰქონდა. ღმერთო ჩემო, ბარაევის პირისპირ ჩემი ირა იდგა!"

საავადმყოფოსთან არ ჩანს ქეთინო ჭიპაშვილის დედა.

ტელეფონით ვუკავშირდები. როგორ არის საქმე, - ვეკითხები. ცუდად, - მპასუხობს. რა მოხდა, ბავშვი ხომ კარგადაა?

"თბილისში მამა გარდამეცვალა... მაღაზიაში წასულა და ქუჩაში დავარდნილა, - ამბობს ლილი ჭიპაშვილი, - გული აწუხებდა, ნერვიულობას კი ვერ გაუძლო, ხვალ თბილისში მივფრინავ."

ქეთინოსთან ვინ რჩება, - ვეკითხები. მეგობრები, - მპასუხობს დაბნეული და გამშრალი.

-არ მესმის, რატომ არ მიშვებენ შვილთან, რომელიც სიკვდილის პირასაა? - კითხულობს საავადმყოფოს წინ კარგად ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი. ქართული გაზეთისათვის ინტერვიუს ვთხოვ. "ქართული გაზეთისათვის მხოლოდ დედის გინება მემეტება", - უხეშად მპასუხობს.

საავადმყოფოსთან პორტრეტებით ხელში დგანან უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მშობლები. ტირიან. ლაპარაკი არავის უნდა. მოსკოვში გლოვის დღეა...

### მთავარი საფრთხეა ნაციონალიზმის აფეთქება რუსეთში

პოლიტიკოსები პირველ კომენტარებს აკეთებენ.

**ლილია შევცოვა**, მოსკოვის კარნეგის ცენტრის პოლიტოლოგი:

- მომავალი ტერაქტები თავიდან რომ ავიცილოთ, ხელისუფლებას არ უნდა დაეუფლოს გამარჯვებულის ეიფორია. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები ჩეჩნეთის წარმომადგენელთა ფართო სპექტრთან, მათ შორის - მასხადოვთან. მასხადოვი მთავარი ფიგურაა, იგი ორმაგადაა ლეგიტიმური, რადგანაც კანონიერად არჩეული პრეზიდენტია და მასთან ელცინი მოლაპარაკებებს მართავდა. ჩეჩნეთის მხარესთან მოლაპარაკებებში უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ასე მოიქცა ბრიტანეთი, როცა ვერ შეძლო ირლანდიელ მებრძოლებთან მოლაპარაკება.

ყველას დააკმაყოფილებდა ჩეჩნეთის ფართო ავტონომია. რუსეთთან მას ერთიანი ფულადი და ეკონომიკური სივრცე უნდა აკავშირებდეს.

ყველაზე მწვავე საკითხია რუსი ჯარისკაცების დაღვრილი სისხლი. საზოგადოებას ხელისუფლებამ უნდა აუხსნას, რას შეეწირა ორივე ჩეჩნური კამპანიისას ათასობით ახალგაზრდა ჯარისკაცის სიცოცხლე?

ახლა მთავარი საფრთხე ნაციონალიზმის აფეთქებაა, რაც ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას. დამაფიქრებელია, რომ ნაციონალისტურ პოზიციას ხელისუფლების წარმომადგენლები ახმოვანებენ.

**გიორგი სატაროვი**, ფონდ "ინდემის" პრეზიდენტი:

-ეს კონფლიქტი გადაიზარდა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების საშინელ "კონსტანტაში". მელნიკოვის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია უბიძგებს ხელისუფლებას, უფრო სერიოზულად გადაჭრას ჩეჩნეთის პრობლემა და მშვიდობიანად გამოვიდეს პოლიტიკური ჩიხიდან. მე მხედველობაში მაქვს კონტრტერორისტული ოპერაცია ჩეჩნეთში. 23 ოქტომბრის შემდეგ საზოგადოებრივი შემეცნება შეიცვლება დადებითი მიმართულებით - მშვიდობის ძიების გზით.

### "ასე ცხოვრება აღარ შეიძლება"

დუბროვკაზე დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა საჯარო ბოდიშის სიტყვა რომ წარმოთქვა, პრინციპულად არ ახსენა ჩეჩნეთი - მთავარი მიზეზი, რამაც სისხლიანი "ნორდ-ოსტი" აჩუქა რუსეთს. ჩეჩნეთში ომის დამთავრებაზე მოსკოვში ისევ არავინ ლაპარაკობს. პირიქით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პროტესტს უცხადებს დანიის საელჩოს კოპენჰაგენში ჩეჩნების ფორუმის გამართვის გამო.

მოსკოვი დღევანდელი კოშმარით ცხოვრობს. ასე ცხოვრება კი მართლა აღარ შეიძლება: როცა არ იცი, სად ჩაახრჩობენ შენს სიმწრით გაზრდილ შვილს; როცა შინიდან გასულ ბავშვს პირჯვარს წერ, იგი კი დაგცინის და ფსიქოპატს გეძახის. შეიძლება, ხელისუფლებასაც ეს ნებავს, რაც შეიძლება მეტი ცინიკოსი და მეტი ფსიქოპატი ჰყავდეს. შავთმიანებზე ნადირობას ჯიბეში ჩაცურებული ნარკოტიკიც შეიძლება მოჰყვეს. არავინაა დაზღვეული.

"ნეტავ, ჩვენი სკოლა ტერორისტებმა აიღონ!" - ნატრულობს მეზობლის ბავშვი.

მოსკოვში გრძელდება "ასე ცხოვრება"...

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „დროსაც მოვიგებთ და არჩევნებსაც"

*"გაერთიანებული დემოკრატები" წინასაარჩევნო კამპანიას ეკონომიკური ფორუმით და იმედიანი განწყობით იწყებენ. "დროსაც მოვიგებთ და არჩევნებსაც", - აცხადებენ ისინი.*

ვერიკო თევზაძე

**"დღეიდან ვიწყებთ იმ დოკუმენტზე მუშაობას, რომელიც ექვსი თვის შემდეგ, მაისში გამოქვეყნდება - ჩვენს საარჩევნო პროგრამას ერთი ადამიანი როდი დაწერს თავის კაბინეტში. პროგრამის შედგენაში აქტიურად ჩაებმება საზოგადოება, სპეციალისტები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც ჩვენი პარტიის მხარდამჭერები არ არიან, მაგრამ საქმე კარგად იციან",** - გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" კვირეული, ანუ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

"დემოკრატები" აცხადებენ, რომ ქვეყნის მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელია ეკონომიკური პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ უნდა განაპირობოს ჩვენი დამოკიდებულება განათლებისა თუ ჯანდაცვის სფეროებისადმი, განსაზღვროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და, საერთოდ, ნებისმიერი სფეროს განვითარება. აქედან გამომდინარე, ჟვანიას გუნდი საარჩევნო სამზადისს ეკონომიკური ფორუმით იწყებს. ღონისძიება თავად პარტიის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გახსნა: **"ფორუმის ამოცანაა, განვსაზღვროთ ის ფუძემდებლური მიმართულებები, რომლებიც უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი. დღევანდელი შეხვედრა დისკუსიის დასაწყისია".**

"დემოკრატების" საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც სამუშაო ხასიათისაა და თეზისების სახით არის წარმოდგენილი, ითვალისწინებს სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას, მარტივი და მოქნილი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას, საბიუჯეტო სისტემის რეფორმას: **"აუცილებლად მიგვაჩნია კრიმინალიზაციის აღმოფხვრა წმინდა ეკონომიკურ ურთიერთობებში. უნდა განვახორციელოთ პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრების სრული კონტროლი. საჭიროა ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის შექმნა, ფალსიფიკაციასთან ბრძოლა. სახელმწიფო სტრუქტურები მინიმალურად უნდა ერეოდნენ მეწარმის საქმიანობაში (დღეისთვის ქვეყანაში არსებობს 40-მდე მაკონტროლებელი სახელმწიფო სტრუქტურა. მათი უფლებამოსილებანი და კონტროლის განხორციელების მექანიზმები გაურკვეველია)... 100 ათას ლარამდე ბრუნვის შემთხვევაში, მეწარმემ, არსებული 21 გადასახადის ნაცვლად, უნდა გადაიხადოს ერთი – ბრუნვის გადსახადი. განსახორციელებელია აგრესიული და ღია სავაჭრო პოლიტიკა შიდა ბაზრის დასაცავად..."**



ირაკლი ლომთაძის ფოტო

*"დღევანდელი შეხვედრა დისკუსიის დასაწყისია."*

ჟვანიას გუნდი აცხადებს, რომ 30-კაციანი ეკონომისტთა და ფინანსისტთა ჯგუფი ექვსი თვის განმავლობაში აქტიურად იმუშავებს ეკონომიკური პროგრამის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად. ისინი გაითვალისწინებენ ყველა ჯანსაღ და მისაღებ შენიშვნას. საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფს კონსულტაციებს გაუწევენ უცხოელი ექსპერტები დასავლეთის წამყვანი საფინანსო და ეკონომიკური ინსტიტუტებიდან. ფორუმზე პირველი შენიშვნა უკვე გამოითქვა. ქართველმა ექსპერტმა იაშა მესხიამ განაცხადა, რომ "დემოკრატების" მიერ წარმოდგენილ სამუშაო პროგრამას კომპლექსურობა აკლია.

დღეს და ხვალ "დემოკრატები" ჩაატარებენ თემატურ ფორუმებს. მათი საპროგრამო თეზისები მოიცავს განათლების, ჯანდაცვის, კულტურის სფეროებს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, აგრარულ პოლიტიკას და ა. შ.

31 ოქტომბრისთვის დაგეგმილია პარტიის ყრილობა. ყრილობაზე ზურაბ ჟვანია გააკეთებს პოლიტიკურ მოხსენებას, რომელიც საფუძვლად დაედება "დემოკრატების" საქმიანობას 2003 წლის არჩევნებისთვის.

1 ნოემბერს გაიმართება პირველი საერთო ეროვნული კონვენტი. მასში მონაწილეობას მიიღებს 10 ათასამდე კაცი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ასე დასრულდება "დემოკრატების" კვირეული, რომელიც, პარტიის გენერალური მდივნის გოკა გაბაშვილის დაპირებით, უკეთესი მომავლის დასაწყისი გახდება: **"ამ კვირით დაიწყება ათვლა ახალი დროისა, როცა დღევანდელ ხელისუფლებას მშვიდობიანი გზით გავისტუმრებთ "შვებულებაში."**

# შევარდნაძე ოპოზიციისთვის პასუხის გასაცემად მზად არაა და დრო გაჰყავს

პირველი გვერდიდან

ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით შექმნილი "ძალოვანთა რეფორმის" პროექტისა და კანცელარიაში მომზადებულ "დანარჩენი ხელისუფლების" რეფორმირების გეგმისაგან შედგებოდა.

პროექტები, ოფიციალური ვერსიით, მზადაა. ძალოვანთა რეფორმის პრეზენტაცია უკვე მოეწყო კიდეც. კანცელარიის პროექტი ანტიკორუფციულ საბჭოშიც მოისმინეს და ხელახალი განხილვა "უახლოესი პერიოდისთვის" დანიშნეს.

ცალკე თემაა, რამდენად მისაღებია და რას გულისხმობენ ეს პროექტები.

ფაქტი ისაა, რომ საქარველოს პარლამენტში არც ერთი უნახავთ და არც - მეორე.

სამაგიეროდ, ნახეს და მოუსმინეს საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც განაცხადა: **"რასაც აქ მოგახსენებთ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მხოლოდ წინასწარი მონახაზია. შეიქმნება სამთავრობო კომისია, რომელიც მმართველობის დარგში, მეცნიერული გადათვლა-გაანგარიშების გათვალისწინებით, სრულიად ახალ მოდელს შემოგთავაზებთ".**

ამას საქართველოს პრეზიდენტი ოქტომბერში ეუბნებოდა პარლამენტს, რომელსაც ივლისში, საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ატეხილი აჟიოტაჟის დროს, რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის შეკავება (მაშინ გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმებასა და მინისტრთა კაბინეტზე მსჯელობდა პარლამენტი და მისი საზაფხულო ბიურო) ამ კომისიის შექმნის "ხათრით" სთხოვა.

პრეზიდენტი ოქტომბერში ისევ საუბრობს კომისიაზე, რომელიც, უკვე კარგა ხანია, შექმნილი და ამუშავებული უნდა ყოფილიყო. ამ ტემპებით, ცხადია, არ მოესწრება საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება; ცხადია ისიც, რომ ამ ცვლილებებზე დებატები ისევ და ისევ დროის გასაყვანად იქნება გამოყენებული.

ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირების თავიდან პროვოცირება და პრეზიდენტის მიერ აბაშიძის "სეპარატისტულ" მისწრაფებებზე აქცენტის გაკეთება; "აღორძინების" მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა ( ეს მანევრი ჯორბენაძეს მიეწერება, თუმცა, რეალურად, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე, დღეს სახელმწიფო მინისტრი "აღორძინებასთან" ასეთ გარიგებას ვერ გაბედავდა); ზოდელავს თემის აგორება და შემდეგ მისი "განეიტრალება" უკვე თითქმის გაუქმებული სამინისტროს ხელმძღვანელის მოხსნით - ეს ის საკითხებია, რომელიც ხელისუფლებას დროის გაყვანასა და ძირითადი ოპოზიციური აქცენტების, მაგალითად - საბიუჯეტო თემიდან, ჯორბენაძის მიერ უფლებამოსილებების გადაჭარბების საკითხიდან, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული დებატებიდან და საარჩევნო კანონმდებლობის პრობლემებიდან - დროებით გადანაცვლებას ემსახურება.

ამ ოთხშაბათს საქართველოს ხელისუფლება "ახალ პროექტზე საქართველოსთვის" ასევე არ ისაუბრებს. სამაგიეროდ, ისაუბრებს "საუკუნის პროექტის" აღსრულებაზე, რაც ამ ახალი პროექტის ერთ-ერთი ღერძია:

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში საზოგადოებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის საკითხებზე მთავრობის სპეციალური სხდომის გამართვის გადაწყვეტილების შესახებ ამცნო.

საგანგებო ბრძანებულებით შეიქმნება პრეზიდენტთან არსებული კიდევ ერთი სპეციალური კომისია, რომელიც სისტემატურად იმუშავებს "საუკუნის პროექტის" რეალიზებაზე.

ნავთობსადენი, რომელსაც მოსვლის დღიდან საქართველოს პრეზიდენტი ყველა სოციალური და პოლიტიკური პრეტენზიის საწინააღმდეგოდ მოიხმობს, კვლავ ის თემაა, რომელიც "ამ საუკუნეში", ანუ დღესაც და ხვალაც ედუარდ შევარდნაძის მიერ მთავარ არგუმენტად იქნება გამოყენებული.

ცხადია, საქართველოს პრეზიდენტი ყველაფრის - კორუმპირებული ხელისუფლების, უფრო სწორად, კორუფციის შენარჩუნების, ბიუჯეტის გარღვევის, სოციალური სიდუხჭირის, არადემოკრატიული არჩევნების, მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტების საპირწონედ ამ ნავთობსადენის თემის გამოყენებას შეეცდება და... შეეცდება - დროის გაყვანას.

აღმოჩნდება თუ არა ეს "პასუხი" საკმარისი საარჩევნო წელს საარჩევნო ბრძოლის მოსაგებად? - ეს ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც უკვე ცალკე საუბრის თემაა.

# ოპოზიციას ხელს არ აძლევს შევარდნაძე-აბაშიძის დაპირისპირებაში ჩარევა

პირველი გვერდიდან

წყალშემდგარ სახელმწიფო მინისტრს ადრე თუ გვიან მოხსნიდა და მას ბიუჯეტის მრავალმილიონიან გარღვევას დააბრალებდა.

"აღორძინებამ" პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა მაშინ დააყენა, როცა პარლამენტში ჯორბენაძის წინააღმდეგ მოძრაობა ძალას იკრებდა. როგორც ამბობენ, წინა დღით, სანამ "აღორძინება" ამ ინიციატივით გამოვიდოდა, ფრაქციის წარმომადგენლებს ჯორბენაძესთან შეხვედრა ჰქონდათ. არ არის გამორიცხული, რომ ფრაქციამ ეს დავალება უშუალოდ სახელმწიფო მინისტრისაგან მიიღო, რათა პარლამენტში მთელი ყურადღება ჯორბენაძიდან პრეზიდენტის იმპიჩმენტზე გადაეტანათ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა, ამ მომენტში, წყალს ნამდვილად სახმინისტრის წისქვილზე ასხამს.

ის, რომ ამ მოთხოვნით ასლან აბაშიძის პარტია გამოვიდა, გასაკვირი ნამდვილად არ არის. პრეზიდენტსა და აჭარის ლიდერს ერთმანეთთან სასაუბროდ თავიანთი ენა და ფორმები აქვთ, რაც, დროდადრო, პრეზიდენტის მიერ აბაშიძის კრიტიკას, ხოლო "აღორძინების" მიერ პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გულისხმობს. თუმცა, მათი ურთიერთობის არსს ეს რეალურად არასოდეს ცვლიდა. საჭირო დროს საერთო ინტერესების გამონახვა არც შევარდნაძეს და არც აბაშიძეს არ უჭირთ. ამიტომ, ამ ურთიერთობაში ჩარევა, დანარჩენი ოპოზიციის მხრიდან, აბსოლუტურად არასწორი ნაბიჯია. მით უმეტეს, რომ "აღორძინების" მიერ წამოწყებული ინიციატივა უიმედოდ განწირულია.

ასეთ სიტუაციაში "ნაციონალური მოძრაობის," "ტრადიციონალისტების," "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ახლების" ნაბიჯი (თუმცა, ამ ბოლო ორი ფრაქციის პოზიცია ბოლომდე გარკვეული არ არის) სრულიად გაუგებარია. რადგან დღეს, როცა პრეზიდენტის იმპიჩმენტის თეორიული შანსიც კი არ არსებობს, ასეთი მოთხოვნით გამოსვლა გაცილებით უფრო არასერიოზულია, ვიდრე ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩის დემონსტრაციების მოწყობა.

ასეთ დემონსტრაციებს კი ეს ხელისუფლება ნამდვილად იმსახურებს, რადგან არაფერია იმაზე მეტი თავხედობა, სხვა ცოდვებთან ერთად, ისიც იკადრო, რომ ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს მუშაობა თვეების განმავლობაში უპერსპექტივოდ დაბლოკო. დღეს ეს თემა, "ნაციონალური მოძრაობის" გარდა, რომელიც საკრებულოს დაბლოკვას პერიოდულად აპროტესტებს, ადეკვატურ აღშფოთებას არ იწვევს არც ფართო პოლიტიკურ სპექტრში, არც მასმედიაში და არც მოსახლეობაში. არადა, ხელისუფლების ეს ნაბიჯი ქმნის იმის ნათელ პრეცედენტს, თუ როგორ უნდა დასცინო და აბუჩად აიგდო საზოგადოება და ფეხქვეშ გათელო მისი უმთავრესი უფლება - არჩევანის თავისუფლება. თუ ხელისუფლებამ მართლაც მოახერხა საკრებულოს ბოლომდე პარალიზება, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში ერთნაირი საფრთხის ქვეშაა ყველა დემოკრატიული ღირებულება, სიტყვის თავისუფლების ჩათვლით. ეს უკვე ცალსახად ნიშნავს იმასაც, რომ მომავალი არჩევნების დროს ხელისუფლებას ძალიან ეფექტური იარაღით შეუძლია მანიპულირება და მისთვის სასურველი შედეგების მიღწევა.

ამიტომ დღეს მეტ-ნაკლებად სერიოზული ოპოზიცია გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხებით უნდა იყოს დაკავებული, ვიდრე კანცელარიის ინტრიგებში მონაწილეობა და უტოპიური მოთხოვნებით დროის გაყვანაა.

სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხმა უთანხმოება შეიტანოს ოპოზიციის ერთ ჯგუფში, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთში საერთო ენა გამონახა. ამის ნიშანი უკვე მაშინ გაჩნდა, როცა, "ნაციონალებისა" და "ტრადიციონალისტებისაგან" განსხვავებით, "ახლებმა" და "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" სურვილი არ გამოთქვეს, "აღორძინების" ინიციატივა გაეზიარებინათ. მაგრამ იმისათვის, რომ განხეთქილება არ დაწყებულიყო, გამყრელიძემ და ჟვანიამ კომპრომისზე წასვლა გადაწყვიტეს, უფრო სწორად, მათი პოზიცია, ჯერჯერობით, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის.

ასე რომ, ოპოზიციისთვის (რომელიც დღეს თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობს) უმჯობესი იქნება, თუ თავის რესურსებს სხვა რამეს მოახმარს და ხელისუფლების ნაკარნახევ სცენარს არ შეასრულებს. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელშესახები კი ის იქნება, თუ ამ ძალამ საკრებულოს ამუშავება და ერთობლივი ძალისხმევით რეალური შედეგების მიღწევა შეძლო. ეს იქნება ძალიან სერიოზული გამოცდაც, რამდენად მდგრადია ამ პარტიების ერთობა და შეძლებენ თუ არა ისინი რეალურ თანამშრომლობას საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

# თბილისის საკრებულოს ირგვლივ კვლავ ქაოსია

პირველი გვერდიდან

ალბათ, აქ უკვე პოლიტიკური ნება გადაწყვეტს ყველაფერს. ნება, რომელსაც არც ქვეყნის პრეზიდენტი იჩენს და არც - უმაღლესი სახელისუფლებო გვამები. რაც შეეხება არჩევნების გამყალბებელთა გამოვლენასა და მათ წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული სადამსჯელო სანქციების ამოქმედებას, ამის მიღწევა ნამდვილად შეიძლება. რა თქმა უნდა - სურვილის შემთხვევაში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი ეს პოლიტიკური ნება მხოლოდ იურიდიულად უნდა გააფორმოს და ხელახალი გადათვლისას მიღებული შედეგები დაამტკიცოს. რამდენიმე დღის წინ კომისიის თავმჯდომარე სახალხოდ იფიცებოდა, რომ ცესკო ამ ურთულეს პრობლემას ამ კვირის დასაწყისში დაუსვამდა წერტილს. თუმცა, ყველა ნიშნის მიხედვით, ჯუმბერ ლომინაძის ეს სიტყვები მხოლოდ დაპირებად დარჩება.

ცენტრალურმა სააარჩევნო კომისიამ გუშინ იმ საჩივრების განხილვა სცადა, რომელთა შესწავლა მას თავად სასამართლომ დაავალა (გუშინდელ ნომერში "24 საათი" უკვე წერდა ამის აუცილებლობის შესახებ). ეს არჩევნების შედეგების დამტკიცებისაკენ გადადგმული ერთ-ერთი ბოლო ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, რის შემდეგაც კომისიას უფლება ექნებოდა, არჩევნების შედეგების საბოლოო ოქმი დაემტკიცებინა.

პროცესი ისე დასრულდა, როგორც, ალბათ, მოსალოდნელი იყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა მოისმინეს ამ საჩივრების შინაარსი და თითოეულს შემდეგი ფორმულირებით უყარეს კენჭი: **"არის თუ არა კონკრეტული დარღვევა სერიოზული და ახდენს თუ არა იგი გავლენას არჩევნების საბოლოო შედეგებზე".**

კომისიის წევრთა უმრავლესობის დასკვნა ამ საჩივრებზე (რომელთა ავტორები, რაღა თქმა უნდა, "სახალხოელები" და "სოციალისტები" არიან) უარყოფითი იყო.

ამან კი საშუალება მისცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში "სახალხო პარტიის" წარმომადგენელს პაატა კიკვაძეს, განეცხადებინა: **"ჩვენ აუცილებლად წავალთ სასამართლოში. დღეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კიდევ ერთი ძალიან კარგი საფუძველი მოგვცა გასაჩივრებისათვის, რადგან საჯაროდ განაცხადა, ამომრჩეველთა სიებზე ხელმოწერების არარსებობა, საუბნო საარჩევნო კომისიების დაგვიანებით გახსნა, თურმე, არ ყოფილა უხეში დარღვევა".** ამასთან, პაატა კიკვაძე აცხადებს, რომ **"სასამართლოს დღესვე არ მიმართავს და დაელოდება ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების ოქმის დამტკიცებას."** მსგავსი პოზიცია აქვთ "სოციალისტებსაც".

სხვათა შორის, ორივე პარტია ამ ბოლო დროს სრულიადაც არ მალავს თავის პროსახელისუფლებო კურსს. ისიც ცხადია, რომ ამ პარტიათა ლიდერები არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამენ სახელმწიფო მინისტრთან კონსულტაციების გარეშე. შესაბამისად, პასუხი კითხვაზე – აწყობს თუ არა ხელისუფლებას საკრებულოს ამოქმედება - ზედაპირზე ძევს (ამ პარტიათა ქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, არა).

მეორე მხრივ, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა ამ პოლიტიკური სკანდალის თავიდან აცილება? როგორც ჩანს, შეიძლებოდა, თუკი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე უფრო მეტ პრინციპულობას გამოიჩენდა და პრეზიდენტს დაარწმუნებდა არჩევნების თუნდაც ერთი კვირით გადადების აუცილებლობაში. კულუარებში უკვე ალარავისთვის ალარ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ პირველ ივნისს, ღამით მან სამჯერ დაურეკა შევარდნაძეს, თუმცა პრეზიდენტის დარწმუნება ვერ შეძლო, რადგან მთელი პასუხისმგებლობა არჩევნების წარმატებით ჩატარებაზე თავად სახელმწიფო მინისტრმა აიღო. სწორედ პრეზიდენტის უარყოფითი პასუხის შემდეგ განაცხადა ჯუმბერ ლომინაძემ, რომ იგი ხელს არ მოაწერდა, რბილად რომ ვთქვათ, დარღვევებით შედგენილ ამომრჩეველთა სიებს...

წესით, ცესკო უკვე დღეს შეეცდება ახალი ოქმის დამტკიცებას. თუმცა, აქაც სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდება. კანონით, მან თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიის მონაცემები უნდა დააჯამოს და ერთიანი ოქმი შემდეგ დაამტკიცოს. უბნებზე მონაცემები კი არ არსებობს. როგორც გაირკვა, რევიზორები მხოლოდ პარტიათა ხმებს აჯამებდნენ და არ მიუთითებდნენ იმ უბნებს, სადაც მიიღეს ამ პარტიებმა ეს ხმები.

ამ ყველაფერს კი ფონად გაჰყვება მზადება მაჟორიტარული არჩევნებისათვის, რომელიც 24 ნოემბერს უნდა გაიმართოს და რომლისთვისაც ცესკო, ტრადიციისამებრ, მზად არ არის.


სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

კითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

თუ გაეცანით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# აუდიტორულ ფირმებს დაზვერვის ყოფილი შეფი გააკონტროლებს

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს ხელისუფლებამ კორპორაციულ თაღლითობებთან საბრძოლველად მართლაც რომ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. აუდიტორულ ფირმებზე სამეთვალყურეო ორგანიზაციის შეფად დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ყოფილი თავკაცი უილიამ უებსტერი დაინიშნა. ამ უკანასკნელს ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე საპენსიო ფონდის თავკაცი ჯონ ბიგზი ეცილებოდა, მაგრამ, საბოლოოდ, რესპუბლიკური პარტიისა და გავლენიანი აუდიტორების მხარდაჭერით, უპირატესობა დაზვერვის წარმომადგენელს მიენიჭა.

ცხადია, ამ დანიშვნამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაც მოულოდნელი არ იყო - უებსტერს ხომ, პრაქტიკულად, არანაირი შეხება არ ჰქონია აუდიტორულ საქმიანობასთან და, შესაბამისად, მას ძალიან გაუჭირდება ამ სფეროში საჭირო რეფორმების გატარება. მაგრამ უებსტერის მომხრეს ეიმედებათ, რომ დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოში დაგროვილი დიდი გამოცდილება მას საშუალებას მისცემს, აღკვეთოს ყველა შესაძლო დარღვევა და რომ "ანდერსენის" მსგავსი სკანდალები მისი მმართველობის პერიოდში მაინც არ განმეორდება.

ის ფაქტი, რომ დაზვერვის ყოფილ შეფს აუდიტორულ ფირმებზე მეთვალყურეობა დაავალეს, კიდევ ერთხელ მოწმობს, რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს საბუღალტრო საქმიანობას თანამედროვე ბიზნესში. ყველა კომპანიის საქმიანობა აუდიტს გადის, რაც ბოლო დაცვითი მექანიზმია მომხმარებლისა და აქციონერისათვის, რათა იგი თაღლითობის მსხვერპლად არ იქცეს ისე, როგორც "ენრონის" აქციონერები იქცნენ, რომლებმაც, "ანდერსენის" გამოისობით, არაფერი იცოდნენ კომპანიის პრობლემებზე და ერთ მშვენიერ დღეს, აქციათა ნაცვლად, ფარატინა ქაღალდები შერჩათ ხელში. "ენრონის" სკანდალმა გვარიანად დააზარალა პენსიონერები, პრაქტიკულად, მთელი აშშ-ს მასშტაბით, რადგან საპენსიო ფონდებში ამ კომპანიის აქციები დიდი რაოდენობით იყო.

უებსტერი რესპუბლიკელი გახლავთ. სანამ 1987 წელს, რეიგანის ბრძანებით, დაზვერვას ჩაუდგებოდა სათავეში, იგი გამოძიების ფედერალურ ბიუროს ხელმძღვანელობდა. განათლებით უებსტერი იურისტია და აქამდე იურიდიულ ფირმა "მილბანკ, ტვიდ, ჰედლი ენდ მაკლოისთან" თანამშრომლობდა.

დემოკრატები ირონიულად შეხვდნენ უებსტერის დანიშვნას და ეს წმინდა პოლიტიკურ აქტად მონათლეს. საქმე ისაა, რომ უებსტერი ფასიანი ქაღალდების კომისიის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დაინიშნა, რომლის ხუთი წევრიდან სამი რესპუბლიკელია. სწორედ მათი მხარდაჭერით გავიდა დაზვერვის ყოფილი შეფი.

ორგანიზაციას, რომელსაც უებსტერი ჩაუდგება სათავეში, საზოგადო კომპანიათა აღრიცხვების კონტროლის სამსახური ეწოდება. იგი რამდენიმე თვის წინ შეიქმნა, "ენრონისა" და "ანდერსენის" სკანდალების კვალზე.

# „ბი-პი" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტის შეცვლას არ გეგმავს

პირველი გვერდიდან

დევიდ ვუდვორდის განცხადებით, ცვლილებები, ძირითადად, მიწის მესაკუთრეებთან დასადებ ხელშეკრულებებს შეეხება და მათთვის კომპენსაციების გაცემის პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას ითვალისწინებს. აქვე მან საგადასახადო შეღავათების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ ქართული მხარისგან, შეთანხმებისამებრ, კონკრეტულ ნაბიჯებს ელის.

დევიდ ვუდვორდის თქმით, "ბი-პი" ცდილობს, ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში აქტიურად დაასაქმოს ქართული კომპანიები. **"თუმცა, ჩვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ქართულმა კომპანიებმა საერთაშორისო სტანდარტებზე გაცილებით მაღალი ფასები წარმოადგინეს. ამიტომ ქართული კომპანიების დასაქმებასთან დაკავშირებით არარეალისტური იმედები არ უნდა გქონდეთ,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ვუდვორდმა.

ჟურნალისტებთან შეხვედრის დასრულებისთანავე, გიორგი ჭანტურიამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრეებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მნიშვნელობა საქართველოსთვის ეკონომიკური, სტრატეგიული, ქვეყნის სტაბილურობისა თუ ენერგოუსაფრთხოების გარანტირების თვალსაზრისით. ჭანტურიას ინფორმაციით, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მშენებლობისთვის საჭირო მასალებით დატვირთული პირველი გემი ფოთის პორტში მომავალი წლის 4-5 იანვარს შემოვა.

**"ჩვენ დავარწმუნეთ რუსეთი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი რუსეთისთვის საზიანო არ არის. რუსულ "როსნეფტეგაზსტროისთან" ერთად ჩამოვაყალიბეთ ერთობლივი საწარმო და ვმსჯელობთ ნოვოროსიისკიდან რუსული ნავთობის, საქართველოზე გავლით, დაბალი, კონკურენტუნარიანი სატრანზიტო გადასახადით ტრანსპორტირების საკითხებზე,"** - აღნიშნა ჭანტურიამ.



გიორგი ჭანტურია (მარცხნივ)

ბუნების დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით კი, ნავთობკორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ განაცხადა: **"ამჟამად მიმდინარეობს მოდელირება, თუ რა მოხდება ბორჯომის ხეობაში ნავთობის გაჟონვის ან დივერსიის შემთხვევაში. თუმცა, მარშრუტის გადაადგილებაზე ლაპარაკი არ არის."**

ჭანტურიას განცხადებით, საქართველოს უკვე გადასცეს საბოლოო დოკუმენტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ. **"პროექტის განხორციელება დაიძრა. ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს და მას ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს,"** - განაცხადა საქართველოს ნავთობკორპორაციის პრეზიდენტმა. ანალოგიური პოზიცია გააჩნია აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმის პრეზიდენტს ნატიკ ალიევს. **"მიმაჩნია, რომ პროექტის განხორციელება მაქსიმალურად უნდა დაჩქარდეს და მას ხელი არაფერმა შეუშალოს. გარემოს დაცვის თვალსაზრისით, სიფრთხილე ნებისმიერ ტერიტორიასთან მიმართებაშია საჭირო. მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი პროექტის განხორციელება უნდა იყოს,"** - განუცხადა მან "24 საათს".

გარემოს დაცვის საკითხები 30 ოქტომბერსაც, საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზეც განიხილება, რომელსაც "ბი-პისა" და "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" დირექტორთა საბჭოს წევრებიც დაესწრებიან. გარდა ამისა, ეს თემა განიხილებოდა ნავთობსადენის დირექტორთა საბჭოს მეოთხე სხდომაზეც, რომელიც გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა. დახურულ სხდომას ნავთობსადენის 10 აქციონერი კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ცნობილია, ნავთობის გაჟონვის შემთხვევაში, ბორჯომის ხეობისა და "ბორჯომის" წყაროების დაბინძურების საშიშროების არსებობის გამო, "ჯორჯიან გლას ენდ მინერალ უოთერსის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ ვითარების შესასწავლად ფრანგი ექსპერტები მოიწვია. გარდა ამისა, ერთ კვირაში თბილისს ეწვევა ჰოლანდიელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს დასკვნას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასება მიმდინარე წლის 17 ნოემბრამდე დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ ნავთობსადენის მშენებლობას მწვანე შუქი მხოლოდ მას შემდეგ აენთება, რაც გარემოს დაცვის სამინისტრო "ბი-პის" მიერ დაგეგმილ უსაფრთხოების ღონისძიებებს საკმარისად ცნობს. გარემოს დაცვის სამინისტრო კი მილსადენის მშენებლობის დაწყებისთვის საჭირო ნებართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემს, თუ ჰოლანდიელი და ფრანგი ექსპერტების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს დაემთხვევა და ერთმნიშვნელოვნად დადებითი იქნება.

## მოკლედ

**აშხაბადი.** თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურად ნიაზოვის მიერ ხელმოწერილი ნებართვა საქართველოს უფლებას აძლევს, 315 მილიონი დოლარის დავალიანება დაფაროს პროდუქციით, რომელსაც თურქმენეთის მხარე შეარჩევს. პროდუქციის კონკრეტული ჩამონათვალი ჯერ შედგენილი არ არის, თუმცა, თურქმენეთის ოფიციალურ პირთა ცნობით, ამ პროდუქციის უმრავლესობას შეადგენს სახალხო მოხმარების საქონელი და მსუბუქი ავტომანქანები.

თურქმენეთისათვის ამ არახელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებამ საქართველოს ხელისუფლების მაღალი შეფასება დაიმსახურა. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამ ჟესტს "ძმური სიყვარულის გამოვლინება" უწოდა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ასლანიკაშვილმა შეხვედრა გამართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ეკონომისტთან ტოდ მატინასთან. შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენელმა მოისმინა ვრცელი ინფორმაცია საბაჟო სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ. ალექსანდრე ასლანიკაშვილის განცხადებით, წლის ბოლომდე დაგეგმილია მებაჟეთა ტესტირების პროცესის დასრულება. ტოდ მატინა დაინტერესდა, როგორი სისტემით მოხდება ტესტირების ჩატარება. ასლანიკაშვილის ინფორმაციით, საგამოცდო კომისიაში შევლენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ანტიკორუფციული საბჭოს წარმომადგენლები და აშშ-ს საბაჟოს ექსპერტები.

ტოდ მატინამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საბაჟო სისტემაში დეკლარაციების ელექტრონული ვერსიის დანერგვის პროცესის მიმდინარეობაზე, რომელსაც პროგრამა "ასიკუდა" ჰქვია და ამერიკის საბაჟოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მსგავსი პროგრამა განხორციელდა ბალტიისპირა ქვეყნებშიც, რამაც შემოსავლის 20 პროცენტით ზრდა გამოიწვია. საქართველოს საბაჟოს გათვლებით, ერგნეთისა და აჭარის საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია, შემოსავლების 10-15 პროცენტით ზრდა. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლიდან სამინისტროებში სპეცანგარიშები გაუქმდება, რის შესახებაც შესაბამისი წინადადება, კანონმდებლობის შესაცვლელად, პარლამენტში უკვე შევიდა. როგორც "კავკას-პრესს" ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა განუცხადა, უკვე მომავალი წლიდან სპეცსახსრების მქონე უწყებები პარლამენტის წინაშე მათი გამოყენების შესახებ ანგარიშით წარსდგებიან, რაც ადრე არ ყოფილა.

მინისტრის ცნობით, სპეცსახსრებზე ყოველწლიურად კონცენტრირებულია 130 მილიონი ლარი, რაც სამინისტროთა ხელმძღვანელების მიერ, ფაქტობრივად, უკონტროლოდ იხარჯებოდა. "ყველაზე დიდი თანხები გროვდებოდა ფინანსთა სამინისტროს სპეცანგარიშებზე - დაახლოებით, 43 მილიონი ლარი, თუმცა, უკვე 2003 წლიდან ეს თანხა მნიშვნელოვნად შემცირდა იმის ხარჯზე, რომ საბაჟო შენატანებიდან იქ ირიცხებოდა მხოლოდ ორი პროცენტი, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული სამი პროცენტისა," - განაცხადა მინისტრმა და იქვე აღნიშნა, რომ დანარჩენი თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

გოგიაშვილის განცხადებით, ყოველწლიურად თავის ანგარიშებზე შსს-ს აქვს 25 მილიონი ლარი, ასევე გარკვეული თანხები ამიერიდან იქნება თავდაცვის სამინისტროს სპეცანგარიშებზეც, რომელმაც მიიღო იმ თანხების დიდი ნაწილის განკარგვის უფლება, რასაც წვევამდელები არმიაში სამსახურისგან თავის დასახსნელად იხდიან. საგაზაფხულო გაწვევის დროს ამ თანხამ 1 200 000 ლარი შეადგინა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ინდექსის მხრივ 36-ე ადგილი უკავია, - ეს მაჩვენებელი შეიმუშავეს გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფედერაციის (UNCTAD) ექსპერტებმა. ამის შესახებ "კავკას-პრესს" სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები ამ რეიტინგში ასე განაწილდნენ: აზერბაიჯანი - მერვე ადგილი, სომხეთი - მე-15, ესტონეთი - მე-16, ყაზახეთი - 21-ე, ლატვია, ლიტვა - 32-ე და 33-ე, ყირგიზეთი - 55-ე, ტაჯიკეთი - მე-80, ბელორუსია - 90-ე, უკრაინა - 95-ე, უზბეკეთი - მე-100, რუსეთი - 104-ე.

სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, რომ ინოვაციის ასეთი მაღალი დონე განპირობებულია საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით. ზოგიერთმა ამერიკულმა კომპანიამ მზადყოფნა გამოთქვა, დახმარება გაუწიონ საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოებაში. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ზამთრის სეზონის მოახლოების მიუხედავად, "ეი-ი-ეს თელასი" დედაქალაქის გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას ვერ ახერხებს, თუმცა შარშანდელის მსგავსი ე.წ. "ჯგუფური გამორთვები" წელს აღარ გამეორდება. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დემურ ჩომახიძემ განუცხადა. მისი თქმით, გაუმრიცხველიანებელი უბნების ფიდერებზე "ეი-ი-ეს თელასი" დიდ მრიცხველებს დაამონტაჟებს, რომლებიც უბნის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობას განსაზღვრავენ. "აღნიშნული მრიცხველების ჩვენება მოსახლეობის რაოდენობაზე გაიყოფა. ფიდერზე მიერთებული თითოეული აბონენტი იმდენს გადაიხდის, რამდენიც გაყოფის შედეგად დადგინდება," - განმარტა ჩომახიძემ.

"ეი-ი-ეს თელასი" ამგვარ ღონისძიებას მხოლოდ მოსახლეობასთან შეთანხმების შემდეგ განახორციელებს. ამჟამად დედაქალაქის აბონენტთა 80 პროცენტია გამრიცხველიანებული. დარჩენილი ნაწილის გამრიცხველიანება მომავალი წლის გაზაფხულისთვის დასრულდება. **"ინტერ-პრესი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 23 - 29 ოქტომბრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6468 | 0.63 | 0.0052 |
| US$ | 1.5461 | | 0.9741 | 0.008 |
| €uro | 1.5873 | 1.0265 | | 0.0082 |
| ¥en | 192.93 | 124.78 | 121.53 | |

### 2002 წლის 29 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1085 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3475 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4372 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1650 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2910 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1735 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0682 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4420 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2373 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0612 ლარი |

# ნიკოლოზ ბაკაშვილი: "მე "აზოტის" იტერასათვის" გადაცემას არ ვაპირებ"

პირველი გვერდიდან

ბაკაშვილს საკმაოდ დიდი პრეტენზიები აქვს "იტერასადმი", რადგან ეს კომპანია ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს. **"ხელშეკრულების თანახმად, "იტერა" "აზოტს" აწვდის ბუნებრივ აირს, მიაქვს პროდუქცია და იხდის გადამუშავების ღირებულებას. ამ უკანასკნელ პირობას "იტერა" თვითნებურად არღვევს და თანხას არ გვაძლევს. სწორედ ამის გამო, თუ რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებისას "აზოტს" "იტერას" 2,174 მილიონი ლარი ვალი ჰქონდა, დღეს მას ჩვენთვის 3,5 მილიონი დოლარი აქვს ასანაზღაურებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კომპანიას თვითონ დაუგროვდა "აზოტის" ვალი."**

ცნობილია, რომ "აზოტს" 100 მილიონ ლარამდე კრედიტორული დავალიანება აქვს. ქარხანას სულ 142 კრედიტორი ჰყავდა, თუმცა, დღეისათვის მათი რიცხვი 61-მდეა შემცირებული. ყველაზე მსხვილი კრედიტორი ფინანსთა სამინისტროა - დავალიანება 32 მილიონ ლარს აღწევს, შემდეგ მოდის ავსტრიული ფირმა "სელედაჯი" და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი. ბაკაშვილის თქმით, მან ერთი წლის მანძილზე ქარხნის დავალიანების 15,9 მილიონი ლარით შემცირება შესძლო, თუმცა ბოლო დროს კრედიტორული დავალიანება მაინც გაიზარდა.

"აზოტის" ყოფილი პარტნიორის - "ალსო ტრანსის" გამო, ქარხანა საკმაოდ დიდ გაურკვევლობაშია ჩავარდნილი. ამ კომპანიასთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, 19,5 მილიონი ლარი - "ალსოს" მხრიდან საბითუმო ბაზრისათვის გადასახდელი თანხა - ავტომატურად გადაეწერა "აზოტს". ქარხნის გენერალური დირექტორი აცხადებს, რომ ეს "ალსოს" ვალია და არა "აზოტის". ასევე სადავო იყო 16,7 მილიონი დოლარი, რომელიც "ალსოს" ეკუთვნოდა, მაგრამ "იტერამ" ამ დავალიანების გადაბირების ხელშეკრულება წარმოადგინა. გაირკვა, რომ "ალსოს" "იტერას" მიმართ 29 მილიონი დოლარის დავალიანება ჰქონდა. ბაკაშვილი აცხადებს, რომ მან ამ ვალს "იტერასათვის" გადაცემა ვერ აღიარა, რადგან მანამდე არსებობდა "ალსოს" მიერ იმავე ვალის ავსტრიული ფირმა "სელედაჯისათვის" გადაცემის დოკუმენტი. ბოლოს "იტერამ" სასამართლოს ძალით გადაიფორმა თანხა. "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველი აცხადებს, რომ საწარმოს ხელოვნურად შექმნილი ვალები არ გააჩნია.

ბაკაშვილი საკმაოდ კატეგორიულია "იტერას" მიმართ და თვლის, რომ სასამართლო ხელისუფლება და მის მიერ დანიშნული რეაბილიტაციის მმართველი "აზოტის" "იტერასათვის" გადაცემას არ აპირებენ. ბაკაშვილი უკმაყოფილებას ვერ ფარავს იმის გამოც, რომ "აზოტის" კრედიტორთა საბჭოს **"რატომღაც "იტერას" წარმომადგენელი ხელმძღვანელობს და საკმაოდ სერიოზულ გადაწყვეტილებებსაც იღებს, მაშინ როცა კანონით ამის უფლება არ აქვს."**

*"24 საათი"*

# „კასტელმა" მომგებიანი ჯარიმა აიკიდა

*შპს "კასტელი საქართველო", რომელიც ცნობილი ლუდების - "არგოსა" და "კასტელის", ასევე სხვადასხვა დასახელების უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანიაა, ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ათასი ლარით დაჯარიმდა. მაგრამ ამ თანხის გადახდა კომპანიისთვის მომგებიანიც კია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯარიმის თავიდან ასაცილებლად "კასტელს" რეალიზაციაში არ უნდა გაეშვა უკვე დაბეჭდილი ლიმონათის ეტიკეტები, რაც, დაახლოებით, 100 000 ლარის ზარალს მოუტანდა კომპანიას.*

სოფო კვინტრაძე

შპს "კასტელი საქართველოსა" და სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს შორის დავა 2002 წლის ივლისში დაიწყო, როცა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა "კასტელისაგან" მომხმარებელთა უფლებების დაცვა მოითხოვა. როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიუროს წარმომადგენელი გივი ტყეშელაშვილი აცხადებს, "კასტელის" მიერ წარმოებული უალკოჰოლო სასმელების, ანუ ლიმონათების ეტიკეტებზე არ არის სრულად დატანილი ის ინფორმაცია, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ნებისმიერი უალკოჰოლო სასმელის ეტიკეტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: მწარმოებლის იურიდიული სახელწოდება და მისამართი, პროდუქციის დასახელება, სტანდარტი, წონა, მოცულობა, კალორიულობა, საკვები პროდუქტების შემადგენლობა, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობა, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, შენახვის პირობები და წარწერა "სერთიფიცირებულია." როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, კასტელის ლიმონათებზე ზემოთ დასახელებული თერთმეტი სახის ინფორმაციიდან ოთხი დატანილი არ არის. კერძოდ, კალორიულობა, პროდუქტების შემადგენლობა, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობა და წარწერა "სერთიფიცირებულია" "კასტელის" ლიმონათებს არ ამშვენებს. ამ ინფორმაციის არარსებობა კი, ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენელთა შეფასებით, მომხმარებელთა უფლებების დარღვევას ნიშნავს.

ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა "კასტელს" მიწერილობა გაუგზავნა და ეტიკეტებზე მოცემული ინფორმაციის შევსება მოსთხოვა, რისთვისაც კომპანიას ერთი თვის ვადა მიეცა. "კასტელმა" აღნიშნულ ვადაში მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და კიდევ დაიმატა დრო იმ მოტივით, რომ უკვე ჰქონდა დამზადებული დიდი რაოდენობით ეტიკეტი, რომელთა რეალიზაციისათვის დრო იყო საჭირო, თუმცა რამდენი, "კასტელს" არ დაუკონკრეტებია. ასე რომ, "კასტელმა" არ შეასრულა მაკონტროლებელი ორგანოს მოთხოვნა, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვალა. 2002 წლის 12 სექტემბერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აქტი შედგა და ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

ისანი-სამგორის სასამართლოში გუშინ გამართულ პროცესზე "კასტელის" მხარე დაგვიანებით მივიდა. კომპანიის ადვოკატი კახა ასლანიშვილი მხოლოდ მოსამართლის მიერ დადგენილების წაკითხვის პროცესს დაესწრო. მოსამართლე დალი სულხანიშვილის გადაწყვეტილებით, შპს "კასტელი საქართველომ" მართლაც დაარღვია მომხმარებელთა უფლებების მეექვსე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159-ე მუხლები, შესაბამისად, "კასტელს" ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. მოსამართლის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ათასლარიანმა ჯარიმამ "კასტელის" წარმომადგენლები ხუმრობის ხასიათზე დააყენა. საქმე ისაა, რომ ათასლარიანი ჯარიმის გადახდა ნამდვილად სჯობს ასიათასლარიან ზარალს, რაც კომპანიას ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში მიადგებოდა. თუმცა, როგორც კახა ასლანიშვილი აცხადებს, სასამართლო პროცესი დადგენილი წესის დაცვით არ ჩატარებულა, ამდენად სასამართლოს გადაწყვეტილება სულ მალე ბათილად იქნება ცნობილი. ასლანიშვილის თქმით, სასამართლოს უწყებაზე, რომელიც "კასტელს" გაეგზავნა, გაურკვეველ პირს აქვს ხელი მოწერილი. ეს გაურკვეველი პირი ვინმე ლ. გოგილაშვილია, მდივანი, რომელსაც ასლანიშვილი არ იცნობს, როგორც "კასტელის" თანამშრომელს. გარდა ამისა, "კასტელის" ადვოკატის განცხადებით, უწყებაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება მხოლოდ "კასტელი საქართველოს" გენერალურ დირექტორს ბერნარდ სულიესა და კომპანიის ადვოკატებს გააჩნიათ. ასლანიშვილი დაზუსტებით ვერ აცხადებს, გადაიხდის თუ არა მისი კომპანია ჯარიმას, სამაგიეროდ, "კასტელის" ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მათი კომპანიის მიმართ წაყენებული ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება.

# საქართველოში საბანკო სექტორი უნდა გამსხვილდეს

ნინო ნარჩემაშვილი

დღეისათვის საქართველოში ნაღდი ფული ძირითადი საგადამხდელო საშუალებაა. საკრედიტო ბარათებით თითო-ოროლა ადამიანი თუ სარგებლობს, მით უმეტეს, რომ ბაზრობებსა და ბაზრებში მათი გამოყენება ყოვლად შეუძლებელია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ირაკლი მანაგაძის განცხადებით, **"ბანკებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ანგარიშსწორების ცენტრალიზებული, გაიოლებული და სწრაფი სისტემა".** ეროვნული ბანკის ორგანიზატორობით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით, გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი-პალასში" გაიხსნა ორდღიანი სემინარი საგადამხდელო სისტემების თაობაზე.

**"საქართველოს ეროვნული ბანკი სათავეში უდგას საგადამხდელო კომიტეტს, რომელიც საგადამხდელო სისტემების განვითარებისათვის შეიქმნა. ჩვენი მიზანია, დავხვეწოთ საგადამხდელო სისტემა, რათა პროცესები ქაოტურად არ წარიმართოს. საბანკო სექტორი უნდა განვითარდეს და გამსხვილდეს, მოხდეს ისეთი მცირე ბანკების ჩამოშორება, რომლებიც სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებენ. საქართველოში შეინიშნება დეპოზიტების ზრდის დადებითი ტენდენცია, თუმცა ფულის მასის დიდი ნაწილი ისევ საბანკო არხებს გარეთაა. აუცილებელია, გავითვალისწინოთ მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების გამოცდილება და შევარჩიოთ საგადამხდელო სისტემის განვითარების საქართველოსათვის შესაფერისი მოდელი. სემინარზე, ძირითადად, წარმოდგენილი არიან ის ქვეყნები, სადაც ეს პროცესი წარმატებულია,"** - აღნიშნა სემინარზე გამოსვლისას ირაკლი მანაგაძემ.

ეროვნული ბანკის საგადამხდელო სისტემების სამმართველოს უფროსის ვახტანგ ქარელის განცხადებით კი, **"საგადამხდელო სისტემა საერთაშორისო დონეზე სხვაგვარად მოქმედებს, ამიტომ საჭიროა, საქართველოშიც მოხდეს მისი სრულყოფა. ეს დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, რასაც სახსრები სჭირდება. პლასტიკური ბარათებით მომსახურება უკვე ფეხს იკიდებს საქართველოში. ხმარებაშია როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საკრედიტო ბარათები და მათ მომხმარებელთა რიცხვი არც ისე ცოტაა. ბარათი ნებისმიერ თანხაზეა დაშვებული, თვითონ ბარათის მინიმალური ღირებულება კი ხუთი-ათი ლარის ფარგლებშია. საჭიროა, გაფართოვდეს პლასტიკური ბარათების მოხმარების მასშტაბები და არეალი. ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული სემინარის ერთ-ერთი მიზანი ამ მიმართულების პოპულარიზაციაც გახლავთ. სემინარზე წარმოდგენილი უცხოური ორგანიზაციები კი დახმარებას გაგვიწევენ საგადამხდელო სისტემების განვითარების საქმეში."**

# ორი ერის ტრაგედია

პირველი გვერდიდან

არავინ აყენებს ეჭვქვეშ ნებისმიერი ქვეყნის სუვერენულ უფლებას, მის ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით შეებრძოლოს ტერორიზმს. აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ მძევლებს შორის მსხვერპლის რაოდენობა "დასაშვები" 10 პროცენტის ფარგლებში უნდა ჩაეტიოს.

რუსეთის ხელისუფლებას, პირველ რიგში, უყენებენ ბრალდებას, რომ ოპერაციის გამთენიისას დაწყება არ იყო გამართლებული. ექსპერტთა აზრით, უკეთესი იქნებოდა დროის გაჭიანურება, რაც შესაძლებელს გახდიდა მეტი მძევლის გამოშვებას, სპეცოპერაციის უკეთ მომზადებასა და მოლაპარაკებებსაც რალაც შანსს მისცემდა. გავიხსენოთ, პერუში "ტუპაკ ამარუს" ტერორისტების მიერ იაპონიის საელჩოს ხელში ჩაგდება. მაშინ მოლაპარაკებები კვირეების მანძილზე გაგრძელდა.

რუსეთის ხელისუფლება, კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვასილიევი აცხადებს, რომ შტურმის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ოპერატიულმა შტაბმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ტერორისტებმა მძევლების დახვრეტა დაიწყეს. სრულიად სხვას ამბობენ ყოფილი მძევლები. მათი თქმით, ორი ადამიანი ჩეჩნებმა ღამის სამის ნახევრისთვის დახვრიტეს, მაგრამ არა ულტიმატუმის შესრულების მიზნით, არამედ შეხლა-შემოხლის ნიადაგზე (ეს მკვლელებს, რა თქმა უნდა, არანაირად არ ამართლებს, მაგრამ იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი მძევლების სიცოცხლეს დაუყოვნებლივი საფრთხე არ ემუქრებოდა). ყოფილი მძევალი გლაზიჩევი იხსენებს: "ორი ადამიანის მოკვლიდან რამდენიმე ხანში ყველა დამშვიდდა. ყველანი მივხვდით, რომ სხვებს საფრთხე აღარ გვემუქრებოდა... – მისივე თქმით, – მას შემდეგ რაც ტერორისტები მიხვდნენ, რომ შენობაში გაზი იყო გაშვებული, მათ წუთნახევარი მაინც ჰქონდათ საიმისოდ, რომ მძევალთა განადგურება დაეწყოთ, მაგრამ ეს არ გააკეთეს". ანია ანდრიანოვა, რომელიც სპეცოპერაციის დაწყების წინ რეკავდა რადიოსადგურ "ეხო მასკვის" პირდაპირ ეთერში, იხვეწებოდა "ყველას სახელით, ვინც ამ დარბაზში ზის, გემუდარებით, შეწყვიტოთ ჩვენი მოწამვლა". მას რომ სცოდნოდა, რა გაზი გამოიყენეს , მისი პროტესტი უფრო მძაფრი იქნებოდა.

დაიწყებდნენ თუ არა ჩეჩნები მძევლების დახვრეტას დილის ექვს საათზე? ახლა ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ, ფაქტია, რომ ულტიმატუმის პირველმა ვადამ, საღამოს ათმა საათმა, უმსხვერპლოდ ჩაიარა. რამდენიმე საათით ადრე დარბაზში მყოფი იოსიფ კობზონი აცხადებდა, რომ ტერორისტები დარბაზში, სავარაუდოდ, კვირობით აპირებდნენ დარჩენას. მათთვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ისინი მძევლების დახვრეტას არ დაიწყებდნენ.

მეორე სერიოზული ბრალდება რუსეთის სპეცსამსახურების მისამართით არის მათ მიერ ძლიერმოქმედი მომწამლავი გაზის გამოყენება. ამის შესახებ ჩვენს გუშინდელ ნომერში დეტალურად იყო საუბარი. თუმცა, რამდენიმე დამატებითი გარემოებაც გაირკვა.

გაზის გამოყენების მიზანი იყო კამიკაძე-ტერორისტების იმდენად სწრაფად გათიშვა, რომ მათ დეტონატორების მოქმედებაში მოყვანა ვერ მოესწროთ. მძევლების მონათხრობის თანახმად, მომწამვლელმა აირმა იმდენად სწრაფად იმოქმედა, რომ კამიკაძეებმა აირწინაღების ჩამოცმა ვერ მოასწრეს. ეს წარმოდგენას გვიქმნის გამოყენებული მასალის სიძლიერეზე. ჟურნალ "ტაიმის" ცნობით, სპეცსამსახურებმა "ყოველი შემთხვევისათვის" ნორმაზე 5-ჯერ მეტი მომწამლავი აირი გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ გაზმა იმოქმედა არა მხოლოდ დარბაზში, არამედ ჰოლში მყოფ ბოევიკებზეც, ისე, რომ შეჭრილ "ალფას" მებრძოლებს წინააღმდეგობას ოცამდე ტერორისტილა უწევდა. თუ გაზმა ასე მომენტალურად იმოქმედა ახალგაზრდა, ჯანმრთელ და გამობრძმედილ ჩეჩნებზე, რას უზამდა იგი რამდენიმე დღე სტრესის ქვეშ მყოფ, მშიერ და უძინარ მძევლებს?!

კიდევ ერთი ბრალდებაა ის, რომ რუსეთმა აკრძალული გაზი გამოიყენა და ხელისუფლებამ ექიმებსაც კი არ უთხრა, რითი იყვნენ მძევლები მოწამლულები და საფრთხის ქვეშ დააყენა ასობით დაზარალებულის სიცოცხლე. ექიმები აცხადებენ, რომ, ამ ინფორმაციის არქონის გამო, ისინი იძულებულნი არიან, სტანდარტული საარმიო ანტიდოტი გამოიყენონ, რომელიც "ცოტ-ცოტა ყველაფერს" შველის. შეერთებული შტატების საელჩომ ოფიციალურად სთხოვა რუსეთს, გაემხილა მისთვის გაზის თვისებები, რადგან ეს დაეხმარებოდათ ამერიკელი მძევლის მკურნალობაში, მაგრამ უარი მიიღო. რუსეთის ელჩმა ბრიტანეთში გრეგორი კარასინმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ სურს, გასცეს ის ინფორმაცია, რომელიც პოტენციურ ტერორისტებს გამოადგებათ.

კიდევ ერთი ბრალდება, რასაც დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი უყენებს რუსეთს, არის ინფორმაციის მაქსიმალური გასაიდუმლოება შტურმის შემდეგაც კი. პრესა იხსენებს გორბაჩოვის მიერ ჩერნობილის აეს-ის კატასტროფის დამალვას, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა, "კურსკის" ტრაგედიის დროს ხელისუფალთა ხანგრძლივ დუმილს და ასკვნის, რომ ინფორმაციის შეზღუდვა, ისევე როგორც ადამიანის სიცოცხლის მიმართ უყურადღებობა, რუსული სახელმწიფოს ტრადიციული თვისებაა. ხელისუფლებას ჯერაც არ გამოუქვეყნებია დაღუპულთა სიები, არ უშვებს ნათესავებს დაზარალებულების სანახავად. ყოფილი მძევალი ოლეგ ზიოგანოვი იხსენებს, რომ, როდესაც მან მომხდარის შესახებ საავადმყოფოდან ტელეფონით მოყოლა დაიწყო, იგი აიძულეს, ყურმილი დაეკიდებინა. საავადმყოფოდან გამოსული დაზარალებულები ამბობენ, რომ მათზე ზეწოლა მიმდინარეობს. ცალკე თემაა მასმედიაზე, ფაქტობრივად, სრული ცენზურის დაწესება, რომლის დარღვევის მცდელობასაც უკვე შეეწირა დამოუკიდებელი ტელეარხი "მოსკოვია".

არის კიდევ ერთი ფუნდამენტური საკითხი, რის გამოც დასავლური საზოგადოებრივი აზრი უპირისპირდება რუსეთის ხელისუფლებას. მოსკოვი აცხადებს, რომ მელნიკოვის ქუჩის ტერაქტი საერთაშორისო ტერორიზმის ისეთივე ნაყოფია, როგორიც 11 სექტემბრის ტრაგედია ამერიკაში და 12 ოქტომბრის აფეთქებები ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე. საერთაშორისო საზოგადოებამ ამ ორი უკანასკნელის ჩამდენთ უკვე გამოუტანა ვერდიქტი. ისინი არიან დამნაშავეები, რომელთა საქციელის მიზეზების ძიება ან მათთან მოლაპარაკება საჭირო არ არის, ისინი უნდა განადგურდნენ. ჩეჩნების მიმართ ამგვარ შეფასებას კი დასავლეთი არ იზიარებს.

საერთო აზრით, ჩეჩნური ტერორიზმი არის არა "საერთაშორისო ჯიჰადის" ნაწილი, არამედ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თუნდაც დამახინჯებული ფორმა და რეაქცია რუსეთის ძალოვანების არაადამიანურ მოქმედებებზე.

"მართალია, არსებობს გარკვეული მსგავსებები (ჩეჩენ ტერორისტებსა და "ალ ქაიდას" შორის), მაგრამ ჩეჩნებს აქვთ ლეგიტიმური პრეტენზიები რუსების ხანგრძლივ და სასტიკ მმართველობასთან დაკავშირებით. პუტინმა უნდა აღიაროს, რომ ამბოხებას მხოლოდ ძალის გამოყენებით ვერ ჩაახშობს. ამერიკამაც, თუ სარგებლის მოტანა უნდა, ბეჭებზე ხელი არ უნდა უტყაპუნოს პუტინს," – წერს "ნიუ-იორკ ტაიმსი."

"დასავლეთმა არ უნდა მისცეს საშუალება რუსეთს, თავისუფლებისათვის ბრძოლა ტერორიზმად წარმოაჩინოს... 1999 წლიდან რუსებმა 80 ათასამდე ჩეჩენი მოკლეს," - წერს გაზეთი "ქრისჩიენ საიენს მონიტორი".

"ჩეჩნები გაცილებით უფრო ადრე იბრძოდნენ, ვიდრე "ალ ქაიდა" გამოჩნდებოდა, - წერს ჟურნალი "ტაიმი," – და, როგორც ჩანს, გააგრძელებენ ამ ბრძოლას, იმის მიუხედავად, როგორ დამთავრდება ანტიტერორისტული კამპანია. ჩეჩნური ტერორიზმი ბარბაროსული ოკუპაციის შედეგია".

ტერაქტის შემდეგ, ბევრი მიანიშნებს ჩეჩნეთში ომის ახალი ძალით განახლების საფრთხეზე. "პუტინმა ნათლად განაცხადა, რომ ჩეჩნებთან შეთანხმებას არ აპირებს და ახალ სამხედრო ინიციატივაზე გააკეთა მინიშნება, იმ იმედით, რომ დასავლეთი მისთვის ხელის შეშლას ვეღარ გაბედავს. სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იწონებს კრიზისის გადაწყვეტის პუტინისეულ ვარიანტს," – წერს ბრიტანული "ტაიმსი."

საერთაშორისო საზოგადოება პუტინისაგან ახალ სამშვიდობო ინიციატივას მოელის. ამ დროს, ზავს ითხოვს მასხადოვის ადმინისტრაციაც. ვიცე-პრემიერმა ზაკაევმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა, მოლაპარაკებების მაგიდას "წინასწარი პირობების" გარეშე მიუჯდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩეჩნეთი სრულ დამოუკიდებლობას აღარ ითხოვს. ოფიციალური მოსკოვის პასუხი ერთმნიშვნელოვანია: "ჩვენ ბანდიტებთან მხოლოდ იარაღის დაყრის პირობებზე შეგვიძლია მოვილაპარაკოთ".

მართლაც, პუტინმა ჩეჩნეთში მყოფ რუსულ სამხედროებს უფლებები გაუზარდა. საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ მთელ ჩეჩნეთში გრანდიოზული "ზაჩისტკა" ეწყობა, რასაც უკვე 30-მდე "ბოევიკის" სიკვდილი მოჰყვა.

თუმცა, დასავლური პრესის აზრით, საეჭვოა, რუსმა სამხედროებმა იმაზე მეტის მიღწევა შეძლონ, ვიდრე აქამდე მოახერხეს. ისინი, მეოთხე წელია, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ ჩეჩნეთში, მაგრამ ჯერ იქ სტაბილიზაციის ნიშნები არ ჩანს. ის ფაქტიც, რომ 50-მა კბილებამდე შეიარაღებულმა ჩეჩენმა მოსკოვის ცენტრში შეაღწია და ათასი კაცის მძევლად აყვანა შეძლო, რუსეთის უსაფრთხოების სამსახურების სავალალო მდგომარეობაზე მიანიშნებს. საეჭვოა, მათ ომის წარმატებით დამთავრება შეძლონ.

ამ დროს კი ჩეჩნები ახალი ტერაქტებით იმუქრებიან.






მოსკოველების ლოზუნგები შტურმის წინ.

# იორდანიაში ამერიკელი დიპლომატი მოკლეს



მკვლელობის ადგილი.

იორდანიის ინფორმაციის მინისტრის განცხადებით, ქვეყნის დედაქალქ ამანში, საკუთარ სახლთან მოკლეს ამერიკელი დიპლომატი. ის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("იუესადის") თანამშრომელი ლოურენს ფოული აღმოჩნდა. მინისტრის ინფორმაციით, მკვლელმა მას იმ დროს ესროლა, როცა დიპლომატი დილის 7:30-ზე სახლიდან გადიოდა და მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა. თვითმხილველთა გადმოცემით, მას რამდენჯერმე ესროლეს. შესაძლოა, დანაშაულში რამდენიმე მკვლელიც მონაწილეობდა. მოკლული დიპლომატი პირველმა მისმა ცოლმა სახლთან, ბაღში ნახა, რის შემდეგაც მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. იორდანიის ინფორმაციის მინისტრის თქმით, აშშ-ს დიპლომატის მკვლელობა იორდანიის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებული აქცია იყო. თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, ჯერ ნაადრევია იმის თქმა, თუ ვინ მოკლა დიპლომატი - ტერორისტმა თუ ჩვეულებრივმა კრიმინალმა.

## მოკლედ

**ესპანეთი.** ორშაბათს, ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის მიწვევით ესპანეთის დედაქალაქში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ირანის პრეზიდენტი მოჰამად ხათამი. ეს ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში უმაღლესი დონის პირველი ვიზიტია. ესპანეთი ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების მოცულობით მეოთხე ადგილზეა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ვიზიტის მსვლელობის დროს ხელი მოეწერება ესპანეთ-ირანის შეთანხმებას ინვესტიციების დაბანდების თაობაზე. ორ ქვეყანას შორის კონტრაქტის ღირებულება, დაახლოებით, 5 მილიარდ ევროს შეადგენს.

■ ■ ■

**პაკისტანი.** ქალაქ ყარაჩიში იემენური წარმოშობის საერთაშორისო ტერორისტი რამზი ბენ ალ-შიბა დააპატიმრეს. მას ჩხრეკისას ოსამა ბინ ლადენის ცოლის და რამდენიმე შვილის პასპორტები უპოვეს. ალ-შიბა გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფების მთავარ მეკავშირედ განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ "ალ ქაიდას" სწორედ ეს დაჯგუფებაა მთავარი ეჭვმიტანილი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების განხორციელებაში. პაკისტანის პოლიციამ ამოღებული პასპორტები უკვე გადასცა აშშ-ს სამართალდამცავებს.

■ ■ ■

**ბოსნია.** ბოსნიელი სერბების მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებათ ერაყთან იარაღით ვაჭრობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მკაცრი გამაფრთხილებელი განცხადებები გააკეთეს. საერთაშორისო სააგენტოების ინფორმაციის თანახმად, დასავლეთმა სერბიასა და ერაყს შორის იარაღით ვაჭრობის თაობაზე ახალი დამამტკიცებელი მონაცემები მოიპოვა. იუგოსლავიისა და ბოსნიელი სერბების წარმომადგენლებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს პირობა მისცეს, რომ აღნიშნულ ბრალდებას დეტალურად გამოიძიებენ.

■ ■ ■

**ინდონეზია.** ინდონეზიაში პოლიციის ძალებსა და ცნობილი ისლამისტის აბუ ბაქარ ბაშირის მომხრეებს შორის ძლეირი შეტაკება მოხდა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ქალაქ სოლოს საავადმყოფოდან აბუ ბაშირის ჯაკარტაში გადაყვანას შეეცადნენ. ბაშირის ასობით მხარდამჭერი საავადმყოფოს შენობასთან შეიკრიბა და პოლიციელებს ხელკეტებით გაუწია წინააღმდეგობა. აბუ ბაშირს ინდონეზიაში კუნძულ ბალიზე განხორციელებულ ტერაქტთან კავშირში ედება ბრალი.

■ ■ ■

**აშშ.** შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ გაერო-მ უახლოეს კვირაში ერაყის შესახებ "ფუნდამენტური გადაწყვეტილება" უნდა მიიღოს. **"ჩვენ არ შეგვიძლია, დავუშვათ დებატები, რომლებიც არასდროს არ მთავრდება,"** - დასძინა პაუელმა მეხიკოში გამართულ აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე. ამავე სამიტზე აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა: **"იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ გადადგამს ქმედით ნაბიჯებს სადამ ჰუსეინთან მიმართებაში, ჩვენ თვითონ ჩავუდგებით სათავეში იმ კოალიციას, რომელიც ჰუსეინს განაიარაღებს."**

■ ■ ■

**მაროკო.** გუშინ მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში ტერორისტული ორგანიზაცია "ალ ქაიდას" სამი წევრის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო. მათ გიბრალტარის სრუტესა და მაროკოს უმსხვილეს ტურისტულ ცენტრებში ტერაქტების დაგეგმვა ედებათ ბრალად. ბრალდება ასევე წაყენებული აქვთ შვიდ მაროკოელს, მათ შორის - სამ ქალს, რომლებიც ტერორისტებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ.

როგორც გამოძიების პროცესში გახდა ცნობილი, მაროკოში აღმოჩენილი "ალ ქაიდას" ტერორისტული უჯრედი გიბრალტარის სრუტეში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო გემების წინააღმდეგ გეგმავდა ტერორისტულ აქტებს. ტერორისტები აღნიშნული მიზნის სისრულეში მოსაყვანად დანაღმული კატერის გამოყენებას აპირებდნენ. სწორედ ასეთი მეთოდით განახორციელეს ტერორისტებმა თავდასხმა აშშ-ს ნაღმოსანზე იემენის პორტში 2000 წელს.

■ ■ ■

**პალესტინა.** ოთხი ადამიანი დაიღუპა და, სულ ცოტა, თექვსმეტი დაიჭრა ისრაელში მომხდარი აფეთქების შედეგად. ინციდენტი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაულ დასახლებასთან ახლოს მდებარე ავტოგასამართ სადგურზე მოხდა. ტერაქტი პალესტინელმა თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა. ისრაელის რადიოს ცნობით, ტერორისტი ებრაელმა სამხედროებმა შენიშნეს, თუმცა მისი გაუვნებელყოფა ვერ მოახერხეს. ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანა მოასწრო. სამი დაღუპული ისრაელის არმიის სამხედრო მოსამსახურეა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ორმა პალესტინურმა დაჯგუფებამ - ჰამასმა და "ალ აქსას წამებულთა ბრიგადამ" აიღო საკუთარ თავზე.

როგორც ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, პალესტინის ავტონომიის მეთაური იასირ არაფატი არაფერს აკეთებს იმისათვის, რათა პალესტინელთა მხრიდან ძალადობის კამპანია შეაჩეროს. თავის მხრივ, მომხდარი დაგმო პალესტინის ადმინისტრაციამ.

ტერაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ისრაელის არმიის ჯარისკაცებმა ქალაქ ნაბლუსში ორი პალესტინელი მოკლეს. ისრაელის სამხედროების თქმით, ისინი ცდილობდნენ პალესტინელების დაკავებას, მაგრამ, მათგან ცეცხლის გახსნის შემდეგ, იძულებულები გახდნენ, მათი ლიკვიდაცია მოეხდინათ. პალესტინური წყაროების განცხადებით, მოკლული პალესტინელები დაჯგუფება "ალ აქსას ბრიგადის" წევრები იყვნენ.

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** სულ ცოტა, ოცი ადამიანი დაიღუპა დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპის ნაწილში შტორმის შედეგად. ქარის სიძლიერემ საათში 160 კილომეტრს მიაღწია. დიდ ბრიტანეთში სტიქიის შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა, მათგან სამი ბავშვია. ქვეყნისათვის მიყენებული ზარალი 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული. დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში მწყობრიდან არის გამოსული სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, დაზიანებულია ელექტროგადაცემების ხაზები. სინოპტიკოსების მონაცემებით, ამ კვირაში ასეთი სიძლიერის შტორმი აღარ გამეორდება.

# ბრაზილიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ბრაზილიაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების წინასწარი მონაცემების თანახმად, მემარცხენე ძალთა ლიდერმა ლუის იგნასიო ლულა და სილვამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ამ დროისათვის, ჯერჯერობით, საარჩევნო ბიულეტენების 95 პროცენტია დათვლილი, თუმცა, საბოლოო შედეგები გამარჯვებულს უკვე აღარ შეცვლის. ლუის იგნასიო ლულას გამარჯვება უკვე მიულოცა მისმა მთავარმა მოწინააღმდეგემ ჟოზე სერამ, რომელსაც ბრაზილიის მმართველი პარტია უჭერდა მხარს. **"მე გამარჯვებულს წარმატებას ვუსურვებ, ბრაზილიის ბედი მის ხელშია,"** - განაცხადა სერამ. ლულამ ასევე მიიღო მილოცვა შეერთებული შტატების ადმინისტრაციისგანაც.

ბრაზილიის ბევრი ამომრჩეველი ამაზონის მიუვალ ჯუნგლებში ცხოვრობს და დანარჩენი სამყაროსგან მთლიანად იზოლირებულებია. ეს ფაქტი კი, რა თქმა უნდა, არჩევნების ჩატარებას საგრძნობლად ართულებს, თუმცა, უახლესი ელექტრონული ყუთების მეშვეობით ჩატარებულმა ბოლო არჩევნებმა საკმაოდ დიდი წარმატებით ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე ლუის იგნასიო ლულა ლიდერობდა და თავის კონკურენტს, სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, თითქმის ორჯერ უსწრებდა. საბოლოო შედეგიც, დაახლოებით, ასეთივე აღმოჩნდა.

ბრაზილიის ერთ-ერთი წამყვანი კომენტატორის, კრის გარმონის აზრით, ლულას ასეთი წარმატება ქვეყანაში შექმნილმა რთულმა სოციალურმა ვითარებამ განაპირობა. ბრაზილიაში ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა უმუშევრობა და მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებს შორის არსებული ზღვარი. ბრაზილიაში ამ უარყოფითი ტენდენციების მთავარ მიზეზად, როგორც ყველგან, ხელისუფლებას თვლიდნენ, რომლის წევრიც ლულას კონკურენტი ჟოზე სერა გახლდათ.

ახალი პრეზიდენტის წინაშე ურთულესი ამოცანები დგას. ქვეყანა კოლოსალური მოცულობის საგარეო ვალებშია ჩაფლული, რომელიც 260 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს ციფრი ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარია. მოსახლეობა კი ახალ პრეზიდენტს მაინც უდიდესი იმედით შეჰყურებს. გაართმევს თუ არა სილვა ამ პრობლემებს თავს, მომავალი გვიჩვენებს.





## მიკროავტობუსებს ნელ-ნელა „წყალი შეუდგება"

*"თბილტრანსმა" მიკროავტობუსების შესამცირებლად გამიზნული ღონისძიების განხორციელება დაიწყო - ერთი კვირის წინათ ავტობუსების შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. როგორც მისი ხელმძღვანელი ოთარ ჭიპაშვილი აცხადებს, კონკურსით უკვე ბევრი დაინტერესდა. იგი 4 ნოემბრამდე გაგრძელდება.*

ნანა ქადაგიშვილი

შეგახსენებთ, რომ "თბილტრანსს" საინტერესო იდეა გაუჩნდა - ქალაქის ქუჩების განტვირთვას ავტობუსების პარკის ნელ-ნელა შევსებით აპირებს. საქალაქო ტრანსპორტის მართვის სამსახური იმედოვნებს, რომ დიდი და იაფი ავტობუსები "მარშრუტკებს" ჩაენაცვლება და ქალაქის განტვირთვის პრობლემაც მშვიდობიანად მოგვარდება. "მიკროავტობუსების ძალით შემცირებას სოციალური აფეთქება მოჰყვება, რადგან 3200 სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ოჯახს ამითი არჩენს. ამიტომ, ჯობს, დიდი ავტობუსების შემოყვანით "მარშრუტკების" რაოდენობა ნელ-ნელა და უმტკივნეულოდ შევამციროთ. ავტობუსით მგზავრობა უფრო იაფიც ეღირება და ქალაქსაც ნაკლებად გადატვირთავს, რადგან ერთი ავტობუსი 4 "მარშრუტკას" უდრის. ასეთი ტრანსპორტი მგზავრებისთვისაც მომგებიანია და მისი პატრონისთვისაც", - აცხადებს ოთარ ჭიპაშვილი.

მიკროავტობუსების მძღოლებს, ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, წლეულს, სადარდებელი მაინც არაფერი აქვთ. წლის ბოლომდე მერია 12-13-ზე მეტ ავტობუსს ვერ შეისყიდის. 13, თუნდაც კომფორტული და იაფი ავტობუსი 3200 "მარშრუტკას" კონკურენციას ვერ გაუწევს. მომავალი წლისთვის კი "თბილტრანსს" უფრო სერიოზული გეგმები აქვს. ქალაქის მერი 2003 წლის ბიუჯეტში ავტობუსების შესაძენად უფრო სოლიდური თანხის გათვალისწინებას შეჰპირდა. ამის გარდა, მუშავდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის შევსების 5-წლიანი პროგრამა, რომელსაც ასევე ქალაქის ბიუჯეტი დააფინანსებს. "თბილტრანსს", მერიის გარდა, უცხოელების იმედიც აქვს. იტალიელები ნახმარი ავტობუსების ჩუქებას შეგვპირებიან. იაპონელები კი საქართველოში ავტობუსების პარკის შევსებით უფრო სერიოზულად დაინტერესებულან - თუ ქართული მხარისთვის მათი პირობები მისაღები იქნება, შეიძლება, ერთობლივი საწარმოებიც შეიქმნას.

## პლაგიატორის ჭია სამეცნიერო ბაზარს ხრავს

*საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მოპოვება-მინიჭების ახალი ბუმია. ეს კარგიცაა და ცუდიც. მეცნიერებისკენ ლტოლვა მისასალმებელია, მაგრამ ნებისმიერი ბუმი ჩვენში ჩაწყობის ნიადაგიცაა. ქართული მეცნიერების, ერთი შეხედვით, უშფოთველ გარემოში ფართო საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი რყევებია. მათ სიხშირესა თუ სიძლიერეზეა დამოკიდებული, დაიშლება თუ გაძლებს "თეთრსაყელოიანთა პირამიდა".*

გიორგი გახელაძე

მიმდინარე წლის 12 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზიგფრიდ გრიგოლაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს) თავმჯდომარეს გიორგი ხარაძესა და ამავე საბჭოს ეკონომიკური სექციის თავმჯდომარეს ვლადიმერ პაპავას. გრიგოლაშვილი საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სამეცნიერო საბჭოდან მისი გასვლის საკითხს აყენებდა. საგანგაშო ამაში არაფერია, მაგრამ განმცხადებლის მიერ დასახელებულმა მიზეზებმა კი დიდი შეშფოთება გამოიწვია. ხომ წარმოგიდგენიათ, მარკეტინგის დოქტორობის რამდენი და როგორი მსურველია საქართველოში?

"თუ ჩემს მიერ წარმოდგენილი ფაქტები საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკურ სექციას არ დააკმაყოფილებს, სადისერტაციო საბჭოს უარყოფითად შესაფასებლად, დამატებით წარმოვადგენ საბჭოს რამდენიმე წევრისა და ერთი სადოქტორო დისერტაციის ავტორის პლაგიატობის დამამტკიცებელ დოკუმენტებს", - ასე სრულდება პროფესორ გრიგოლაშვილის განცხადება. მანამდე კი იგი ბრალს სდებს საბჭოს სწავლულ მდივანს იზოლდა ადეიშვილს სამეცნიერო ცენზის შეუსაბამობაში (ი. ადეიშვილი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია). ზიგფრიდ გრიგოლაშვილი სწორედ ამ ქალბატონის "დილეტანტობისა და უცოდინარობის" შედეგად მიიჩნევს სადისერტაციო საბჭოს მიერ დაშვებულ "გამოუსწორებელ შეცდომებს". "კერძოდ, საბჭომ, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, სწავლული მდივნის დაჟინებული მოთხოვნით, მარკეტინგის სპეციალობით ისეთ დისერტაციებს მისცა მსვლელობა, რომლებსაც აპრობაცია მარკეტინგის კათედრაზე არ გაუვლიათ", - ამბობს 16 ოქტომბრით დათარიღებულ განმარტებით ბარათში პროფესორი გრიგოლაშვილი. იგი სხვა პრეცედენტებსაც ასახელებს. აპრობაციების უგულებელყოფის გარდა, დასახელებულია ის ნაშრომები, რომლებიც ან მოთხოვნებს არ პასუხობენ, ან საბჭოს პროფილს არ შეესაბამებიან.

სასწრაფოდ შეიკრიბა სეს-ის ეკონომიკური სექცია და განცხადებაში დასახელებული ბრალდებების შემსწავლელი სამკაციანი კომისიაც შექმნა: იაკობ მესხია (ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), გიორგი წერეთელი (ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი) და ჰამლეტ გიორგაძე (აგრარული უნივერსიტეტის კათედრის გამგე). სექციის თავმჯდომარე ვლადიმერ პაპავა დარწმუნებულია მათ კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობაში: "ამავე კომისიამ რამდენჯერმე დაამტკიცა თავისი უკომპრომისობა. სხვათა შორის, გრიგოლაშვილის გამოკლებით, საბჭო თავის უფლებამოსილებას არ კარგავს, მაგრამ, ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში, საბჭოს დავშლით. მით უფრო, პლაგიატობას არავის ვაპატიებთ. ამავე აზრს იზიარებს სეს-ის თავმჯდომარეც."

სამეულმა უკვე დაიწყო მოკვლევა, შეხვდნენ ზიგფრიდ გრიგოლაშვილს და ვრცელი არგუმენტაცია მოსთხოვეს. ახლა გრძელდება შეხვედრები საბჭოს სხვა წევრებთან. მოხსენებით სექციის სხდომაზე ნოემბრის შუა რიცხვებში გავლენ.

## მოკლედ

**თბილისი.** ნოემბრიდან საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგიის ტარიფი იზრდება. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნული კომისიის პრესცენტრის უფროსის პაატა ვარდოსანიძის განცხადებით, 1 ნოემბრიდან თბილისში ტარიფი 13,7, რაიონებში კი 8,5 თეთრი გახდება. როგორც ვარდოსანიძემ აღნიშნა, გაზრდილ ტარიფზე იუსტიციის სამინისტრომ თანხმობა განაცხადა. რეგისტრაციაში გატარების შემდეგ, აღნიშნული გადაწყვეტილება საკანონმდებლო მაცნეში დაბეჭდვისთანავე შევა ძალაში. შეგახსენებთ, რომ ამჟამად თბილისში ტარიფი 12,4, რეგიონებში კი 8,1 თეთრს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ აჭარაშიც ტარიფი 8,5 თეთრამდე გაიზრდება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** ინვალიდების, მეორე მსოფლიო ომსა და 1992-93 წლების სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ საქველმოქმედო ფონდ "კიარაზს" 20 ათასი დოლარი გამოუყო. როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში განაცხადეს, განკარგულებას ამის შესახებ არძინბამ 25 ოქტომბერს მოაწერა ხელი. საქველმოქმედო ფონდი "კიარაზ" 2000 წლის მარტში შეიქმნა. დამფუძნებლები არიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, დედათა მოძრაობა "მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის", სოხუმის ადმინისტრაცია, სახელმწიფო კომპანიები "აპხაზური", "აპხაზკავშირი", "აპხაზტყე", სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, აფხაზეთის საზღვაო სანაოსნო, აფხაზეთის ავიახაზები. როგორც "კიარაზის" აღმასრულებელმა დირექტორმა გენადი მარღანიამ განაცხადა, ფონდს უკვე ათასზე მეტმა ადამიანმა მიმართა დახმარებისთვის. "ჩვენ ინვალიდებს, მეორე მსოფლიო ომსა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს ვეხმარებით არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ ხელს ვუწყობთ მკურნალობაში, ვეხმარებით საყოფაცხოვრებო და სოციალური პრობლემების მოგვარებაში", - განაცხადა მარღანიამ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**გურჯაანი.** ბოლო ორი წლის განმავლობაში კახეთში მასობრივად იძარცვება მდინარის დამბების გასამაგრებელი ცემენტის ფილები. მათ დაცვაზე, სამწუხაროდ, პასუხისმგებელი არავინაა, გახშირებული წვიმები კი მოსახლეობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. გურჯაანის რაიონში 28 ოქტომბერს მოსულმა წვიმამ მდინარე ჭერმისხევი აადიდა. მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდა და სოფელ ველისციხეში ათობით სახლი დატბორა. დაზარალებულთ ზარალის ანაზღაურებას არავინ ჰპირდება. საზოგადოება „გურჯაანის" თავმჯდომარის მურთაზ შაშიაშვილის ინფორმაციით, შესაძლოა, სტიქიამ რაიონის სხვა სოფლებიც დააზარალოს. დღევანდელი მონაცემებით, გურჯაანში ათობით მდინარისა და ხევის გასამაგრებელი ნაგებობებია გაძარცული. როგორც „მედია-ნიუსს" სანდო წყარომ განუცხადა, მოპარული ფილებით რაიონში თანამდებობის პირებმა ეზოები მოიპირკეთეს, ზოგმაც არყის სახდელები აიშენა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, გასული კვირის განმავლობაში ქალაქის დასუფთავების დროს სხვადასხვა რაიონში 72 დაბინძურებული წერტილი აღმოაჩინეს. ეს, ძირითადად, არაოფიციალური, მოსახლეობის მიერ მოწყობილი ნაგავსაყრელებია. ამის გარდა, 14 ადგილას, საცხოვრებელ კორპუსებთან მდებარე ნაგვით სავსე 55 ბუნკერი გამოვლინდა, ხოლო 15 მისამართზე - ნაგვით სავსე კონტეინერი. ინსპექციის ინფორმაციით, გამოვლენილი დარღვევებიდან დღეისთვის ნაგავი გატანილია მხოლოდ 47 წერტილიდან, დანარჩენი უკანონო ნაგავსაყრელები და ბუნკერები დაუსუფთავებელია. **მედია-ნიუსი**

## ქუჩის აქციების ბიზნესი

*თბილისში, ოფიციალური სტრუქტურების წინ, საპროტესტო აქციის გამართვა და ცენტრალური ქუჩისა თუ გზის გადაკეტვა ერთგვარ მოდად იქცა. ამ ეგრეთ წოდებული მოდის მიმდევრები ძირითადად მრავალშვილიანი დედები და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახები არიან. ამბობენ, ქუჩის აქციებით მათ მშვენიერი ბიზნესიააწყვეს და აწი შინ რაღა გააჩერებთო.*

ეთერ მამულაშვილი

გუშინ, დილით, მერიის წინ, ისანსამგორის რაიონის ორმოცდაათამდე მრავალშვილიანმა დედამ კიდევ ერთი ასეთი საპროტესტო აქცია მოაწყო. მათ შალვა დადიანის ქუჩაც ერთი საათით გადაკეტეს. გულმოსული და დაგვიანებული მგზავრები სამარშრუტო ტაქსებიდან აქციის მონაწილე ქალებს ტრადიციულ ქართულ გინებასაც უთვლიდნენ: "არ რცხვენიათ ამხელა ქალებს, საკუთარი შვილებით რომ სპეკულანტობენ? სახლში საქმეს და ბავშვებს მიხედონ, ქუჩაში დგომით არაფერი კეთდება", - მანქანის ფანჯრიდან ყვიროდა შუახნის ქალბატონი, რომელსაც ეტყობოდა, რომ სხვებისთვის რჩევის მიცემა ძალიან უყვარდა.

"ქუჩაში გაჭირვებამ და შიმშილმა გამოგვიყვანა, თორემ მოხალისეები და უსაქმურები ნუ გგონივართ", - თავის მხრივ პასუხობდნენ დედები.

გუშინდელ აქციაზე მრავალშვილიანი დედები ქალაქის მერისგან, სულ ცოტა ხნის წინ, მათთვის გამოყოფილი ფულადი დახმარების მიღებას ითხოვდნენ. მერის სპეციალური განკარგულებით, თბილისობასთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უნდა გადაეცათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით. მერიასთან შეკრებილი დედები აცხადებდნენ, რომ საჭირო თანხები დროულად კი გამოიყო, მაგრამ დღემდე მხოლოდ რამდენიმე ოჯახი დააკმაყოფილეს. აქციის მონაწილეებთან გუშინ მივიდა მათივე რაიონის გამგებლის მოადგილე მანანა გოჩალეიშვილი, რომელმაც მრავალშვილიან დედებს გაურკვევლობა შემდეგნაირად აუხსნა: "თქვენ ძალიან ბევრნი ხართ, თანხა კი - ცოტა. ბუნებრივია, ამჯერად ყველას არ გეყოფათ ის ფული, რაც მერიამ გამოყო, მაგრამ, გპირდებით, რომ ნელ-ნელა ყველას დაგაკმაყოფილებთ."

აქციის მონაწილეები მათ რაიონში არსებულ დაჯგუფებებზე საუბრობდნენ. საქმე ის არის, რომ ისანსამგორის რაიონში მრავალშვილიანი დედების რამდენიმე ჯგუფი "მოღვაწეობს". თითოეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი ლიდერი, რომელიც დანარჩენებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებს. მრავალშვილიანი დედების განცხადებით, მათ რაიონში არის პრივილეგირებული დაჯგუფება, რომელსაც ცხრა შვილის დედა ლია მირიანაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფის პრივილეგიურობა იმაში მდგომარეობს, რომ "თუკი რამე დახმარებას დაგვინიშნავენ, პირველ რიგში ეს ჯგუფი მიიღებს. მერია და გამგეობა მათ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. მირიანაშვილის ჯგუფი თითქმის ყოველთვე აქციას აწყობს - ხან კანცელარიის, ხანაც მერიის წინ. მოითხოვენ ფულად დახმარებას და მერიაც დაუყოვნებლივ გასცემს ხოლმე თანხას. ჩვენ გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ ეს ჯგუფი მერიასთან არის შეკრული, რადგან ისინი გამოყოფილი თანხის 20-30 პროცენტი მერიაში ტოვებენ", - აგვიხსნა შვიდი შვილის დედამ, რომელსაც, 100 ლარის გარდა, აინტერესებდა, თუ რატომ არ მიიღო მისმა ოთხმა შვილმა დაპირებული სასკოლო სახელმძღვანელოები?

მირიანაშვილის ჯგუფის პრივილეგიურობაზე ისან-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე მანანა გოჩალეიშვილიც საუბრობს. გოჩალეიშვილმა გვითხრა, რომ იგი პირდაპირ მერის დავალებას ასრულებს. "გეთანხმებით, რომ მირიანაშვილის ჯგუფის თითქმის ყველა მოთხოვნა სრულდება. მე კარგად მესმის აქ შეკრებილი დედების მდგომარეობა, მაგრამ რა ვქნა, როცა ქალაქის მერის სპეციალური ბრძანება გაიცემა, რომ ამ ჯგუფის წევრებს გადაეცეს, ვთქვათ, ასი ლარი. გამგეობას სხვა გზა არ რჩება, გარდა იმისა, რომ ეს ბრძანება შეასრულოს. საერთოდ, გეტყვით, რომ მირიანაშვილის ჯგუფის დედები, სხვა დანარჩენებისგან, თავხედობით გამოირჩევიან. თუ სადმე აქციაა, ან ქუჩაა გადაკეტილი, უმრავლეს შემთხვევაში, ეს ამ ჯგუფის მიერ არის ორგანიზებული. მათ ქუჩის აქციები ერთგვარ ბიზნესადაც კი აქციეს", - გვითხრა მანანა გოჩალეიშვილმა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

აქციის მონაწილენი მერიის შენობასთან

## სოციალიზმი უდრის კორუფციას

*შაბათს, 26 ოქტომბერს, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, ტრადიციულ შაბათობაზე, გაიმართა დისკუსია თემაზე „სოციალიზმი უდრის კორუფციას". მომხსენებელი იყო ეკონომისტი გიორგი ჯანდიერი.*

ლელა მარგიანი

საქართველოში კორუფციაზე კი ლაპარაკობენ, მაგრამ რეალურად არავინ არაფერს აკეთებს მის აღმოსაფხვრელად.

როგორც გიორგი ჯანდიერმა აღნიშნა, მთავარ რეცეპტად ყოველთვის მიიჩნევა კორუფციის წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებების გატარება და არა მისი საფუძვლიანი შესწავლა და მორყევა. რეალურ ინფორმაციას მოკლებული მოსახლეობა კი ფიქრობს, რომ ეს წმინდა ქართული მოვლენაა...

მომხსენებლის აზრით, კორუფცია არ არის ქართული მოვლენა. ის წმინდა ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც, მსგავსი სისტემის პირობებში, ყველგან გაჩნდება. ამის დამადასტურებლად მებაჟეების მაგალითი იქნა მოტანილი: 30-40-ლარიანი ხელფასის პირობებში ამერიკელი მებაჟეებიც ქართველებივით მოიქცეოდნენ.

ყოველ ადამიანს აღელვებს თავისი ცხოვრების გარანტიები, მაგრამ როდესაც ადამიანმა მიიჩნია, რომ თავად შეეძლო მისთვის მისაღები ქცევის წესების გამოგონება, მაშინ ის მივიდა სოციალიზმამდე. სოციალისტური მორალი და სამართალი ხომ მხოლოდ ადამიანის აზროვნების ნაყოფია. ადამიანს კი არც უნარი და არც უფლება არა აქვს, მორალი თვითონ მოიგონოს. ამიტომ „მთავარია, ჩვენ ვიცხოვროთ ბუნების მიერ უკვე დაწესებული კანონებით, ბუნებისა, რომელსაც ჰყავს თავისი უზენაესი და უალტერნატივო შემოქმედი - ღმერთი", - აღნიშნა ჯანდიერმა. ბუნების კანონებში, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, საბაზრო ეკონომიკის კანონებიც იგულისხმება.

მომხსენებლის აზრით, სოციალიზმს და კორუფციას ერთი ბუნება აქვს - კონკურენციის მოდელის გვერდის ავლა. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს არის „მოკლევადიანი" საქმიანობის წესისთვის უპირატესობის მინიჭება „გრძელვადიან" საქმიანობასთან შედარებით. ამის დასადასტურებლად უბრალო მაგალითიც კმარა - ჩვენთან გზას აგებენ 3-5 თვით, განვითარებულ ქვეყნებში - 30-50 წლით. ისინი სარგებელს ეძებენ გრძელვადიან მოქმედებაში, რადგან საქმეს და ქვეყანას ასე სჭირდება.

ჯანდიერის აზრით, საქართველოში კორუფციის „ფანტასტიკური" მოდელია შექმნილი - სახელმწიფო მოხელეთა ელიტას „მოღვაწეობის" ერთწლიანი ვადა აქვს, „შეჭამს" ბევრ ფულს, მერე პრეზიდენტი მოხსნის... არავინ ისჯება.

სახელმწიფო მოხელეთა დაქირავების არსებული სისტემა კორუფციულია, რადგან ეფუძნება ცრუ იდეოლოგიას. რაკი ჩინოვნიკი ვერ იღებს თავისი შრომის ადეკვატურ საზღაურს, იგი იძულებულია, შექმნას ასეთი საზღაურის არაპირდაპირი სახეები სხვადასხვა სახის პრივილეგიების სახით. ეს ყველაფერი ემსახურება ერთადერთ მიზანს - მორჩილი ადმინისტრაციის არსებობას.

მმართველ ელიტას, ასე გახშირებული არჩევნების დროს, მორჩილი დასაყრდენი მოსახლეობაშიც სჭირდება. ამიტომ შექმნილია მასწავლებელთა და პენსიონერთა მართვადი სისტემები.

საქართველოში მიხვდნენ, რომ ცუდია განათლების ცენტრალიზებული სისტემა, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ დაშლილი სამართავად ძნელი იქნება! ამიტომ ურჩევნიათ, ჰყავდეთ 400 ათასი დაქირავებული, მართვადი ამომრჩეველი, რომელსაც ხან მისცემენ მწირ ხელფასსა და პენსიას, ხან - არა.

ჯანდიერის აზრით, „საქართველო მსოფლიოსთვისაც „მართვადია". ამას ემსახურება სხვადასხვა სახის დახმარება. მსოფლიო ბანკს ურჩევნია, ჩვენ კორუფციული საზოგადოება გვიწოდოს, თვითონ კი საქართველოში ფული „გაათეთროს" და ჩვენი მთავრობა მორჩილი ჰყავდეს".

ამიტომ საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ნორმალური დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, არსებობს ერთადერთი გამოსავალი - ჩვენ უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის მართვა დამოუკიდებლად, რაც შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების თითოეული წევრის პირადი პასუხისმგებლობით და არა მართვადი კორუმპირებული ადამიანების არსებობით.

მოხსენების გარშემო გამართული დისკუსიის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერები ერთ საკითხში შეთანხმდნენ: კორუფციის მოსასპობად უარი უნდა ვთქვათ სოციალიზმზე, ანუ ეკონომიკის სახელმწიფო-ადმინისტრაციულ მართვაზე ნებისმიერი ფორმით.

## წერა-კითხვის გამავრცელებელთა ახალი დასი

*პირველი გაერთიანებული ყრილობის (კონვენტის) წინ ასევე გაერთიანებულმა დემოკრატებმა სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფთან შეხვედრები (ფორუმები) დაიწყეს. გუშინ განათლების პრიორიტეტული ჯერი იყო.*

გიორგი გახელაძე

"განათლება ძლიერი სახელმწიფოს საძირკველია", - ასე იწყება გაერთიანებულ დემოკრატთა საპროგრამო თეზისები. გუშინ, 28 ოქტომბერს, სწორედ, ამ ლოზუნგის სამოქმედო გეგმად გარდასახვას ცდილობდნენ პარტიული ლიდერები და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიწვეული 60 პედაგოგი ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მართალია, საზოგადოებისთვის შესათავაზებელი პროგრამის შესამუშავებლად 3-5 თვე განსაზღვრეს, მაგრამ ამოცანის სირთულე ორგანიზატორებმა დასაწყისშივე აღიარეს, რადგან არც სახელმწიფოა ძლიერი და არც განათლებაა მის საძირკველში "ჩატანებული".

"ბოლო სამ წელიწადში, რაც უფრო ინტენსიურად ვსაუბრობდით განათლების პრიორიტეტულობაზე, მით უფრო მცირდებოდა მასზე სახელმწიფო დანახარჯი. ექსპერტთა აზრით, ამ ტენდენციების შენარჩუნებით, 5 წელიწადში წერა-კითხვის უცოდინარობის პრობლემა დაგვიდგება. ნუთუ უზბეკეთსა და აზერბაიჯანზე ნაკლებად უნდა გვაფიქრებდეს ეს ამბავი? - აღშფოთებული იყო ზურაბ ჟვანია, - გამოსავალი მხოლოდ თქვენთან ერთად უნდა მოვძებნოთ, თუმცა, ჩვენ რამდენიმე პრინციპული მოსაზრება გვაქვს."

ერთი ასეთი იდეის განხორციელება იქვე, დარბაზში დაიწყო. გაერთიანებულმა დემოკრატებმა საჯაროდ მოაწერეს ხელი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის ინიციატივას, რაც სავალდებულო განათლების 6-დან 9 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს. "ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მინიმალურ დანახარჯებს საჭიროებს. სამაგიეროდ, ამოივსება ხვრელი, საიდანაც ასობით და ათასობით ბავშვი ქუჩაში გადის", - განმარტა ზურაბ ჟვანიამ. ეს წამოწყება ყველა იქ მყოფმა მოიწონა.

შეხვედრის ინიციატორმა ვასილ მაღლაფერიძემ და თბილისის მერიის მთავარმა მრჩეველმა განათლების საკითხებში მიხეილ მინდაძემ განავრცეს საკუთარი ლიდერის მოსაზრება სკოლების მართვის მაქსიმალური დეცენტრალიზაციის თაობაზე. მთავარი არგუმენტი მოსახლეობის - სკოლის "პირველადი მომხმარებლის" - მართვაში მაქსიმალური ჩართვა და ამით დემოკრატიულობისა თუ გამჭვირვალობის მიღწევა გახლდათ. "უნდა დაინერგოს სკოლის დირექტორის არჩევითობა. ამასთან, გამუდმებული ჩივილი უსახსრობაზე შევცვალოთ არსებული თანხების ეფექტიანი გამოყენებით. ეს კი სამეთვალყურეო, სამეურვეო საბჭოების შექმნით არის შესაძლებელი", – თქვა ვასილ მაღლაფერიძემ. "ჩვენი საუკეთესო მოკავშირეები მშობლები არიან", - იქვე დაუდასტურა საქართველოს პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირის, "სოლიდარობის" ქუთაისელმა თავმჯდომარემ მანანა ღურჭუმელიძემ. მიხეილ მინდაძე ბეჯითად ირწმუნებოდა, რომ სკოლების დეცენტრალიზაციისა და ავტონომიურობის საწინააღმდეგო არგუმენტი - "საზოგადოება ამისთვის მზად არ არის" - უსუსურია. "სამაგიეროდ, ახლა ისეთი ცენტრალიზებული სისტემა მივიღეთ, როგორიც 70-იანი წლების საბჭოთა კავშირშიც არ ყოფილა", - უკმაყოფილო იყო მრჩეველი მინდაძე.

სკოლებზე საუბრისას გამუდმებით აღნიშნავდნენ კვალიფიციური კადრების დაბერებისა და კატასტროფული დენადობის პრობლემას. ამას კი მასწავლებლების სოციალური დაუცველობით ხსნიდნენ: "რა აზრი აქვს რეფორმას სკოლაში, თუ იქ მუშაობა არავის მოუნდება?"

ფორუმზე მკაფიოდ გაცხადდა, რომ გაერთიანებული დემოკრატები არ იზიარებენ კერძო უმაღლესი სასწავლებლების წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიას. მათ საკითხის სხვაგვარად დაყენება სურთ. "დღეს სახელმწიფომ, სამარცხვინო დაფინანსების პირობებში, შეინარჩუნა საბჭოური სახელმწიფო დაკვეთის სისტემა უმაღლესი სასწავლებლებისთვის. მაგრამ ვერ და არ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს. შრომის ბაზარს იგი ვერ მართავს. სწორედ ამ ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი უმაღლესი განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ხარისხის კონტროლის მექანიზმის - აკრედიტაციის ამუშავება", - ეს მოსაზრება ლიკა ღლონტმა ციფრებითაც გაამაგრა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში 18-22 წლის ყოველი მეორე მოქალაქე სტუდენტია და მათგან მხოლოდ 3-4 პროცენტი საქმდება.

ბოლოს ვასილ მაღლაფერიძემ ასეთი პერსპექტივა დახატა: "გლობალიზაციის შეუქცევადი და მზარდი პროცესი ოკეანეს ჰგავს. თუ ცურვას ვისწავლით, კარგ ნაპირთან დავიმკვიდრებთ ადგილს, თუ არა - დავიხრჩობით."

# გაერო-მ ქართულ პოლიციაში სასიკეთო ტენდენცია აღმოაჩინა

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებში, ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა – გაერო-ს ყოველწლიურ მოხსენებაში გაკეთებული ამ დასკვნის შესახებ ამაყად აცხადებდნენ გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე. თუმცა, იმავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის უფროსის დავით მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილი მონაცემები დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. მისი თქმით, მარტო 2002 წლის ცხრა თვეში მათ სამსახურში პოლიციის ორგანოებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე 296 მასალა შევიდა. 245 საქმეზე სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარდა, 32 საქმის მოკვლევა ჯერაც არ დასრულებულა. უკვე დასრულებული მოკვლევების შედეგად, პროკურატურას გადაეგზავნა 106 საქმე, პოლიციის რიგებიდან დათხოვილია - 17, ხოლო დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულია 18 თანამშრომელი.



პრესკონფერენცია შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მთლიანობაში კი, წელს გენერალურ ინსპექციაში პოლიციელთა მხრიდან დარღვევების გამო 1038 საქმე შესულა. ეს ორჯერ მეტია შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით. მარტო გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, შს ორგანოებიდან დათხოვნილია 76 პოლიციელი, თანამდებობიდან გათავისუფლებულია – 51. 1038-დან 246 მოკვლევის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის პროკურატურაში გადაიგზავნა, სადაც 32 პირის მიმართ აღიძრა კიდეც სისხლის სამართლის საქმე, ამათგან 5 პოლიციელს სასამართლომ უკვე შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. როგორც შევიტყვეთ, პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულთა შორის რიცხობრივად ყველას აჭარბებს მოქალაქეთა ფიზიკური შეურაცხყოფა - ამგვარი დანაშაულის გამო წელს უკვე სისხლის სამართლის 13 საქმეა აღძრული; მეორე ადგილზეა ნარკოტიკების შენახვა-მოხმარება – პროკურატურამ პოლიციელების მიერ ჩადენილი ამ დანაშაულისთვის 7 საქმე აღძრა; მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება-ჩხრეკის გამო 3 საქმეა აღძრული, ორიც – სამართალდამცველთა მხრიდან დოკუმენტების გაყალბების გამო აღიძრა.

ნარკომან პოლიციელთაგან ორნი ცოტა ხნის წინ თბილისში მიმდინარე რეიდების დროს დააკავეს კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. რეიდზე გაჩერებულ მანქანას, პოლიციელთა მტკიცებით, აშკარად ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი შს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის სამსახურის ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი ალექსანდრე მარშანია მართავდა. მასთან ერთად იმყოფებოდა აფხაზეთის შს სამინისტროს ნარკომანიის სამსახურის უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ჯანაშია. მოგვიანებით, ორივე მათგანს ნარკოლოგიურ დისპანსერში ნარკოზემოქმედების ქვეშ ყოფნა დაუდასტურეს. მათსავე მანქანაში აღმოჩნდა პოლიეთილენის პარკში შეხვეული ნახევარლიტრიანი ბოთლი, რომელშიც, როგორც ექსპერტიზით დადგინდა, ნარკოტიკული საშუალება "კანაბისის ფისი", ე.წ. "მანაგუა" ესხა. დაკითხვისას დაკავებულმა პოლიციელებმა გულუბრყვილოდ თქვეს, ინფორმატორს წავართვით და გავსინჯეთო. მათი სიტყვები არავის დაუჯერებია. ჯანაშიაც და მარშანიაც დათხოვილნი არიან სამსახურიდან, თანამდებობიდან გაათავისუფლეს აფხაზეთის ნარკომანიის სამსახურის უფროსი ქარდავა. ნარკომანი პოლიციელების საქმე კი უკვე სასამართლოშია გადაგზავნილი.

გამოძიებას დღემდე ემალება გაუპატიურებაში ბრალდებული ისანი-სამგორის შს სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უმცროსი ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი ზურაბ მახარაშვილი. გენერალური ინსპექციის მონაცემებით, მახარაშვილმა, ვითომდა დროებითი საცხოვრებლის მოძებნაში დახმარების მიზნით, წლების მანძილზე მიტოვებულ სახლში შეიტყუა და გააუპატიურა მოქალაქე მ.კ. სამართალდამცველთა ინფორმაციით, პოლიციელს დამხმარეც ჰყავდა, მავანი ქალბატონის სახით. დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიციელი გაქცეულია – ეს კი უკვე საკმარისი საფუძველი გახლავთ იმისათვის, რომ მახარაშვილი პოლიციელთა რიგებიდან გაერიცხათ.

გუშინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე გენერალური ინსპექციის წარმომადგენელმა კახა მარკელიამ განაცხადა: " ჩვენს მიმართ არაერთხელ ითქვა, რომ მხოლოდ რიგით პოლიციელებს ვსჯით. ამის საწინააღმდეგოდ მინდა ვთქვა, რომ იმ 32 პოლიციელიდან, რომელთა წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ოცი ოფიცერია და მხოლოდ თორმეტია რიგითი". სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემულ ოფიცერთა სამხრეებზე ვარსკვლავთა სიმრავლის დასახელება მარკელიამ ზედმეტად ჩათვალა.

# პოლიცია შიდა ქართლში დაწყებული სპეცოპერაციით კმაყოფილია

თამარ კაციტაძე

შიდა ქართლში ქართველ სამართალდამცველთა სპეცოპერაციის დაწყებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების და რუსი სამშვიდობოების მხრიდან გარკვეული უკმაყოფილება მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და უშიშროების საბჭოს მდივანი ჯაფარიძე სპეცოპერაციას დროულს უწოდებდნენ. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ოპერაციის დროს განსაკუთრებული შედეგი კორუფციასთან ბრძოლას მოჰყვებოდა.

შიდა ქართლში სპეცოპერაციის დაწყებიდან ორი კვირა გავიდა და როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, შედეგი უკვე სახეზეა - გაიზარდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. გუშინ გორში შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შექმნილი საგანგებო შტაბის გაფართოებული სხდომა ჩატარდა. შტაბის უფროსმა გენერალმა რუბენ ასანიძემ ბოლო პერიოდის სტატისტიკური მონაცემები მოისმინა. როგორც გაირკვა, რეგიონში პოლიციის დანაყოფების გაძლიერების დაწყებიდან დღემდე სხვადასხვა კატეგორიის 46 დანაშაული მოხდა, მათგან 44 უკვე გახსნილია. შიდა ქართლში, პოლიციელთა თქმით, ამ პერიოდში შეიარაღებული ყაჩაღობის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე ავტომაგისტრალებზე შეწყდა ოსი კრიმინალების თავდასხმებიც. შეგახსენებთ, რომ სპეცოპერაციის დაწყების ძირითადი მიზანი სწორედ ავტომაგისტრალის გაკონტროლება გახლდათ.

საგანგებო შტაბის უფროსი მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებს და მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე რეგიონში დამატებითი ძალების შეყვანის საჭიროება არ არსებობს.

შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ნოდარ დალაქიშვილმა კი, სამომავლოდ რეგიონული ოპერატიული სამსახურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე ისაუბრა.

**"ოპერატიული სამსახური, სავარაუდოდ, შიდა ქართლში საგანგებო ოპერატიული ღონისძიებების დასრულების შემდეგ ამოქმედდება. ეს საკითხი მინისტრთან უკვე შეთანხმებულია, თუმცა, კადრების დაკომპლექტებაზე ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის"**, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნოდარ დალაქიშვილმა.

ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში კონტრაბანდის ერთ-ერთი ძირითადი არხი ერგნეთის ბაზრობაა. მაგრამ პოლიციისათვის ამ გზის გაკონტროლება და დამნაშავეების გამოვლენა რატომღაც დღემდე დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, სამართალდამცველები ცხინვალელ კონტრაბანდისტებთან არიან შეკრულებიო. ასეა თუ ისე, პრეზიდენტმა კონტრაბანდასთან ბრძოლა მოითხოვა და შედეგმაც არ დააყოვნა. მინისტრის ბრძანებით, ოპერაციაში შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველოს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებიც ჩაერთვნენ და აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული რამდენიმე სატვირთო ავტომანქანაც დააკავეს.

"კამაზის" მარკის ავტომობილებში აღმოჩენილი დიზელის საწვავის, დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტისა და რუსული წარმოების საკვები პროდუქტების საერთო ღირებულებამ 80 ათასი ლარი შეადგინა.

ერთ-ერთი ავტომობილი, რომელშიც 65000 ლარის ღირებულების პროდუქტია დატვირთული, მძღოლმა მიატოვა და მიიმალა. ამჯერად სამართალდამცველები მის ვინაობას ადგენენ.

10000 კოლოფი სიგარეტის მეპატრონეების - რუსუდან ნიკოლაიშვილის, ლია მეგრელიშვილის, ლარისა ჩხიკვაძისა და ციური მამალაძის საქმე კი გორის რაიონის პროკურატურაში გადაიგზავნა. როგორც გაირკვა, კონტრაბანდისტებს უკანონო საქონელი, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ოზურგეთში გადაჰქონდათ. დაკავებული ტვირთი, ჯერჯერობით, გორის საბაჟო ტერმინალშია მოთავსებული, მის საბოლოო ბედს კი სასამართლო გადაწყვეტს.

შიდა ქართლის პოლიციელთა მტკიცებით, გამოვლენილი ფაქტები კონტრაბანდასთან ბრძოლის დასაწყისია.

# ბოროტმოქმედებმა წელს მერვე პოლიციელი გამოასალმეს სიცოცხლეს

თამარ კაციტაძე

მიმდინარე წლის ცხრა თვეში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, შვიდი პოლიციელი გარდაიცვალა, 24 კი დაიჭრა. გუშინწინ ბოროტმოქმედებმა კიდევ ერთი სამართალდამცველი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ზუგდიდში პაჭკორიების ოჯახის დასახმარებლად მისულ კანონდამცველებს ყაჩაღებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელი მალხაზ ხუბულავა გარდაიცვალა.

ყაჩაღობისა და პოლიციელის განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ზუგდიდის რაიონის პროკურატურა იძიებს, მაგრამ შესძლებს თუ არა გამოძიება დამაშავეთა მოძებნასა და დაკავებას, ძნელი სათქმელია, რადგან ყაჩაღებმა ენგური გადალახეს და თავი აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შეაფარეს.

ყველაფერი კი კვირას, დაახლოებით, ღამის ათ საათზე მოხდა. დემურ პაჭკორიას სახლში ორი შეიარაღებული ნიღბიანი პიროვნება შეიჭრა. სახლში მხოლოდ დიასახლისი იყო, მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად. ერთი ყაჩაღი ჭიშკართან იყო ჩასაფრებული. ავტომატებით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა დიასახლისს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს, მაგრამ მას ფული არ ჰქონდა და ყაჩაღებს ოქროულობა მისცა. ვიდრე თავდამსხმელები ბინაში იქექებოდნენ, სახლში დემურ პაჭკორიაც დაბრუნდა. ოთახში შესულ ოჯახის უფროსს ერთ-ერთმა ქურდმა თავში ავტომატის კონდახი ჩაარტყა და ფული მოსთხოვა, მაგრამ 50 ლარზე მეტი არც პაჭკორიას აღმოაჩნდა.

ამასობაში პაჭკორიების ძარცვის ამბავი მეზობლებმა გაიგეს და პოლიციას შეატყობინეს. შემთხვევის ადგილზე პირველად საგზაო პოლიციის თანამშრომელი რევაზ თორია მივიდა. ჭიშკართან ჩასაფრებულმა ყაჩაღმა უიარაღო პოლიციელს ავტომატი მიაბჯინა და უბრძანა, არ განძრეულიყო. ცოტა ხანში პაჭკორიების სახლთან ოპერატიული ჯგუფი (ათი პოლიციელის შემადგენლობით) მივიდა. ოპერაციის დაწყებამდე სამართალდამცველები ეზოში აპირებდნენ განლაგებას, მაგრამ ამ დროს ბოროტმოქმედებმა სროლა დაიწყეს. ტყვია პოლიციელ მალხაზ ხუბულავას მოხვდა, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ყაჩაღებმა არეულობით ისარგებლეს, დემურ პაჭკორია, მისი მეუღლე და საგზაო პოლიციელი - თორია აიფარეს და სროლა-სროლით ქუჩაში გავიდნენ. მძევლების უსაფრთხოების გამო, სამართალდამცველებმა ცეცხლის გახსნა ვეღარ შესძლეს. ყაჩაღებმა ტყვეები საგზაო პოლიციის ავტომობილში - "გაზ-24"-ში ჩასვეს და აფხაზეთისკენ წავიდნენ. მოგვიანებით დაზარალებულები იხსენებდნენ: "ადიდებული მდინარის მანქანით გადალახვა შეუძლებელი იყო, მაგრამ ბოროტმოქმედები ენგურში მაინც შევიდნენ. მანქანას მოტორი მაშინვე ჩაუქრა. ყაჩაღებმა ავტომობილიც და ჩვენც მდინარეში მიგვატოვეს, თავად კი ფონი მოძებნეს და ენგური გადალახეს".

ზუგდიდის პროკურორის - მებრძოლი ჭკადუას თქმით, ყაჩაღებმა თავი, სავარაუდოდ, გალის რაიონის სოფელ დიხაგორს შეაფარეს.

ვინაიდან თავდამსხმელებს ნიღბები ეკეთათ, მათი ამოცნობა ან აღწერა ვერავინ შესძლო. ამასთან, დაკითხული დაზარალებულები აღნიშნავენ: "ყაჩაღები ჩვენ უაქცენტო მეგრულით გველაპარაკებოდნენ, ერთმანეთში კი ასევე უაქცენტო რუსულით საუბრობდნენ". აქედან გამომდინარე, როგორც მებრძოლი ჭკადუა აღნიშნავს, ძნელი დასადგენია მათი ეროვნებაც.

"ჩვენ უკვე მივმართეთ აფხაზეთის ხელისუფლებას და რუს სამშვიდობოებს და მათ ბოროტმოქმედების დადგენასა და დაპატიმრებაში დახმარება ვთხოვეთ, მაგრამ რამდენად შედეგიანი იქნება თანამშრომლობა, ძნელი სთქმელია", - განაცხადა ჩვენთან საუბარში რაიონის პროკურორმა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელი – 25 წლის მალხაზ ხუბულავა შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო ჯილდოზე წარადგინა. გარდაცვლილის ოჯახს კი, კომპენსაციის სახით, ათი წლის ხელფასის ოდენობით დაეხმარნენ.

# პოლიცია ბიზნესმენებს ფალსიფიკატორებთან ბრძოლაში დახმარებას სთხოვს

სოფიკო ჩხაიძე

შს სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს უფროსი მალხაზ ლიპარტია ქართველ მეწარმეებს ფალსიფიკატორების წინააღმდეგ თანამშრომლობისკენ მოუწოდებს. ლიპარტიას თქმით, სამმართველოს რიგ საწარმოებთან, მაგალითად, "ბორჯომის", "კოკა-კოლას", "ტრიუმფის" მწარმოებელ ფირმებთან უკვე აქვს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრაქტიკა. მეტიც, გასულ კვირას დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული პროდუქციაც კი გამოავლინეს ერთად.

როგორც ცნობილია, "ბორჯომს" საქართველოში "საქართველოს მინისა და მინერალური წყლის კომპანია" ასხამს. თუმცა, ისიც ყველას მოეხსენება, რომ ქართული ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული "ბორჯომით". ცხადია, თვით ბორჯომის რაიონის სოფელ რველში მიგნებული ერთი ოჯახური საწარმო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დიდი ფალსიფიკატორული ქსელისა, მაგრამ კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ისიც კარგია, რომ რამდენიმე ადამიანი გადაურჩება საშინელ ანტისანიტარიაში ჩამოსხმული გაურკვეველი წარმომავლობის წყლის დალევას. რველში მცხოვრები იოსებ ტაბატაძისგან კი სამართალდამცველებმა სხვადასხვა ტევადობისა და ფორმის ბოთლებში ჩამოსხმული 1200-მდე ბოთლი "ბორჯომად" წოდებული სითხე, წყლის ჩამოსასხმელი და ბოთლების სახუფი დანადგარები, დიდი რაოდენობით ეტიკეტები, ლითონისა და პლასტმასის საცობები და სხვა დამხმარე მასალა ამოიღეს. თავად არალეგალური საამქროს მეპატრონე იოსებ ტაბატაძე სამართალდამცველებს გამოუტყდა, რომ ფალსიფიცირებულ "ბორჯომს", უკვე ორი წელია, ასხამს. ამჟამად მიმდინარეობს ღონისძიებები მის მიერ ჩამოსხმული ფალსიფიცირებული "ბორჯომის" სავაჭრო ქსელიდან ამოსაღებად და იმ ზარალის დასადგენად, რაც ტაბატაძემ თავისი საქმიანობით "საქართველოს მინისა და მინერალური წყლის კომპანიას" მიაყენა.

"ბორჯომისგან" განსხვავებით, სამართალდამცველებმა ჯერაც ვერ მიაგნეს ბაზრობა "თერგის" ტერიტორიაზე, არაყ "ტრიუმფის" მწარმოებლებთან ერთად, აღმოჩენილი დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს. ერთი ჯიხურიდან ამოღებული ფალსიფიცირებული სასმელის რაოდენობა და ასორტიმენტი მეტად შთამბეჭდავი გახლავთ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მარტო პროდუქციის დასახელება 240-ს აღწევს. ქართული კონიაკები: "სარაჯიშვილი", "ვარციხე", თბილისური", "გრემი", უცხოური სასმელები: "მარტინი", "ჯონ ვოკერი", "ბალანტაინი", სომხური კონიაკები: "ხმალი", "არწივი", "დოქი", სხვადასხვა დასახელების არყები და შამპანურები. პოლიცია დარწმუნებულია, რომ თვით რეალიზატორებმაც შესანიშნავად იციან, რომ მათ ფალსიფიცირებულ პროდუქციას აწოდებენ, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით, ფალსიფიცირებული პროდუქციის მხოლოდ დამამზადებელი ისჯება, გამყიდველს კი ამისათვის ვერავინ შეეხება.

სხვადასხვა პროდუქტების ფალსიფიკატორების გარდა, შს სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლებმა დოკუმენტების ფალსიფიკატორებიც ამხილეს. თუმცა, ეს ერთადერთი დანაშაული არ არის, რომლისთვისაც პოლიცია შპს "ენერგიას" დირექტორს გოჩა რუხაძეს ედავება. სამართალდამცველთა მონაცემებით, რუხაძემ 1998-99 წლებში ამერიკული კომპანია "ისი ქემიკალ სუპლი ინკ"-დან მიღებული 93 930 დოლარის საქონელს გაუკეთა რეალიზაცია და მთელი შემოსავალი მიითვისა. მანვე 1998 წელს უცხოეთიდან მიღებული 34 305 დოლარის საქონელი ხელოვნურად შემცირებული ფასებით განაბაჟა, რითიც თავი აარიდა 8 356 ლარის ოდენობის საბაჟო გადასახადის გადახდას. იმავე რუხაძის ანგარიშზეა თურქმენეთში გასაგზავნი 126 420 ლიტრი "ჟენშენის კომპოზიციის" ნაყენისთვის, დოკუმენტების გაყალბების გზით, საბაჟო რეჟიმის შეცვლა და მთელი ნაყენის სპირტად გადამუშავება. ამ ოპერაციის შედეგად, რუხაძემ 33 160 ლიტრი სპირტი მიიღო, შემდეგ ეს სპირტი, საბაჟოს გვერდის ავლით, სააქციო საზოგადოება "კრისტალში" შეიტანა, დააკუპაჟა და 28 000 ლიტრი 40-პროცენტიანი არაყი დაამზადა. გოჩა რუხაძემ არაყს მალევე გაუკეთა რეალიზება და შემოსული თანხებიც, ცხადია, მიითვისა. ამჟამად ამ საქმეზე მოკვლევა მიმდინარეობს.

# ქურდობისთვის ხუთჯერ ნასამართლევი მეექვსედ ცოლის მკვლელობისთვის მოიხდის სასჯელს

გუშინ ქარელის რაიონის პროკურატურაში შეტყობინება შევიდა - სოფელ იმერხევში ქმარმა ცოლი მოკლა. სამართალდამცველები ინფორმაციის გადასამოწმებლად მთიან სოფელში ავიდნენ. მიცვალებული მართლაც ნახეს- ცხინვალელი ფატიმა ქოზაევა, მაგრამ ქმარი გივი ქელეხსაშვილი და მისი მეზობლები ამტკიცებდნენ,რომ 42 წლის ქალი მოულოდნელად გარდაიცვალაო. გამომძიებელმა გარეგნული დათვალიერებისას აღმოაჩინა, რომ გარდაცვლილს თავი გატეხილი ჰქონდა. მეზობლებმაც და გივი ქელეხსაშვილმაც ჩვენება სასწრაფოდ შეცვალეს - ფატიმა კიბეზე დაგორდა, თავი გაუტყდა და გარდაიცვალაო.

სახლის შემოწმებისას პროკურატურის თანამშრომლებმა დამტვრეული სკამი იპოვეს, რომელზეც სისხლი და თმები იყო დარჩენილი.

სიკვდილის ზუსტი მიზეზის დასადგენად ფატიმა ქოზაევას გვამი სამართალდამცველებმა ქარელში გადაასვენეს და ექსპერტიზა ჩაუტარეს. ექსპერტმა თავიდან ხის ნაჭერი ამოიღო და დაადგინა, რომ ფატიმა ქოზაევა თავში ხის საგნის ჩარტყმით იყო მოკლული.

ქარელის პროკურატურაში ფატიმა ქოზაევას განზრახ მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქმარი, ქურდობისთვის ხუთჯერ ნასამართლევი, (სულ 24 წელი მოიხადა ციხეში) 56 წლის გივი ქელეხსაშვილი დააპატიმრა.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მეუღლის მკვლელმა აღიარა: **"მე და ჩემი ცოლი შაბათს ქორწილში ვიყავით. ღვინო დავლიე და დავთვერი. ამ დროს დავინახე, რომ ჩემი ცოლიც სვამდა. არ მესიამოვნა და სახლში რომ მივედით, საყვედური ვუთხარი. მერე ჩხუბი მოგვივიდა. მე სკამი მოვუქნიე და შემთხვევით თავში მოხვდა. იატაკზე რომ დაეცა, შემეშინდა და გარეთ გავედი. მეზობლებს ვუთხარი, რაც დამემართა და ვთხოვე, ჩემი ცოლისთვის მიეხედათ, მაგრამ ცოტა ხანში მითხრეს, მოკვდაო".**

ასე დასრულდა ქელეხსაშვილისა და ქოზაევას რამდენიმეთვიანი ცოლქმრობა.

როგორც ქარელის პროკურორმა დიმიტრი სამნიაშვილმა გვითხრა: **"მიმდინარე წელს ქარელის რაიონში უკვე მეშვიდე მკვლელობა მოხდა და შვიდივე გახსნილია. მკვლელები, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან,"** – გვითხრა პროკურორმა.

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში უკვე მეორედ გადაიდო ბასილ მკალავიშვილისა და იეღოველთა სექტის წარმომადგენელთა სასამართლო პროცესი.

როგორც გაირკვა, სხდომის გადადების მიზეზი გახდა დაზარალებული მხარის - იეღოველების სასამართლო პროცესზე არასაკმარისი რაოდენობით გამოცხადება. ცნობისათვის: გლდანის მართლმადიდებლური ეპარქიის წინამძღვარი ბასილ მკალავიშვილი და ეპარქიის წევრი პეტრე ივანიძე ბრალდებულნი არიან იეღოველთა დარბევაში, ევანგელისტური ლიტერატურის დაწვასა და სახალხო დამცველის ოფისზე თავდასხმაში.

სხდომის დაწყებამდე იეღოველთა ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა დააყენა შუამდგომლობა საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნების მოთხოვნით, რადგან მიაჩნია, რომ ბრალი არა მარტო მკალავიშვილსა და ივანიძეს, არამედ სხვებსაც უნდა წაუყენონ. შუამდგომლობას მკალავიშვილი და მისი ადვოკატიც დაეთანხმნენ, რაზეც მათ თავიანთი არგუმენტი აქვთ და აცხადებენ, რომ თავად იეღოველებიც სჩადიან კრიმინალურ დანაშაულს და ეს გამოძიებული უნდა იქნეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე ითხოვდა საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნებას, მოსამართლემ ეს შუამდგომლობა მაინც არ დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ მკალავიშვილისა და იეღოველების სასამართლო პროცესმა უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. სასამართლოს შენობას პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი იცავდა. ბასილ მკალავიშვილს სასამართლო სხდომაზე თან ახლდა მომხრეთა მცირე ჯგუფი, თუმცა, გლდანის მართლამდიდებლური ეპარქიის წინამძღვრის თქმით, მისი მომხრეებით სავსე რამდენიმე ავტობუსი სასამართოლოს შორიახლოს იდგა და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებოდა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთში, საზღვრის გადაკვეთის დროს დაკავებული ჩეჩნის აბდულ სამიდ ალიევის ექსტრადიციის შესახებ საქმეს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო განიხილავს. აღნიშნული გადაწყვეტილება დღეს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა.

ბრალდებულის ადვოკატის სევდია უგრეხელიძის განცხადებით, საჭიროა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დახვეწა, ხოლო კანონმდებლობაში ვაკუუმის გამო, სასამართლომ საერთაშორისო ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს. "სასამართლომ, ექსტრადირების გადაწყვეტილების შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს ის, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ამ ადამიანის სიცოცხლეს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს და მას სასტიკად და არაადამიანურად მოექცნენ. აქედან გამომდინარე გადაცემა დაუშვებლად მიმაჩნია," - აცხადებდა უგრეხელიძე.

შეგახსენებთ, რომ 1957 წელს დაბადებული აბდულ სამიდ ალიევი წელს, 3 მაისს, ფოთში, საზღვრის გადაკვეთის დროს დააკავეს. ორჯერ ნასამართლევი ალიევი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო იძებნებოდა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**სტავროპოლი.** არღუნის სასაზღვრო რაზმის მეომრებმა, რომლებიც რუსეთ-საქართველოს საზღვრის მაღალმთიან მონაკვეთს იცავენ, აღმოაჩინეს ბოევიკთა იარაღის ორი სამალავი

როგორც რუსეთის ფედერალური სასაზღრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის სამმართველოში განაცხადეს, ორივე შემთხვევაში თავი გამოიჩინეს ამ რაზმის სადაზვერვო-მებრძოლმა ჯგუფებმა. პირველ სამალავში, რომელიც დასახლებულ პუნქტ ტაზბიჩთან აღმოაჩინეს, იყო ოცი 82-მილიმეტრიანი ნაღმი, მეორეში - 2 ყუმბარა "ვოგ-25", ავტომატი "აკ-74" და უცხოური წარმოების ბინოკლი.

მიმდინარე წელს ჩრდილოეთ კავკასიის მესაზღვრეებმა გახსნეს და გაანადგურეს ათეულობით სამალავი, განსაკუთრებით, საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე,. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია 30 ოქტომბერს საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდებიან და სამართალდამცავი და უშიშროების სისტემების რეფორმის კონცეფციის ინგლისურენოვან ვარიანტს წარუდგენენ.

უშიშროების საბჭოსთან არსებული უშიშროებისა და სამართალდაცვითი სისტემების რეფორმის კომისიამ, რომელსაც ლადო ჭანტურია ხელმძღვანელობდა, მუშაობა ერთი თვის წინ დაასრულა.

30 ოქტომბრის შეხვედრის მიზანია, უცხოეთის ქვეყნების ელჩებს გააცნონ რეფორმების არსი და შემდგომი თანამშრომლობის გეგმები. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს რუსთავში მცხოვრები 22 წლის ირაკლი რეხვიაშვილი, რომელმაც რუსთავის შს სამმართველოს უფროსის მოადგილეს კობა დალაქიშვილს ავტომანქანიდან აუდიომაგნიტოფონი „სონი" მოპარა. ნივთმტკიცება ამოღებულია.

გამოძიებას რუსთავის საგამოძიებო განყოფილება აწარმოებს. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ სტრასბურგში 5 ჩეჩნის რუსეთში ექსტრადირების შესახებ ქართული მხარისაგან მიღებული მასალები მოსკოვსა და განმცხადებელ მხარეებს გადაუგზავნა. შესაბამისად, როგორც "კავკას-პრესს" იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, მათ მასალების გასაცნობად სტრასბურგმა ვადა 7 ნოემბრამდე მისცა.

ევროპის სასამართლოს 24 ოქტომბერს უნდა გადაეწყვიტა, მიიღებდა თუ არა წარმოებაში საქმეს, სახელწოდებით "11 ჩეჩენი რუსეთის წინააღმდეგ". სარწმუნო წყაროს ცნობით, ევროპის სასამართლოს ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლომ მასალები შეისწავლა და ის გასაცნობად შესაბამის უწყებებს გადასცა.

როგორც "კავკას-პრესს" არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ხელმძღვანელმა ლია მუხაშავრიამ განუცხადა, სასამართლოს მიერ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ნიშნავს იმას, რომ ის აპირებს სარჩელი არსებითად განიხილოს. "მასალების გაცნობით, სტრასბურგმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ექსტრადიცია კანონიერად განხორციელდა," - ირწმუნებიან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

"კავკას-პრესთან` საუბრისას საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ პროკურატურა დარჩენილ 8 ჩეჩენთან მიმართებაში სტრასბურგიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე იმოქმედებს. "თუ ევროპელი მოსამართლეები ქართული მხარის მოქმედებას კანონზომიერად მიიჩნევენ, მაშინ თბილისი შეასრულებს პირობას და რუსეთის ხელისუფლებას გადასცემს დანარჩენ ჩეჩნებს, რომლებიც საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებიან," - დასძინა მან. **"კავკას-პრესი"**

# სამი პოლიტიკური ცენტრი

## საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციურ ალყაში მოექცა

ია ანთაძე
რადიო „თავისუფლება", სპეციალურად „24 საათისთვის"

ქართული პოლიტიკური სივრცე სამ ცენტრად დაიყო. პირობითად ამ ცენტრებს შეგვიძლია ვუწოდოთ: "ბათუმი", "კანცელარია", "პარლამენტი". სერიოზული კატაკლიზმების შემდეგ, პოლიტიკური პანორამა საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბდა. ძალთა განლაგება არსებითად აღარ შეიცვლება და მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი დრო სწორედ ამ სამი ცენტრის ურთიერთობის დრამატურგიით წარიმართება.

■ ■ ■

გასული საპარლამენტო არჩევნების წინ სოციალისტების ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა პარლამენტში საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოში ორი პოლიტიკური ცენტრია: პირველი თბილისში და მეორე – ბათუმში, რაც სრული სიმართლე იყო. ორ ცენტრს ერთმანეთის ალტერნატიული პოლიტიკური იდეოლოგია, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული საგარეო ორიენტირები და მისგან გამომდინარე სტრატეგიული ხედვა გააჩნდა; აგრეთვე, ორ ცენტრში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება ერთმანეთისგან განსხვავებულად წარმოედგინათ. პირველი ცენტრის ლიდერი ედუარდ შევარდნაძე იყო, მეორე ცენტრის ლიდერი – ასლან აბაშიძე.

პოლიტიკური პროცესის განვითარების იმ ეტაპზე ბათუმის ცენტრი გაცილებით ერთიანად და შეკრულად გამოიყურებოდა, ვიდრე თბილისის. შევარდნაძის ბანაკი ორი – ერთმანეთთან დაპირისპირებული - პოლიტიკური ბირთვისგან შედგებოდა. პირობითად ამ ორ ქვეცენტრებს ასე მოიხსენიებდნენ: "კანცელარია" და "პარლამენტი". "კანცელარიას" ნუგზარ საჯაია წარმართავდა, "პარლამენტს" კი ზურაბ ჟვანია ლიდერობდა. შიდა დაპირისპირების მიუხედავად, ედუარდ შევარდნაძე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი და როგორც პირველი ცენტრის ლიდერი, სწორედ ამ ორ ქვეცენტრს, ორ პოლიტიკურ ბირთვს ეყრდნობოდა – სახელმწიფო კანცელარიას და საპარლამენტო უმრავლესობას.

პირველი ცენტრის რყევა მაშინ დაიწყო, როდესაც შევარდნაძემ შიდა ბალანსის ხელოვნურად შენარჩუნება ველარ შეძლო და მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტი დატოვა, რასაც საპარლამენტო უმრავლესობის დაშლა მოჰყვა. პროცესის ლოგიკური გაგრძელება ის იყო, რომ გადადგა პარლამენტის თავმჯდომარეც და პრეზიდენტს ერთი სახელისუფლო ბურჯი მოეშალა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ტრაგიკულად გარდაიცვალა კანცელარიის არაოფიციალური ლიდერი – ნუგზარ საჯაია. პრეზიდენტის ირგვლივ პოლიტიკური სივრცე გაშიშვლდა და ქვეყნის პირველი პირი ვაკუუმში აღმოჩნდა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება იმ პერიოდში მთლიანად საგარეო ფაქტორზე და ქვეყნის გარედან მიღებულ მხარდაჭერაზე იდგა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელდა ნუგზარ საჯაიას ჩანაცვლება აშშ-ში საქართველოს ელჩით – თედო ჯაფარიძით და შედეგად პრეზიდენტმა ხელისუფლება შეინარჩუნა, თუმცა, პოლიტიკური ცენტრი მას სამუდამოდ დაეშალა.

■ ■ ■

რა ხდებოდა ამ დროს მეორე ცენტრში?

ასლან აბაშიძის საერთო პოლიტიკურ სახეს აყალიბებდა და აყალიბებს ორი ფუნქციის თვისებრივი შეჯერება: ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიის აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერობა და, მეორე მხრივ, პარტიის თავმჯდომარეობა. ამ ორ ფუნქციას შორის წამყვანი და სტრატეგიულად არსებითია აჭარის ავტონომიის აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერის სტატუსი. სწორედ ავტონომიის ლიდერობას მოაქვს აბაშიძისთვის ძალაუფლება და ამ ძალაუფლებიდან გამომდინარე პოლიტიკური მდგრადობა. პარტიის თავმჯდომარეობა კი პოლიტიკური იმიჯის შენარჩუნებას ემსახურება და მას მხოლოდ მეორადი ფუნქცია ენიჭება.

ცხადია, დემოკრატიული აღორძინების კავშირი არ არის იმდენად მობილური და პოლიტიკურად სრულყოფილი პარტიული ორგანიზაცია, რომ მან რაიმე როლი შეასრულოს ქვეყნის მართვაში და შესაბამისი ფუნქცია იკისროს, ან რომელიმე პოლიტიკურ მიმდინარეობას ხელი შეუწყოს ან შეუშალოს რაიმე სახის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

სწორედ იმის გამო, რომ ასლან აბაშიძეს გაეძლიერებინა თავისი, როგორც პარტიული ლიდერის ფუნქცია, მან საპარლამენტო არჩევნების წინ ბათუმში მიიწვია თბილისური პარტიები და ოთხი სუბიექტისგან ერთი საარჩევნო ბლოკი შექმნა. ასლან აბაშიძის ამგვარი გადაწყვეტილების მოტივი მაშინ საზოგადოებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. აბაშიძემ არა მხოლოდ აჭარის მოსახლეობის ხმები ჩამოურიგა სოციალისტებს, ტრადიციონალისტებს და პარტია "XXI საუკუნის" წევრებს, არამედ მათთვის არც სხვა საშუალებები დაუშურებია. საზოგადოება ვერ ხვდებოდა აჭარის ლიდერის ასეთი გულუხვობის მოტივს და მიზანს, რადგან ის მანდატები, რომლებიც მოგვიანებით ხუთ საპარლამენტო ფრაქციაზე გადანაწილდა, ფაქტობრივად, მხოლოდ ასლან აბაშიძის რესურსის საფუძველზე იყო მოპოვებული.

სინამდვილეში, აღორძინების ლიდერმა მეტად პრაგმატულად იმოქმედა. რამდენიმე პარტიის შემოკრებით აბაშიძემ ბათუმში ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი შექმნა, თავად კი – პარტიული ლიდერიდან პოლიტიკური ცენტრის ლიდერად გადაიქცა. ახალი პოლიტიკური ცენტრი ტერიტორიულად აჭარის ავტონომიის სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბდა. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიის სამართლებრივ სივრცეში თავისებური, ერთგვარი ასლანდიური წესრიგის დამყარება არსებული კანონმდებლობის გამოყენებით. როგორც ბლოკის ლიდერი, სწორედ ამ მიზნის მისაღწევად გაისარჯა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ასლან აბაშიძე. ღია ან ფარული შეთანხმების თანახმად, აკაკი ასათიანს, ვახტანგ რჩეულიშვილს და ვახტანგ ბოჭორიშვილს, თავის თანაპარტიელებთან ერთად, პირველ ცენტრში, ანუ პარლამენტში უნდა დაეცვათ აჭარის ავტონომიის და მისი მეთაურის ხელშეუვალობა. რამდენადაც ძლიერი იქნებოდა ასლან აბაშიძე, როგორც პარტიული ლიდერი, იმდენად დაცული იქნებოდა იგი, როგორც აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი, რაც აბაშიძის მთავარს მიზანს წარმოადგენდა.

■ ■ ■

ბოლო ერთი წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებები მოხდა როგორც პირველ ცენტრში, ისე – მეორეში. ფაქტობრივად, თავდაპირველი სახე და ფუნქცია ორივე ცენტრმა დაკარგა. თუმცა, პოლიტიკური პროცესი არ შეწყვეტილა და მისი განვითარების შედეგად ასეთი სურათი ჩამოყალიბდა: ასლან აბაშიძემ შეინარჩუნა მისდამი დაქვემდებარებული პოლიტიკური სივრცის ხელშეუვალობა, კანცელარიის ცენტრს ავთანდილ ჯორბენაძე ჩაუდგა სათავეში, პარლამენტში კი ინიციატივას ჟვანია-გამყრელიძის არაოფიციალური კოალიცია დაეუფლა. ყველაზე მთავარი, რაც ბოლო ერთ წელიწადში მოხდა, ის იყო, რომ პირველი ცენტრის ერთიანობა დაირღვა და ორი პოლიტიკური ბირთვი – "კანცელარია" და "პარლამენტი" – ერთმანეთს ღიად დაუპირისპირდა.

რა გზა აირჩია ედუარდ შევარდნაძემ?

ამჟამინდელი მდგომარეობით, პრეზიდენტი მწვავედ არის დაპირისპირებული როგორც საპარლამენტო პოლიტიკურ ცენტრთან (ჟვანია-გამყრელიძე), ასევე – ასლან აბაშიძესთან. იგი მთლიანად ეყრდნობა კანცელარიას. ყველაზე უცნაური ისაა, რომ ოპოზიციურ ალყაში პრეზიდენტმა თავი ნებაყოფლობით მოიქცია.

■ ■ ■

პარლამენტში არაოფიციალური ცენტრისტული კოალიცია - "გაერთიანებული დემოკრატების", "ახლებისა" და "ტრადიციონალისტების" შემადგენლობით - პუტინის აგრესიული განცხადების და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის ფონზე ჩამოყალიბდა. თითქმის ორი თვეა, პარლამენტი სწორედ ამ არაოფიციალური კოალიციის ინიციატივებს განიხილავს და ამტკიცებს: რუსეთის მიმართ მწვავე დადგენილებებსა და განცხადებებს; ნატო-ს სივრცეში ინტეგრაციის დაჩქარების აუცილებლობას; პრეზიდენტის საპარლამენტო მოხსენების თარიღს; რუსეთში გასაგზავნი დელეგაციის ხელმძღვანელის ვინაობას; უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული საიდუმლო დოკუმენტის 27-ე მუხლის მიზანშეწონილობას...

პარლამენტის ეს გადაწყვეტილებები ედუარდ შევარდნაძისთვის თითქმის მთლიანად მისაღები აღმოჩნდა. კიშინიოვის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის მხარდაჭერით წელგამართული გაემგზავრა. ამიტომ, ბუნებრივად გაჩნდა აზრი, რომ ედუარდ შევარდნაძე მიზანმიმართულად აძლიერებდა ცენტრისტულ ძალებს პარლამენტში, ფარულად თანამშრომლობდა ჟვანია-გამყრელიძის პოლიტიკურ ცენტრთან და, იმავდროულად, კარგად სარგებლობდა ამ ძალების ოპოზიციური იმიჯით.

ეს ვარაუდი კიდევ უფრო გააძლიერა ოპოზიციის ცნობილმა დემარშმა პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლის შემდეგ. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ პარლამენტში სტუმრობის წინა დღეს შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა ჟვანიასაც და გამყრელიძესაც. ცხადია, არაოფიციალურმა ცენტრისტულმა კოალიციამ, შემდგომი თანამშრომლობის სანაცვლოდ, პრეზიდენტს საკუთარი პირობები წაუყენა; რაზეც პოლიტიკურმა ლიდერებმა შევარდნაძისგან კიდევ ერთი, მორიგი უარი მიიღეს. როდესაც პრეზიდენტს პარლამენტის მხარდაჭერა დასჭირდა, იგი სწორედ ჟვანია-გამყრელიძის ტანდემმა უზრუნველყო. მაგრამ, როგორც ჩანს, შევარდნაძეს ამის გამო თავი დავალებულად არ უგრძვნია. პრესის ვერსიით, საპარლამენტო პოლიტიკური ცენტრი შევარდნაძისგან სამ პოსტს ითხოვდა: სახელმწიფო მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის და თბილისის მერის. ამ პირობებზე დათანხმება, ფაქტობრივად, სტრატეგიულ თანამშრომლობას ნიშნავდა. იყო თუ არა საუბარი კონკრეტულ თანამდებობებზე, უცნობია, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურმა ლიდერებმა მხცოვანი პრეზიდენტი კიდევ ერთხელ დააყენეს არჩევანის წინაშე და კიდევ ერთხელ მიიღეს მისგან უარი. ამის შემდეგ პარლამენტის პოლიტიკურ ცენტრსა და პრეზიდენტს შორის დიალოგი შეწყდა და პარტიული ლიდერების შეკავშირების პროცესი დაიწყო. დღეს ახალი თაობის პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ისინი მწვავედ უპირისპირდებიან ქვეყნის პრეზიდენტს.

■ ■ ■

რა მოხდა ბათუმის ცენტრში?

საარჩევნო ბლოკის შექმნიდან მესამე წელიწადი მიიწურა. იმის მიხედვით, თუ რამდენად შეინარჩუნა ასლან აბაშიძემ ალტერნატიული ცენტრის პოლიტიკური ლიდერობა, შეიძლება მსჯელობა მისი მთავარი სტატუსის – ავტონომიის ლიდერის – მდგრადობაზეც. ბლოკი ფორმალურად ისევ არსებობს, რადგან მისი დაშლა არავის გამოუცხადებია. თუმცა, ბლოკის სუბიექტებიდან, აჭარის ავტონომიის ლიდერის ინტერესებს პარლამენტში ამჟამად მხოლოდ აღორძინების პარტიული დეპუტაცია იცავს. სოციალისტებიც, ტრადიციონალისტებიც და "XXI საუკუნის" წევრებიც, თავისი აწმყო საქმიანობითა და სამომავლო გეგმებით, თითქმის მთლიანად არიან გამიჯნული ბათუმის პოლიტიკური ცენტრისგან.

პრობლემებია თავად დემოკრატიული აღორძინების კავშირში. თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი თარგამაძემ თანამდებობა დატოვა. მის მიერ გათავისუფლებული პოსტისკენ, პრესის ვერსიით, ჯონდი ბაღათურია და სანდრო ბრეგაძე ისწრაფვიან. თუ ეს ასეა, საბოლოოდ, ერთ-ერთი მათგანი განაწყენებული დარჩება. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ აღორძინების დეპუტაცია დიდხანს ლობირებდა ვალერი გელბახიანს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. როდესაც ეს პოსტი მართლაც გათავისუფლდა, დაინიშნა "აღორძინების" წევრი, მაგრამ არა ვალერი გელბახიანი, არამედ – პოლიტიკურად გაცილებით სუსტი ფიგურა გოჩა პაიჭაძე. კომიტეტის ახალი თავმჯდომარე საგაზეთო ინტერვიუში განცვიფრებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ასლან აბაშიძემ არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერა. რატომ "დასაჯეს" გელბახიანი, უცნობია.

ასლან აბაშიძისთვის ამ არახელსაყრელ ფონზე, როდესაც აჭარის ლიდერს პრობლემები გაუჩნდა ბლოკშიც და პარტიაშიც, პრეზიდენტმა, მრავალი წლის განმავლობაში პირველად, მას დედაქალაქში ჩამოსვლა მოსთხოვა. ამასობაში, ასლან აბაშიძემ საზოგადოების ერთი ნაწილი დაარწმუნა, რომ დედაქალაქში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. ძნელი სათქმელია, საზოგადოების რა ნაწილს მიაჩნია ასლან აბაშიძის შიში გულწრფელად, მაგრამ მათ შორის ედუარდ შევარდნაძე ნამდვილად არ არის. შევარდნაძემ იცის, რომ აბაშიძეს თბილისურ საფრთხეზე საუბარი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური სტატუსის შესაძენად დასჭირდა: მან, ამ საფრთხის მომიზეზებით, საკუთარი ძალა წარმოაჩინა – აჭარის ლიდერს თავისი პოლიტიკური სივრცე აქვს და ეს სივრცე მისი დაუბრკოლებელი და შეუზღუდავი მოქმედების არეალია. ის ფაქტი, რომ ასლან აბაშიძე თბილისში არ ჩამოდის, უკავშირდება არა მის შიშებს, არამედ, მისი - როგორც ალტერნატიული ლიდერის – სტატუსს.

შესაბამისად, როდესაც შევარდნაძე აბაშიძისგან თბილისში ჩამოსვლას ითხოვს, იგი აუქმებს აბაშიძის განსაკუთრებულ პოლიტიკურ სტატუსს და ცდილობს, აჭარის ლიდერი თავის ქვეშევრდომთა რიგებში ჩააყენოს, დაასუსტოს იგი, დააქვეითოს პოლიტიკურ იერარქიაში.

ბუნებრივია, ასლან აბაშიძე ამ გამოწვევას იღებს და თავისი სივრცის თუ სტატუსის ხელშეუვალობას არ თმობს. ამიტომ, პრეზიდენტი წნეხს აძლიერებს და ზედიზედ ორი ბერკეტი მოჰყავს მოქმედებაში: აბაშიძეს ემუქრება, რომ ჩამოართმევს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის მანდატს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით; შემდეგ კი აჭარის ლიდერს ცენტრალური ბიუჯეტისთვის კუთვნილი თანხების გადმორიცხვას სთხოვს.

■ ■ ■

ასლან აბაშიძემ, როგორც ალტერნატიული ცენტრის პოლიტიკურმა ლიდერმა, კარგა ხანია, გავლენა დაკარგა. მას პარლამენტში მხოლოდ სამი მცირერიცხოვანი ფრაქცია შემორჩა. ახლა აჭარის ლიდერი პრეზიდენტმა დააყენა იმ საფრთხის წინაშე, რომ იგი დაკარგავს აფხაზეთთან დაკავშირებულ სტატუსს და ფინანსების დიდ ნაწილს. ეს "ბათუმის" პოლიტიკური ცენტრის გაუქმების მცდელობაა.

შევარდნაძე-აბაშიძის კონფლიქტი პირველად იძენს რეალურ შინაარსს და, საფიქრებელია, ცდება ყველა, ვინც ამბობს, რომ ეს ორი პოლიტიკური ფიგურა ამჯერადაც ისევე ადვილად მოძებნის საერთო ენას, როგორც სხვა დროს, კრიტიკული სიტუაციების შემდეგ. ასლან აბაშიძემ უკვე გააკეთა თავისი არჩევანი და პრეზიდენტს საჯაროდ დაუპირისპირდა. ამ არჩევანის შედეგად, ედუარდ შევარდნაძე წინააღმდეგობაში მოვიდა ბათუმის პოლიტიკურ ცენტრთან და ოპოზიციურ ალყაში აღმოჩნდა.

■ ■ ■

ელემენტარული არითმეტიკული ფაქტორის გათვალისწინებით, საკმარისია ასლან აბაშიძემ საპარლამენტო ცენტრის ლიდერებთან საერთო ენა გამონახოს და მათთან პოლიტიკური თვალსაზრისით გაერთიანდეს, რომ ამ მომენტიდან შევარდნაძე უმცირესობაში და პოლიტიკურად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება. მეორე მხრივ, საკმარისია, ასლან აბაშიძემ ანალოგიური პოლიტიკური სვლა განახორციელოს კანცელარიის ცენტრის ლიდერთან – ავთანდილ ჯორბენაძესთან, რომ პრეზიდენტი ამ ვითარებაში საერთოდ საყრდენის გარეშე დარჩება.

მაგრამ ეს მარტივი მექანიზმები მოძრაობაში არ მოდის. რატომ?

ძველ დროშიც, როდესაც თბილისის ცენტრი ფორმალურად ერთიანი იყო, ბათუმის ცენტრი მისგან იზოლირებული არ ყოფილა. ასლან აბაშიძეს წარმომადგენლობა ჰყავს პარლამენტში და ჩუმი მომხრეები ჰყავს კანცელარიაშიც.

თბილისის პოლიტიკური ცენტრის ორ განაყოფს შორისაც ღია და ფარული კავშირები არსებობს. ავთანდილ ჯორბენაძე სრულად აკონტროლებს ოთხი საპარლამენტო ფრაქციის ხმებს: "მოქალაქეთა კავშირის", "ალიანსის", "თანადგომისა" და "სოციალისტის". თავის მხრივ, ჟვანია-გამყრელიძის პოლიტიკურ ცენტრს ფარული მხარდამჭერები ჰყავს კანცელარიის პოლიტიკურ ცენტრში და მათი გამოვლენის მიზნით მოქალაქეთა კავშირის სახელისუფლო პარტიაში წმენდა დღემდე გრძელდება. ყველაზე მსხვილი პოლიტიკური ფიგურა, ვისაც ასეთი ბრალდება წაუყენეს – დედაქალაქის მერი, ვანო ზოდელავა იყო.

ედუარდ შევარდნაძე კი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული, რომ ასლან აბაშიძე პოლიტიკურად არ დაუკავშირდეს არც ჟვანიასა და გამყრელიძეს, არც ჯორბენაძეს.

"ბათუმის" და "პარლამენტის" ცენტრების სტრატეგიული თანამშრომლობა გამორიცხულია მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და მიმართულებების გამო. და მაინც, თავის დაზღვევის მიზნით, პრეზიდენტის მომხრე ძალები საპარლამენტო პოლიტიკურ ცენტრს ხშირად ხელოვნურად უკავშირებენ ბათუმის ცენტრს, რითიც პოლიტიკურ ლიდერებს მუდმივი თავდაცვის პოზიციაში ამყოფებენ და აიძულებენ, მრავალგზის გაემიჯნონ ასლან აბაშიძეს და მისი დეპუტაციის ინიციატივებს. "ბათუმისა" და "პარლამენტის" სავარაუდო კავშირის მხრივ, შევარდნაძეს ამჟამად პრობლემები არ აქვს.

სამაგიეროდ, პარალელურად მეორე პროცესი მიმდინარეობს. შეიმჩნევა ასლან აბაშიძის კეთილგანწყობა ავთანდილ ჯორბენაძის მიმართ. აჭარის დეპუტაცია უარს ამბობს, მხარი დაუჭიროს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ არის მიმართული. აი, სწორედ ამ ფონზე ამწვავებს პრეზიდენტი საბიუჯეტო თანხების გადმორიცხვის თემას და "კანცელარიასა" და "ბათუმს" შორის ურთიერთობას უკიდურესად ძაბავს. კანცელარიის ფარული ალიანსი ბათუმის ცენტრთან, თუკი იგი რაიმე ფორმით არსებობს, ჯორბენაძისთვის მეტისმეტად სარისკო სახეს იღებს. გამწვავებულ ვითარებაში, საფიქრებელია, ჯორბენაძე კანცელარიის ლიდერის სტატუსს და საკუთარ თანამდებობას ჯეროვნად გაუფრთხილდება; ანუ პრეზიდენტს მისგან ღალატის საფრთხე არ დაემუქრება.

■ ■ ■

საბოლოოდ, ზოგადი სურათი ასე ლაგდება: ქართული პოლიტიკური სივრცე დაყოფილია სამ ცენტრად, პირობითი სახელდებით – "ბათუმი", "კანცელარია", "პარლამენტი". პრეზიდენტი დაპირისპირებულია "ბათუმის" და "პარლამენტის" ცენტრებთან და მთლიანად "კანცელარიას" ეყრდნობა. იმავდროულად, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ არ მოხდეს სამი ცენტრიდან რომელიმე ორის პოლიტიკურად გაერთიანება მესამის წინააღმდეგ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია პრეზიდენტისთვის, რადგან იგი პირადად არის გამიჯნული ორივე ცენტრთან – როგორც "ბათუმთან", ასევე "პარლამენტთან". ამიტომ, ნებისმიერი ორი ცენტრის შეკავშირება მესამის წინააღმდეგ შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ედუარდ შევარდნაძის კარიერისთვის.

პრეზიდენტი სერიოზულ ოპოზიციურ ალყაში იმყოფება და ცდილობს, ალყის საფუძვლები მოშალოს. მან შეწყვიტა დიალოგი ოპოზიციასთან და მხოლოდ ის სურს, რომ ოპოზიციის სხვადასხვა სეგმენტს ერთმანეთთან თანამშრომლობის საშუალება არ მისცეს. თავისთავად, ალყა შევარდნაძისთვის მოულოდნელი არ არის, რადგან მისივე შემოქმედებაა. პრეზიდენტი საკუთარი არჩევანით და ნებით, ზედიზედ დაუპირისპირდა ჯერ "პარლამენტის", შემდეგ - "ბათუმის" ცენტრებს. ეს კი რისკის მოძულე პრეზიდენტისგან დიდ მოულოდნელობად აღიქმება.

■ ■ ■

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ პროცესს შემდგომი ერთი წლის განმავლობაში ამ სამი ცენტრის ურთიერთქმედება და შიდაგანვითარება განსაზღვრავს. შედეგებს კი მომავალი საპარლამენტო არჩევნები შეაჯამებს. სამივე ცენტრის მიზანი ამ არჩევნების მოგებაა.

პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"



www.24hours.ge 24 B

დღის პერსონა

# სიაფანდები დაწვებიან...

*პერიოდულად - მაშინ, როცა თითქოს ამას არაფერი მოასწავებს, პრეზიდენტი შემორჩენილი ერთადერთი ავტონომიის მეთაურს უბრაზდება და უმალ ორმხრივი ბრალდებების ახალი ტალღა ჩნდება.*
*როგორც ჩანს, ახლა სწორედ ეს პერიოდია.*
*დღეს გახსენება გაჭირდება - ჯერ ასლან აბაშიძე-წარმომადგენლის მისამართით გამოთქმული პრეზიდენტის საყვედურები იყო და მერე "აღორძინების" ინიციატივით იმავე პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაყენება, თუ პირიქით - ჯერ იმპიჩმენტი იყო და მერე - საყვედურები.*
*დღეს პოპულარულ ტერმინს - "მესამე ძალას" რომ ჰკითხოთ, "აღორძინება" და "მოქკავშირი" ერთი ამბის სხვადასხვა იმპროვიზაციაა... .*
*ყოველ შემთხვევაში, დღის თემები ძირითადად ამ სქემით ვითარდებოდა: აბაშიძე-პანკისი-კოდორი და, შიგადაშიგ, ზოდელავა. თუმცა, სრულიად შემთხვევით, მთავრობის ერთ-ერთ ოთხშაბათობას მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი ემსხვერპლა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს შევარდნაძის არაორდინალურ სტილზე. სხვა სიახლე ამ სქემაში, ჯერჯერობით, არ არის....*
*პანკისის თემა მოსკოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ გაანელა, ხოლო თბილისში - შევარდნაძის იმპიჩმენტმა.*
*საიმპიჩმენტო საკითხებზე, "აღორძინების" ინიციატივით, პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ ბიურო ჩაიშალა, აჭარის დეპუტაცია კი საერთოდ არ გამოცხადდა.*
*"აღორძინება" უკვე მესამე კვირაა, საჭირო 79 ხელმოწერას ვერ აგროვებს. ამ თემაზე ჯემალ გოგიტიძეს გავესაუბრეთ.*

მაია ქალაბანიძე


*ჯემალ გოგიტიძე*

**- თქვენ არ დაესწარით პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომას, რომელიც ჩაიშალა. რატომ?**

- ქალაქში არ ვარ.

**- რამდენი ხელმოწერა შეგიგროვდათ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად?**

- როგორც იყო, 42 ხელმოწერა მოვაგროვეთ.

**- როგორ გგონიათ, რატომ ვერ აგროვებთ საკმარის რაოდენობას?**

- ჯერ ყველაფერი წინაა. როცა შევაჯამებთ და ყველას აზრს გავიგებთ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით იმაზე, თუ ვინ არის დღეს ფსევდოოპოზიცია, ვინ უჭერს მხარს შევარდნაძეს და ვინ - არა.

**- გარკვეული ვარაუდები გექნებათ. როგორ გგონიათ, ვინ შემოგიერთდებათ კიდევ?**

- არ ვიცი. თუ შევარდნაძის ინტერვიუს წავიკითხავთ, გამოდის, რომ პარლამენტში "აღორძინების" გარდა, რეალურად არანაირი ოპოზიცია არ არსებობს. ყველა დანარჩენი თამაშობს.

**- როგორ გგონიათ, დღეს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში რამდენად რეალურია პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა?**

- ყოველ შემთხვევაში... ასეთი კარტის თამაში არსებობს, "სეკა", გაგიგონიათ, ალბათ... იქ არის ასეთი ტერმინი - "სიაფანდები დაწვებიან..." მალე გამჟღავნდება, თუ რაზეა დღეს პრეზიდენტი ჩამოკიდებული. ოპოზიციონერობანას თამაშს ბევრი თავს დაანებებს.

**- რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავთ, ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობის შესახებ. ეს როგორ გავიგოთ?**

- თუ არ იცით საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს შორის ურთიერთობისა, შემიძლია მიგითითოთ: მაგალითად ავსტრიის კანტონები ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას რეფერენდუმის გზით არეგულირებენ. მაგალითად, გადასახადების ამოღება, ადგილობრივი გადასახადები და ა.შ.

**- თქვენ განაცხადეთ, რომ რუსეთის ბაზების გასვლის შემთხვევაში, აჭარაში გამოზრდილი ბიჭები დაიცავენ აჭარას. ვისგან, ბატონო ჯემალ?**

- მე განვაცხადე, რომ აჭარას შევარდნაძისგან დავიცავ-მეთქი. აჭარას საქართველოსგან დაცვა არ სჭირდება. საქართველოს, პირველ რიგში, სწორედ აჭარაში იცავენ...

**- ხომ არ აჯობებდა, რეფერენდუმი აჭარისა და შევარდნაძის ურთიერთობის თაობაზე ჩაგეტარებინათ?**

- სწორედ ამაზეა საუბარი - რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარასთან

**- აჭარაში შევარდნაძეს ყველაზე დიდი რაოდენობის ხმები ერგო არჩევნებში. ეს იგივე პრეზიდენტია...**

- გირჩევთ გადაამოწმოთ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 120 პროცენტი - ლევან მამალაძისგან იყო. საერთოდ, არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია ამაში. ერთადერთი, რაც აჭარამ არ დაუშვა, ეს არის ის, რომ არ ჩაიშალა საპრეზიდენტო არჩევნები. ამის უარყოფა არ შეიძლება და ვფიქრობ, მაშინ აბსოლუტურად სახელმწიფოებრივად მოვიქეცით. პრაქტიკულად, ეს ძალზე სერიოზული დარტყმა იქნებოდა ქვეყნისთვის, თორემ შევარდნაძეს რომ არსად არ ირჩევენ, თვითონაც კარგად იცის.

**- ანუ, აჭარა ამაყობდა იმით, რომ არ ჩაშალა არჩევნები და არა იმით, რომ შევარდნაძე აირჩია...**

- დიახ. აჭარას არ აურჩევია შევარდნაძე. იგი მოქალაქეთა კავშირმა აირჩია.

# „პიტერ შოუს ოჯახს ვიღაცა ჩემი სახელით გამოსასყიდს სთხოვდა"

## ხიზრი ალდამოვს გენპროკურატურა და რუსეთი ერთდროულად ემუქრებიან

*გუშინ რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დააყენა თბილისში ჩეჩნეთის წარმომადგენლობის დახურვის საკითხი. ამ მოთხოვნით აზერბაიჯანში რუსეთის ელჩი ნიკოლაი რიაბოვი გამოვიდა.*
*"მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება მიბაძავს აზერბაიჯანს და დახურავს ე.წ. "იჩქერიის წარმომადგენლობას" თბილისში, რომელიც მასხადოვის ტერორისტული რეჟიმის რეზიდენტურებს შორის ყველაზე აქტიურია," –*
*ეს განცხადება რიაბოვმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებამ ბაქოში იჩქერიის კულტურული წარმომადგენლობის ოფისი დახურა. საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით რუსეთის მოთხოვნას უყურადღებოდ ტოვებს.*
*თბილისში უფრო აინტერესებთ, ნამდვილად აქვს თუ არა "იჩქერიის წარმომადგენლობის" თავმჯდომარე ხიზრი ალდამოვს კავშირი ევროკავშირის ექსპერტის პიტერ შოუს გატაცებასთან.*

ზაზა წულაძე


*ხიზრი ალდამოვი*

საგარეო საქმეთა სამინიტროში დაგვიდასტურეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, დიპლომატიური არხებით, რამდენჯერმე მოითხოვა, თბილისში, გულუას ქუჩაზე მდებარე იჩქერიის წარმომადგენლობის დახურვა, რომელსაც საქართველოს მოქალაქე, ქისტი ხიზრი ალდამოვი ხელმძღვანელობს. იჩქერიის წარმომადგენლობის ისტორია 1996 წლიდან იღებს სათავეს. მაშინ ალდამოვმა, საკუთარი ინიციატივითა და ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ვახა არსანოვის მხარდაჭერით, იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაატარა "ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი", რომელიც შემდგომ საქართველოში იჩქერიის გენწარმომადგენლობად გადაიქცა. სპეცსამსახურების მონაცემებით, დსთ-ს ტერიტორიაზე იჩქერიის წარმომადგენლობა თბილისში ყველაზე დიდი და გავლენიანია. ამაზე დიდი წარმომადგენლობა ჩეჩნებს მხოლოდ ბაქოში ჰქონდათ.

**"დღეისათვის ასლან მასხადოვის რეზიდენტურები ათ ქვეყანაში მოქმედებს, მათ შორის - ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში, დანიაში, პოლონეთში, თურქეთში, საქართველოში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ქვეყნები გაიზიარებენ რუსეთის მოთხოვნას და დახურავენ ამ ე.წ. წარმომადგენლობებს. განსაკუთრებით, ეს ეხება წარმომადგენლობას თბილისში, რომელიც ყველაზე დიდი და აქტიურია,"** – აღნიშნა აზერბაიჯანში რუსეთის ელჩმა ნიკოლაი რიაბოვმა.

საქართველოს ხელისუფლება ამ მოთხოვნას ფრთხილი განცხადებებით პასუხობს. **"საქართველოში არ არსებობს ჩეჩნეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა, იუსტიციის სამინისტროში ხიზრი ალდამოვს რეგისტრირებული აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია. ამიტომ რაც არ არსებობს, იმას ვერ დავხურავთ. თუ რუსეთის შესაბამისი ორგანოები მოგვაწვდიან მონაცემებს, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ნამდვილად არის რომელიმე ტერორისტული ქსელის რეზიდენტურა, როგორც რუსები ამტკიცებენ, მაშინ ჩვენი სპეცსამსახურები დაინტერესდებიან მათი საქმიანობით,"** – გვითხრა პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ ზვიად მუკბანიანმა.

თავად ხიზრი ალდამოვი ამბობს, რომ იგი ნამდვილად არის ჩეჩნეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი საქართველოში, მაგრამ ვინაიდან ჩეჩნეთი არ არის აღიარებული, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, დიპლომატიური წარმომადგენლობა არ არის და ვერც იქნება რეგისტრირებული საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში. **"მე უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემს მოღვაწეობას საქართველოს ჩეჩნურ-ქისტური სათვისტომოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. მიმაჩნია, რომ ხელს ვუწყობ ქართულ-ჩეჩნური ძმური ურთიერთობის განმტკიცებას. არავის არა აქვს უფლება, ამ ურთიერთობებს წინ აღუდგეს. ეს კარგად ესმით საქართველოშიც. ამიტომ არა მგონია, რომ აქ სათვისტომოს მუშაობა აუკრძალონ. ჯერჯერობით არავის შევუწუხებივართ,"** – გვითხრა ალდამოვმა.

იჩქერიის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი უფრო მეტ პრობლემებს მისი სახელის ევროკავშირის ექსპერტის - პიტერ შოუს გატაცებასთან დაკავშირების გამო ელის. ხიზრი ალდამოვი, ამ გატაცებასთან დაკავშირებით, გენპროკურატურამ ხუთ ოქტომბერს დაკითხა. **"ეს ჩემს წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი ბინძური პროვოკაციაა. ვიღაცა მივიდა "მაგთიში" და ჩემი სახელით და გვარით იყიდა მობილური ტელეფონი, საიდანაც შემდეგ გატაცებული პიტერ შოუს ოჯახმა, გამოსასყიდის მოთხოვნით, რამდენიმე ათასი შეტყობინება და ელექტრონული ფოსტა მიიღო. შეუძლიათ, გადაამოწმონ, მე ვსარგებლობ სამი მობილურით და არავითარი საჭიროება არ მქონდა, მეოთხე შემეძინა. ვიღაცამ გააყალბა ჩემი მონაცემები და შეიძინა მობილური, რომ შემდეგ ჩემი სახელით ესარგებლა. ეს არ არის შემთხვევითი. კატეგორიულად ვამბობ, რომ შოუსთან არასოდეს არავითარი შეხება არ მქონია. გამოძიებას, რაც შემიძლია, ყველაფერში დავეხმარები. საქართველო პატარა ქვეყანაა და თუ ვინ დგას ამ ბინძური პროვოკაციის უკან, მალე გამოჩნდება,"** – დარწმუნებულია ალდამოვი საკუთარ სიმართლეში.



აკა მორჩილაძის სვეტი



# ჯეირანი

ჯეირანი არასწორიაო, სინამდვილეში ჯერანი ჰქვია, ქართულად კი ქურციკი, ან გარეთხაო, გვამცნობს საბა თავის ლექსიკონში. ხოლო უფ.დ.ჩუბინოვი რუსულ განმარტებებსაც ურთავს, საიგა, გაზელი და ანტილოპაო. აქედან გამომდინარე, საკვირველებას შეიცავს სიმღერა, "პატარა ბიჭი დამეკარგა," სადაც თქმულია, გაშალე ფრთები ჯეირანოო.

ეტყობა, იგულისხმება გაქროლდი ქურციკისავითო, ანუ გალაღდიო. ვინაიდან, ფრთების გაშლა მოღონიერებასთან ერთად გალაღებასაც ნიშნავს. ანუ, გალაღდი ბიჭოო, ბიჭი შედარებულია ქურციკს. ძნელი დასადგენია რომელი ბიჭია შედარებული ქურციკს, წითელპერანგა, თუ ის, რომელიც უმღერის წითელპერანგას. გრიგოლ ორბელიანიც ახსენებს თავის ნალივაიკოსებურ ''იარალისში", ჯეირნის მწვადი ავაშიშხინოთო.

სხვა კიდევ რა ვიცით ჯეირანისა?

ალბათ ის, რაც ქსე-ში სწერიან ანტილოპა-საიგაკ-ქურციკთა გამო და ძველი, თითქოსდა რაღაც აზიური ელექტრონით გაჯერებული ცეკვა სუხიშვილების ანსამბლისა, რომელსაც ნინო რამიშვილი ასრულებდა.

დღეს კი რას ნიშნავს ჯეირანი?

ჯეირანი არის ყველაზე გავრცელებული თამაში თბილისის სკოლების დაბალკლასელებში. უნდა აიღო, ე.წ. "პოკემონის," ან რომელიმე სხვა თამაშის პლასტმასის, ან მუყაოს ფირფიტა, რომელსაც ორივე მხარეს სხვადასხვა რამ ახატია და დაახეთქო მაგიდას ბრტყლად, ისე, რომ დახეთქებული გადმობრუნდეს. ჩვეულებრივ იღებენ ორ ფირფიტას, ერთს თავისას და ერთს სხვისას. თუ ორივე გადმობრუნდა მოწინააღმდეგის ფირფიტას იგებ, თუ ერთი, შენსას იტოვებ და მერე მოწინააღმდეგე ახეთქებს. შეგიძლია დაახეთქო, ერთმანეთზე დაწყობილი ორი, სამი, ოთხი, ხუთი და მეტი ფირფიტა და დათვალო, რამდენი გადმობრუნდა.

დახეთქების წამს ურიგო არ არის, თუ დასძახებ: ჯეირანი!

თამაშს იწყებს ის, ვინც წინასწარ შეჯიბრს იგებს: ერთი, ორი, სამზე ხელის თითებით უნდა გამოხატო ოთხი საგანი, მაკრატელი, ქაღალდი, ქვა და ჭა. შენი ქვა უგებს იმის მაკრატელს, მაკრატელი ქაღალდს, ქაღალდი ქვას და ასე შემდეგ.

ეს "პოკემონის" ფირფიტები, რომლების სულაც აღარ არის მაინცდამაინც "პოკემონისა" და ბოლო დროს ჰარი პოტერისაც ბლომად შემოვიდა, უცხოეთში სათამაშოებში, კანფეტის ყუთებში და ასეთ რამეებში აწყვია ჯილდოდ და იქაურობისათვის მგონი შესაგროვებლად გამოიყენება. იქ ბევრია პოკემონის თამაშები, მულტფილმები, ბანქო, კომპიუტერული თამაშები. პოკემონი არის ერთი დიდი სამყარო ბავშვებისთვის. უფრო დაწვრილებით ამ საკითხის გარკვევისთვის შეგიძლიათ უამრავი საიტი, მათ შორის კი ოფიციალური pocemon. com მოინახულოთ. ჩვენთან ფირფიტები სათამაშოებში არ აწყვია, რიგ პატარა, უბნის მაღაზიებში ისინი ხუთ-ათ თეთრად იყიდება, რადგან ამ პატარა მაღაზიებში კარგად იციან, რომ ჯეირანი ყველაზე გავრცელებული თამაშია.

ოთხმოცდაათიან წლებში "პოკემონის" ფირფიტები, ანუ უბრალოდ პოკემონები თბილისში არ იყო, მაგრამ თამაში ჯეირანი მაინც არსებობდა. მას კოხტად გადაკეცილი საღეჭი რეზინის ქაღალდებით თამაშობდნენ. ამ გაკეცილ ქაღალდს მაგიდაზე დადებდი, და გვერდით ხელს დასცხებდი, ისე რომ ხელსქვევიდან გამოვარდნილი ჰაერი ქაღალდს გააფრენდა და მეორე ქაღალდს დასცემდა. ეს დაახლოებით იგივეა, რაც ძველებური ფულობია(იმერულად რომ ვთქვათ). პოკემონის ჯეირანიც არ არის რაღაც ახალი, ერთგვარად იმას ჰგავს, შენი ხურდა, სხვის ხურდას რომ უნდა დასცე და არიოლიდან რეშკაზე გადმოაბრუნო. სკოლის თამაშები, რომელიც ძველ დროშიც ითამაშებოდა საღეჭი რეზინის ქაღალდებით, ასევე ფულის თამაშებს ჰგავდა, მაგრამ დღეს, რატომ ჰქვია ყველაფერ ამას "ჯეირანი", ძალიან ძნელი დასადგენია.

# თბილისელი სტუდენტების გამოფენა დრეზდენში

*თვეზე მეტია, დრეზდენის ერთ-ერთ გალერეაში თბილისელი სტუდენტების გამოფენა მიმდინარეობს. ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების კავკასიური ინსტიტუტის სტუდენტების ნამუშევრები ქალაქის ურბანულ სივრცესა და ბუნებას შორის საზღვრების გამოკვეთის მცდელობაა.*

ვერა ნეფარიძე

გერმანულ-ქართული პროექტი ფონდ Mit Ost-ის იდეით განხორციელდა. აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ განვითარებაზე მომუშავე ფონდმა თბილისში არსებული ახალი მედიების კავკასიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას შესთავაზა თემა "საზღვრები", რომლის ფარგლებშიც ინსტიტუტის სტუდენტებს ნამუშევრები უნდა მოემზადებინათ. მოგვიანებით, ოთხივე სტუდენტის ფოტოები დრეზდენში გაიგზავნა; ერთ-ერთი, რუსიკო ნიკოლოზიშვილი კი, რომლის ნამუშევრებიც ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია, ფონდმა დრეზდენში სამი კვირით მიიწვია.

"საზღვრები იყო თემის პირობითი სახელწოდება. სტუდენტებს (რუსუდან ნიკოლოზიშვილი, ვერა დოლიძე, ირმა ბაჯელიძე, ვანდა ხუციანიძე) უნდა გამოეკვლიათ რამდენად აგრესიულად და ორგანულად ეხებიან ერთმანეთს ურბანული სივრცე და ბუნება; მაგალითად, ქალაქში ისეთი ორგანული ბუნება შეიძლება შეგხვდეს, რომ აბსოლუტურად არალოგიკურად გვეჩვენოს, ან – პირიქით. ეს იყო კომპლექსური თემა, რომელიც მთელი ეკოლოგიური, სოციალური და სხვადასხვა ნიუანსების გათვალისწინებას მოითხოვდა", - ამიხსნა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ვატო წერეთელმა.

ჩვენი სტუდენტების გამოფენას გერმანული პრესაც გამოეხმაურა. და, რაც მთავარია, სტუდენტებმა მიიღეს შემოთავაზებები რამდენიმე გალერეის ხელმძღვანელებისგანაც. ახალი მედიების კავკასიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკას კი, პროექტის ფარგლებში, ფონდის ხელმძღვანელობამ, ოცდაათი წიგნი უსახსოვრა.

კალენდარი

## 29 ოქტომბერი



"მგონი, მსახიობობა ხელოვნებაც არის და მსახიობის პირადი ოცნებების ასრულებაც. როდესაც თამაშობ, ხდები ადამიანი, როგორიც გსურდა, რომ ყოფილიყავი; ხვდები იმ სიტუაციაში, როგორშიც გინდოდა, რომ აღმოჩენილიყავი; ან, უბრალოდ, თამაშობ და ხარ გმირი", - ეს სიტყვები რიჩარდ დრეიფუსს, ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურ მსახიობს ეკუთვნის. კარიერის დასაწყისშივე, ის თავის გამორჩეულ ნიშნად ებრაელობას მიიჩნევდა და გაცნობისთანავე ყველას გამომწვევად ეუბნებოდა, იცი, მე ებრაელი ვარ. ამ სტრატეგიით შეძლო კიდეც 70-იანი წლების დასაწყისში ძალიან ნიჭიერი მსახიობის სტატუსი მოეპოვებინა და პრესის ყურადღებაც მიეპყრო. ასე იქცა ბრუკლინელი რიჩარდი გვარად "გამარჯობა, მე ებრაელი ვარ" საყოველთაოდ ცნობილ რიჩარდ დრეიფუსად.

პირველი ეპიზოდური როლი გახმაურებულ ფილმ "კურსდამთავრებულში" დრეიფუსისთვის საკმაოდ წარმატებული სტარტი აღმოჩნდა და მას სხვა 70-იანი წლების კლასიკადქცეული ნამუშევრები მოჰყვა: "ამერიკული გრაფიტი", "ყბები", "დადი კრავიცი", "მშვიდობით, გოგონა" (ამ როლისთვის დრეიფუსმა "ოსკარიც" მოიპოვა) და სხვა კომერციული თუ ნახევრად კომერციული ფილმები.

რიჩარდ დრეიფუსი 1947 წლის 29 ოქტომბერს დაიბადა.

# უბადლო ფასში - დორა მაარი

ნინო ჭანიშვილი

25 ოქტომბერს პაბლო პიკასოს დაბადებიდან 121 წელი გავიდა. იგი დღემდე მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ძვირადღირებულ მხატვრად ითვლება. ყველა დროში ყველაზე ძვირად გაყიდულ სურათებს შორის შვიდი პიკასოს ეკუთვნის. სარეკორდო იყო 2000 წელი - პიკასოს "ცისფერი პერიოდის" "ქალი გადაჭდობილი ხელებით" (1902წ) 55,6 მილიონ დოლარად გაიყიდა. პიკასო მთელი წლის განმავლობაში ფიგურირებს მსოფლიოს წამყვან გალერეებში და აუქციონებზე. იგი ყველაზე პოპულარული მხატვარია კრიმინალურ სამყაროშიც. "დაკარგულ ხელოვნების ნიმუშთა რეესტრის" მონაცემებით (ლონდონი), პიკასო პირველ ადგილზეა ძებნილი შედევრების ავტორთა შორის. მოპარულია მხატვრის 350-ზე მეტი ნამუშევარი.

მის დიდ პოპულარობას, ერთის მხრივ, მხატვრის გასაოცარი პროდუქტიულობა განაპირობებს და რა თქმა უნდა ის ფაქტიც, რომ პიკასომ თავისი მოღვაწეობით, ფაქტობრივად, მთელი მეოცე საუკუნის ხელოვნება მოიცვა. მისი მრავალმხრივი შემოქმედება, შეიძლება ითქვას, ყველა კატეგორიის ადამიანს აკმაყოფილებს. დღემდე დიდ ინტერესს იწვევს მისი ცხოვრების დეტალებიც, რომელთაგან ზოგიერთს თავადვე იგონებდა, საკუთარი წარსული და ცხოვრება ლეგენდად რომ ექცია.

ლეგენდას დაძველების საშუალებას არც საერთაშორისო აუქციონები აძლევენ. ოქტომბრის თვეში რამდენიმე ასეული პიკასო გაიყიდა უცხოურ აუქციონებზე. 16 ოქტომბერს ლონდონში ჩატარებულ აუქციონზე, სახელწოდებით - "ლეგენდების დავიწყებული ხელოვნება", 200 გრავიურა და კერამიკული ნამუშევარი გაიყიდა. ასეთი სათაური კარგი რეალიზაციის საწინდარია, მაგრამ ცოტა სასაცილოდ გამოიყურება. პიკასოს კერამიკული თეფშები თბილისშიც კი მოხვედრილა გასაყიდად და დღემდე ახსოვთ კიდეც. პიკასოს ნამუშევრების გაუთავებელი ყიდვა-გაყიდვა, ალბათ, ფასსაც და, გარკვეულწილად, მის მიმართ ინტერესსაც შეამცირებს. მაგრამ მაინც



*დორა მაარის პორტრეტი. 1943წ. პაბლო პიკასოს ნახატი*

არის ისეთი ნამუშევრები, რომლებსაც განსაკუთრებული ისტორია და განსაკუთრებული ფასიც აქვთ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი სურათი 6 ნოემბერს ნიუ იორკში, კრისტის აუქციონზე გაიყიდება. ეს არის 1943 წელს შესრულებული სურათი, სახელწოდებით - Buste de femme au chapeau. ტილოზე, რომლის საწყისი ფასი 3,5-4,5 მილიონი დოლარია, დორა მაარია გამოსახული.

პიკასოს დორა მაარი 1936 წელს, პარიზის კაფე "დე მაგოში" პოლ ელუარმა გააცნო. ქალმა გაცნობის დღესვე იმით დაატყვევა უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი, რომ თითებს შორის დანას ირტყამდა, თან ეს კარგად არ გამოსდიოდა და თითები დაუსისხლიანდა. სისხლით დაისვარა მაგიდა. შემდეგ დორამ დასისხლიანებულ ხელებზე ხელთათმანები ჩამოიცვა და მშვიდად დაიწყო საუბარი პაბლოსთან. დორა სიურეალისტების წრესთან დაახლოებული, პროფესიონალი ფოტოგრაფი იყო. იგი დიდხანს ცხოვრობდა არგენტინაში და თავისუფლად ლაპარაკობდა მხატვრის მშობლიურ ენაზე. როგორც ამბობენ,იგი, მხატვრის ქალებს შორის, ყველაზე ჭკვიანი და განათლებული იყო.

სურათზე, რომელიც კრისტიზე გაიყიდება, დორა კისერში ჩარგული თავით, ტლანქი, ასიმეტრიული სახითა და დატეხილი სახის ნაკვთებითაა გამოსახული. თუმცა, როგორც ფრანსუაზა ჟილო იხსენებდა ("ცხოვრება პიკასოსთან ერთად" 1966წ), დორას ჰქონდა მშვენიერი ოვალური სახე, ბრინჯაოსფერ-მწვანე თვალები და ლამაზი ხელები.

პიკასომ დორა მაარის ხატვა გაცნობისთანავე დაიწყო და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილ მის ნამუშევრებში სწორედ დორა მაარი დომინირებს. თავდაპირველად მას ჩვეულებრივ გამოსახავდა, ისე როგორც სინამდვილეში გამოიყურებოდა, უკვე 1937 წელს კი დორა "მოტირალ ქალად" გადაიქცა. 1937 წელს გერმანიის ავიაციამ პატარა ბასკური ქალაქი გერნიკა გაანადგურა. ამ ამბით შეძრულმა პიკასომ, რომელიც არასდროს არ ყოფილა ამ ქალაქში, ერთ თვეში შექმნა თავისი ყველაზე ცნობილი სურათი "გერნიკა". დორა მაარმა შვიდი ფოტო გადაიღო "გერნიკას" შექმნის პროცესში. ეს ფოტოები სპეციალისტებისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად ამ ნამუშევრის საბოლოო ვარიანტი. შემდგომში პიკასო ვერაფრით გამოდიოდა ამ სურათის შთაბეჭდილებებიდან. "გერნიკას" შექმნის შემდეგ სწორედ დორა იქცა იმ ობიექტად, რომელშიც ომის საშინელება, მეოცე საუკუნის სიმახინჯე და საკუთარი ბუნება გადმოსცა პიკასომ. დორას სახე სულ უფრო მახინჯი და საზარელი ხდებოდა. როგორც ზოგიერთი ბიოგრაფი წერს, ფეთქებადი ხასითის მქონე, ისედაც სიგიჟისკენ მიდრეკილმა ქალმა ვერ გაუძლო საკუთარი თავის ამგვარ ტრანსფორმირებას. დორა მაარმა პიკასოსთან ურთიერთობა იმით დაასრულა, რომ სულით ავადმყოფთა კლინიკაში ამოჰყო თავი. პოლ ელუარი ამაში პიკასოს ადანაშაულებდა. პიკასომ კი მიუგო, რომ ყველაფერში დამნაშავე თავადვე ელუარი და დანარჩენი სიურეალისტები არიან, თავიანთი ფანატური ერთგულებით ყველაფერი ირაციონალურისადმიო. შემდგომში მხატვარი მის ხელოვნებაში დორას დეფორმირებას ასე ხსნიდა: "ჩემთვის ის ყოველთვის მოტირალი იყო. წლების განმავლობაში ვხატავდი მის დატეხილ სახეს, არც სადიზმის და არც საკუთარი სიამოვნების გამო, უბრალოდ, ეს ჩემს თავს აღემატებოდა". დორა მაარი ერთადერთი იყო, რომელიც პირში ეუბნებოდა პიკასოს, რომ ის გენიალური და უკვდავი მხატვარი იყო.

# მუსიკა, რომელიც სიჩუმეში იმალება

## სერაფიმ როუზის ნაწერებს ქართველი მკითხველიც გაეცნობა

თამარ სუხიშვილი

კალიფორნიელი მამა, რომელიც აგნოსტიციზმიდან ორთოდოქსობამდე მივიდა და რომელიც ამერიკელ ხალხს ორთოდოქსული რელიგიის მისიონერად მოევლინა, - ასეა ცნობილი დღეს მთელი მსოფლიოს ქრისტიანულ სამყაროში სერაფიმ როუზის სახელი.

სერაფიმ როუზის ნაწერებს მალე ქართველი მკითხველიც გაეცნობა. მეუფე ნიკოლოზს მამა სერაფიმის მიერ წაკითხული ერთ-ერთი ლექციის გამოცემა აქვს განზრახული. წიგნი, სავარაუდოდ, ერთ წელიწადში მომზადდება. რაც ყველაზე საინტერესოა, დაგეგმილია ე.წ. აუდიო-წიგნის გამოშვებაც.

როდესაც მეუფე ნიკოლოზმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, თავისი ჩანაფიქრი გერმანიაში მცხოვრებ ქართველ კომპოზიტორსა და საქსოფონისტს, რეზო კიკნაძეს გაუზიარა.

"ერთხელ მეუფე ნიკოლოზმა, რომელთანაც დიდი ხანია ვმეგობრობ, დამირეკა და მითხრა, ერთ ტექსტს გამოგიგზავნი, თუ დაგაინტერესებს, მერე ვილაპარაკოთო. გამომიგზავნა, წავიკითხე და დავინტერესდი, მერე ვილაპარაკეთ კიდეც, და მეუფემ თავისი ჩანაფიქრი გამიზიარა," - გვიყვება რეზო კიკნაძე და იქვე დასძენს - სერაფიმ როუზის სახელი გაგონილი კი მქონდა, მაგრამ, რომ არ დაგიმალოთ, მის ფილოსოფიას სწორედ მეუფე ნიკოლოზის წყალობით გავეცანიო.



*რეზო კიკნაძე და მეუფე ნიკოლოზი*

მეუფე ნიკოლოზმა რეზო კიკნაძეს აუდიო-წიგნის აკუსტიკური გაფორმება შესთავაზა, მუსიკოსი სიხარულით დათანხმდა და თავისი აზრიც გაუზიარა. მან გადაწყვიტა, რომ სერაფიმ როუზის ტექსტის აუდიოჩანაწერს ფონად სიჩუმე დაედება, რადგანაც სიჩუმე ხშირად უფრო ბევრის მთქმელია. ამ ჭეშმარიტებას კი ჯერ კიდევ საუკუნეების წინ მიაგნეს ჩვენმა წინაპრებმა: "დუმილი ოქრო არს რჩეულიო".

"რატომღაც მაშინვე გავიფიქრე, რომ ამ ტექსტისთვის მუსიკა სრულიად ზედმეტი იყო, და შევთანხმდით, რომ სიჩუმეს ჩავწერდით, სიჩუმეს, რომლის მიღმაც უამრავი რამ იმალება," – ამბობს რეზო კიკნაძე.

როდესაც ადამიანის ყური რაიმეს უსმენს, სიჩუმედ აღიქმება ყველაფერი, რაც შეიძლება მოთავსდეს აბსოლუტურ დუმილსა და ძლიერ ხმაურს შორის, - გვიხსნის რეზო კიკნაძე, და ვინც მის მუსიკას იცნობს, მისთვის ეს ძნელი გასაგები არ იქნება.

რეზო კიკნაძემ და მისმა მეგობარმა, რეჟისორმა ლევან ღლონტმა მეუფე ნიკოლოზთან ერთად თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს, მოიხილეს წმინდა ადგილები, იყვნენ ფოკაში, ახალქალაქში, ვარძიაში, გორში, უფლისციხეში... მუსიკოსი მიკროფონით ხელში გადადიოდა მონასტრიდან მონასტერში, მთიდან - ბარში და სიჩუმეს იწერდა...

ეს ყველაფერი კვირას, 27 ოქტომბერს, კლუბ "სარდაფში" გამართულ საღამოზე გავიგეთ. ამ დღეს კლუბში ვიწრო წრე შეიკრიბა, მეუფე ნიკოლოზმა და რეზო კიკნაძემ თავიანთი ჩანაფიქრი ნაცნობ-მეგობრებს გაუზიარეს, მერე კი მუსიკოსმა საქსოფონი აიღო ხელში და რამდენიმე საკუთარი კომპოზიცია შეასრულა – ჯაზიც და ბლუზიც. იქვე სიმბოლურ ფასად – სამ ლარად იყიდებოდა რეზო კიკნაძის ბენდის – Resolution Group-ის კონცერტის ჩანაწერიც, რომელიც ავსტრიის რადიოთი ამა წლის 2 ოქტომბერს გადაიცა, და ავტოგრაფების მსურველთა რიცხვს დასასრული არ უჩანდა.

რა დააფიქსირა ქართველმა საქსოფონისტმა ფირზე ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი დარჩა. ამ საიდუმლოს ფარდა ერთი წლის შემდეგ აეხდება.

გუშინ ღამით რეზო კიკნაძე გერმანიაში გაფრინდა, თან წაიღო დიდძალი მასალა - შვიდსაათიანი ჩანაწერი. გერმანიაში ჩასვლისთანავე ის ამ მასალას ჩაუჯდება და ზაფხულამდე წიგნის აკუსტიკურ გაფორმებაზე იმუშავებს. ზაფხულში კი მუსიკოსს კვლავ თბილისში ვიხილავთ.

# მუსიკოსებს ტერაქტების არ ეშინიათ

საკმაოდ უცნაური ცნობა გაავრცელა რუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა www.gzt.ru-მ. მათი ინფორმაციით, ტერაქტების შიშით, Red Hot Chili Peppers-სა და Oasis-ის სამხრეთ აზიაში დაგეგმილი კონცერტები გადაიდო. "პეპერსების" კონცერტი აღნიშნულ რეგიონში დეკემბრის დასაწყისში უნდა გამართულიყო, ხოლო "ოაზისის" გამოსვლა ფილიპინების დედაქალაქსა და სინგაპურში ოქტომბრის ბოლოს იყო დაგეგმილი. ამ კონცერტების ორგანიზატორები გადაწყვეტილების მიზეზად ასახელებენ სპეცსამსახურებს, რომლებიც მუსიკოსებს, 12 ოქტომბერს ინდონეზიაში მომხდარი ტერაქტის გამო, ამ რეგიონში მგზავრობას არ ურჩევენ. იგივე მიზეზით, ინდონეზიაში გადადებულია **ჯორჯ ბენსონის** კონცერტებიც. საქმე ისაა, რომ, ამ ცნობების გარდა, რუსულ სააგენტოს არაფერი უთქვამს ბენსონის მოსკოვში დაგეგმილ კონცერტზე,



*ჯორჯ ბენსონი*

მითუმეტეს, რომ ფილიპინების 12 ოქტომბრის ტერაქტის შემდეგ მოსკოვში დატრიალებული მოვლენები არანაკლები მიზეზი იქნებოდა, ამერიკელ მუსიკოსს უარი ეთქვა კრემლის კონცერტზე.

როგორც ბენსონის თბილისური კონცერტის ორგანიზატორმა, "ისთერნ პრომოუშენის" კომერციულმა მენეჯერმა, კახა კანდელაკმა გვითხრა, მსგავსი ინფორმაცია მათთვის უცნობია. "გუშინ ვესაუბრეთ ბენსონის წარმომადგენლებს და რამდენადაც ვიცით, ბილეთები უკვე ნაყიდი აქვთ", - დაგვიზუსტა მან. ასე რომ, ბენსონის კონცერტს თბილისში ჩაშლის საფრთხე არ ემუქრება.

როგორც ცნობილია, თბილისიდან იწყება ჯორჯ ბენსონის აზიის ტურნე, რომელიც რვა დეკემბერს დასრულდება. თბილისისა და მოსკოვის გარდა, ბენსონისა და მისი ბენდის კონცერტები გაიმართება: იაპონიაში, კორეაში, ჩინეთში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. "ისთერნ პრომოუშენის" ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნდა ის შემადგენლობა, რომელიც ბენსონთან ერთად აღნიშნულ ტურნეში მიიღებს მონაწილეობას. ესენი არიან: მაიკლ ო ნეილი (გიტარა, ვოკალი); თომას ჰელი (ქიბორდი); სტენლი ბენქსი (ბასი); რათერ გოდინეზი (პერქაშენი); ოსკარ სიტონი (დასარტყამი ინსტრუმენტები).

მუსიკოსებს თბილისში ოთხ ნოემბერს ელიან.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## აშშ-მ „ალ-ქაიდას" ყველა ფინანსური წყარო აღმოაჩინა


ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჯიმი გურული

ამის შესახებ " World Tribun"-ს აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ განუცხადა. მისი თქმით, შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა საერთაშორისო ტერორისტული ქსელის 12 ფინანსური წყარო გამოავლინეს. ეს წყაროები, ძირითადად, საუდის არაბეთიდან მოედინება. **"ჩვენ ბევრი რამ შევიტყვეთ იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ტერორისტთა დაფინანსება. ადრე არ ვიცოდით, ამისათვის ხელი როგორ შეგვეშალა, ახლა კი მჯერა, რომ ამას მოვახერხებთ",-** განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, ეს ინფორმაცია აშშ-ის ადმინისტრაციას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება, კერძოდ, სპარსეთის ყურეში არსებული ყველა საეჭვო ფინანსური ჯგუფის და ბიზნესმენის საბანკო ანგარიშების გასაყინად. გურულის განცხადებით, აქამდე გაყინული იყო 112 მილიონი ამერკული დოლარი, რაც "ალ-ქაიდასათვის" უმნიშვნელო თანხას წარმოადგენდა. ამჯერად კი ლაპარაკია გაცილებით დიდ თანხაზე. კონკრეტული ციფრი აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილეს არ დაუსახელებია.

## გაერო-ს ყოფილმა ინსპექტორმა ერაყის ჯაშუშობა აღიარა

რამდენიმე წლის წინ ერაყში მისიით მივლინებულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ინსპექტორმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ მის ფუნქციას აშშ-ის სპეცსასმახურებისათვის ინფორმაციის გადაცემა წარმოადგენდა. ამჟამად თავად ინსპექტორი აშშ-ში იმყოფება. ის ერაყში 1996-1998 წლებში მუშობდა. მან განაცხადა, რომ ინფორმაციას უშუალოდ პენტაგონისთვის აგროვებდა.

**"ოფიციალური მოვალეობის შესრულებისას მე ვითვალისწინებდი ყველა იმ გარემოებას, რაც ჩემს ქვეყანას ერაყთან სამხედრო კონფლიქტის დროს გამოადგებოდა,"-** განაცხადა მან. ყოფილმა ინსპექტორმა თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

მისი თქმით, მოპოვებული ინფორმაცია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ ერაყში შესაძლო სამიზნეების სიის შესადგენად იქნა გამოყენებული. **"მე გამოვიკვლიე, თუ ვინ გაყიდა სული იმისათვის, სადამს ხელისუფლება რომ შეენარჩუნებინა. ასეთები უნდა გამოავლინო და მოკლა. ეს საუკეთესო საშუალებაა. ჩემი ამოცანა იყო მათი ყველგან პოვნა",-** დასძინა მან.

აღსანიშნავია, რომ ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა გაეროს ინსპექტორები 1998 წელს ერაყიდან სწორედ ჯაშუშობის ბრალდებით გამოაძევა. გაერო-ს დაკვირვების, კონტროლისა და ინსპექციის კომისიის წარმომადგენელმა ბიუკენენმა ასეთი ფაქტი არ დაადასტურა. თუმცა, დასძინა, რომ ასეთი პრეცედენტი თუ არსებობდა კიდეც, ამას გაერო-ს მისიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მისი თქმით, ინსპექტორების კომისიის ხელმძღვანელმა ჰანს ბლიკმა ერაყის მხარე დაარწმუნა, რომ **"ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს და თუ ვინმეს ანალოგიურ ქმედებაში ამხელენ, ის ინსპექტორთა რიგებიდან გაირიცხება."**

## აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან კომპიუტერები გაქრა

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, აშშ-ის წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემოწმებისას გაირკვა, რომ დაკარგულია 600-მდე კომპიუტერი, რომლებშიც, შესაძლოა, საიდუმლო ინფორმაცია ინახებოდეს. შემოწმებას აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების აუდიტორული სამსახური ატარებდა პერლ-ჰარბორის და ჰავაის კუნძულებზე ბაზირებულ ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებზე.


აშშ-ს წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

ოფიციალურ ანგარიშში ნათქვამია, რომ დაკარგულია 595 პერსონალური კომპიუტერი, რომელთაგან 14 მაინც გასაიდუმლოებულ მონაცემებზე სამუშაოდ გამოიყენებოდა. კომპიუტერებს მოსახსნელი მყარი დისკები ჰქონდა. აუდიტორული სამსახურის მოსაზრებით, რეალური საშიშროება არსებობს, რომ კომპიუტერები მოპარულია, რაც აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებში უცხო ქვეყნების აგენტების არსებობის ეჭვს იწვევს.

## თურქეთის სპეც-სამსახურებმა ერაყის ურანი დააკავეს

ცნობილი გახდა, რომ თურქეთის ჟანდარმერიამ დააკავა მინარევებიანი ურანის მსხვილი პარტია, რომელიც კონტრაბანდის სახით შევიდა თურქეთში. აღნიშნული ტვირთი და მისი გადამზიდავი პირები ქალაქ სანლიურფაში, ერაყის საზღვრიდან 250 კმ-ის დაშორებით, დააკავეს. ისრაელის სპეც-სამსახურების არაოფიციალური ინფორმაციით, ამ ფაქტით დასრულდა ამერიკული და საბჭოთა დაზვერვების ერთობლივი ოპერაცია, რომელიც თვეზე მეტხანს გრძელდებოდა.

15,7 კგ მინარევებიანი ურანის დაკავების შესახებ ინფორმაცია ანატოლიის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა. თუთიის კონტეინერში მოთავსებული ურანი ტაქსის სავარძლის ქვეშ იყო დამალული. თურქმა ჟანდარმებმა ტაქსი ქალაქ სანლიურფაში გააჩერეს. დააკავეს ორი პიროვნება, რომლებმაც დაკითხვაზე აღიარეს, რომ ურანი კონტრაბანდულად შეიტანეს ქვეყანაში, რათა შემდეგ გაეყიდათ. ტვირთის სავარაუდო ღირებულება 5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. პოლიციის მონაცემებით, ურანი, რომელიც არცთუ დიდი ბირთვული საბრძოლო მასალის დასამზადებლად შეიძლებოდა გამომდგარიყო, თურქეთში "ერთ-ერთი აღმოსავლური ქვეყნიდან" მოხვდა.

ინფორმაციის თანახმად, ურანის დაკავებით დასრულდა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის და ცენტრალირი სადაზვერვო სააგენტოს ერთობლივი ოპერაცია, რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო. ამ ფაქტამდე ცოტა ხნით ადრე დაზვერვის ორივე სამსახურმა მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ერაყელი აგენტების ჯგუფი დსთ-ის ქვეყნებში გაემგზავრა, რათა ნებისმიერი საშუალებით მოეპოვებინათ მინარევებიანი ურანი, რომელიც ბირთვული იარაღის შესაქმნელად შეეძლოთ გამოეყენებინათ. მაშინ რუსმა და ამერიკელმა მზვერავებმა შექმნეს ერთობლივი ოპერატიული ჯგუფი, რომლის შტაბ-ბინა მოსკოვში იყო. ამ ჯგუფმა შეძლო იმის გარკვევა, რომ ერაყის აგენტების სამი ჯგუფი (თითო ხუთკაციანი) უკრაინაში, ბელორუსიასა და ყაზახეთში ურანის ძებნას აწარმოებდა.

# იტალიის სპეცსამსახურები


სამხედრო დაზვერვა - SISMI



ინფორმაციისა და დემოკრატიული უსაფრთხოების სამსახური SISDE


ფინანსური გვარდია



კარაბინერთა კორპუსი

## შესავალი

იტალიის სპეცსამსახურების თანამედროვე სტრუქტურები 1977 წელს, რეფორმების განხორციელების შემდეგ, წარმოიშვა. მანამდე ქვეყანაში არსებობდა ერთადერთი სპეცსამსახური – თავდაცვის საინფორმაციო სამსახური – S.I.D. (Servizio Informazioni Difesa), რომელიც 1965 წელს რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით იყო შექნილი.

1977 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად S.I.D ორ დამოუკიდებელ სტრუქტურად გაიყო. ჩამოყალიბდა **სამხედრო დაზვერვა – SISMI (Servizio per le Informazioni la Sicurezza Militaree)** და **ინფორმაციისა და დემოკრატიული უსაფრთოების სამსახური – SISDE (Servizio per le Informazioni la Sicurezza Democratica).** ამ ორი სტრუქტურის კოორდინაციის მიზნით შეიქმნა ინფორმაციისა და უშიშროების სამსახურების აღმასრულებელი კომიტეტი – CESIS (Comitato Esecutivo per le Servizi di Informazione e di Sicurezza). ამ უწყებებზე კონტროლი დაეკისრა პარლამენტის მაკონტროლებელ კომიტეტს – Co.Pa.Co. (Comitato Parlamentare Di Controllo sui Servizi Segreti). აღნიშნული კომიტეტი 4 დეპუტატისა და 4 სენატორისგან შედგება. გარდა ამისა, არსებობს ინფორმაციისა და უსაფრთხოების სამსახურების უწყებათაშორისი კომიტეტი – CIIS (Comitato Interministeriale per le Informazioni e la Sicurezza), რომელშიც შედიან იტალიის პრეზიდენტი, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, მრეწველობის, საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

**პარლამენტის მაკონტროლებელი კომიტეტი – Co.Pa.Co..** ხელმძღვანელი **- ფრანკო ფრატინი**

**ინფორმაციისა და უშიშროების სამსახურების აღმასრულებელი კომიტეტი – CESIS.** ხელმძღვანელი – ფლორენციის ყოფილი პრეფექტი **ფრანჩესკო ბარადინი**. კომიტეტის შტატი 202 თანამშრომლისგან შედგება. კომიტეტი კოორდინაციას უწევს SISMI-ს, SISDE-ს, კარაბინერების, პოლიციის, შეიარაღებული ძალების და ფინანსური გვარდიის საქმიანობას.

ამდენად, იტალიაში ორი ძირითადი სპეცსამსახური - SISMI და SISDE მოქმედებს. მიზანშეწონილი იქნება, თუ ორივეს საქმიანობას მოკლედ მიმოვიხილავთ.

## სამხედრო დაზვერვა SISMI

დირექტორი – **ნიკოლო პოლარი** (მანამადე იყო ჯანფრანკო ბატელი)

პირადი შემადგენლობა – 2223 თანამშრომელი

შტაბ-ბინა – რომი

**სტრუქტურა**

იტალიის სამხედრო დაზვერვის შემადგენელ სტრუქტურულ დანაყოფებს დივიზიონები ეწოდება. სამხედრო დაზვერვაში შემდეგი დივიზიონები მოქმედებს:

"R" Ricerca - *სამძებრო-კვლევითი (საგარეო დაზვერვა)*

"D" Difesa – *თავდაცვა (კონტრდაზვერვა)*

*"E" Elaborazione – ვითარების* დამუშავება (ანალიზი)

*ბრძოლა ორგანიზიბულ დამნაშავეობასთან*

***სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელები:***

გენერალი ჯუზეპე სანტოვიტო (1978-1981)

გენერალი ნინო ლუგარეზი (1981-1984)

ადმირალი ფულვიო მარტინი (1984-1991)

ლუიჯი რამპონი (1991-1992)

გენერალი ჩეზარე პუჩი (1992-1994)

გენერალი სერჯო სირაკუზა (1994-1996)

ადმირალი ჯანფრანკო ბატელი (1996-2001)

## ინფორმაციისა და დემოკრატიული უსაფრთხოების სამსახური SISDE

დირექტორი – **მარიო მორი** (მანამადე ტურინის ყოფილი პრეფექტი ვიტორიო სტელო)

პირადი შემადგენლობა – 1339 თანამშრომელი

შტაბ-ბინა – რომი

**სტრუქტურა**

იტალიის უშიშროების სამსახურის სტრუქტურულ დანაყოფებს დეპარტამენტები ეწოდება. უშიშროების სამსახურში შემდეგი დეპარტამენტები მოქმედებს:

მაფიასთან ბრძოლის დეპარტამენტი

ანტიტერორისტული დეპარტამენტი

ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის დეპარტამენტი

ნაციონალური პოლიციის დეპარტამენტი

## ინფორმაციისა და დემოკრატიული უსაფრხთოების სამსახურის ხელმძღვანელები:

გენერალი ჟულიო გრასინი (1978-1981)

ემანუელე დე ფრანჩესკო (1981-1984)

ვინჩენცო პარიზი (1984-1987)

რიკარდო მალპიკა (1987-1991)

ალესანდრო ნოჩი (1991-1993)

გუსტავო სალაძარი (1993-1994)

გენერალი გაეტანო მარინო (1994-1996)

ვიტორიო სტელო (1996-2001)

ამ ძირითადი სპეცსამსახურების გარდა, იტალიაში მოქმედებს ***ფინანსური გვარდია*** და ***კარაბინერთა კორპუსიც.***

ფინანსური გვარდია სტრუქტურულად ფინანსთა სამინისტროს დანაყოფს წარმოადგენს, რომელსაც 1991 წლის 13 სექტემბრიდან გენერალი ***კონსტანტინო ბერლენგი*** ხელმძღვანელობს.

კარაბინერთა გვარდია კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ემორჩილება და მას 1993 წლის 26 თებერვლიდან გენერალი ***ლუიჯი ფედერიჩი*** უდგას სათავეში.

### *იტალიის სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა ცვლა*

როგორც ზემოაღწერილიდან ჩანს, იტალიის სპეცსამსახურების ხელმძღვანელები ამ პოსტებზე ძალზედ ხანმოკლე დროს ატარებდნენ. ბოლო ცვლილებები იტალიის ხელისუფლებამ 2001 წელს განახორციელა. იტალიის უშიშროების სამსახურის შეფად დაინიშნა კარაბინერთა გვარდიის გენერალი ***მარიო მორი***, ხოლო სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელად - ფინანსური გვარდიის გენერალი ***ნიკოლო პოლარი.***

უნდა ითქვას, რომ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელად მარიო მორის დანიშვნამ იტალიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უშიშროების შეფად კარაბინერთა გენერალი დაინიშნა. კარაბინერთა სამსახურში ყოფნის დროს მარიო მორი ცოცხალი ლეგენდა იყო. ის ანტიტერორისტულ ქვედანაყოფს და მაფიასთან ბრძოლის განყოფილებას ერთდროულად მეთაურობდა. 1986-90 წლებში ხელმძღვანელობდა კარაბინერთა სპეცჯგუფს "პალერმო-1", რომლის დანიშნულებაც მაფიასთან ბრძოლა იყო.

სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელად კი 2001 წელს ***ნიკოლო პოლარი*** დაინიშნა. ის ადრე ფინანსური გვარდიის ეკონომიკურ დანაშაულებებთან ბრძოლის განყოფილებას უძღვებოდა. ნიკოლო პოლარი დაიბადა 1943 წლის 3 მაისს სიცილიის ქალაქ კალტანისეტში. მიღებული აქვს სამი დიპლომი - იურიდიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში. თავის დროზე იყო ფინანსური გვარდიის შტაბის ხელმძღვანელი და რომის საგადასახადო პოლიციის ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელი. იძიებდა რიგ ორგანიზებულ დანაშაულებებს იტალიასა და მის საზღვრებს გარეთ.

### *იტალიის სპეცსასმახურები და საიდუმლო საზოგადოებები*

1981 წელს იტალიის სპეცსამსახურები მასონური ლოჟის "პროპაგანდა-2"-ის სკანდალში გაეხვივნენ. ეს სულ შემთხვევით მოხდა, როდესაც იტალიის პოლიციის ერთ-ერთმა რიგითმა თანამშრომელმა ვინმე ლიჩო ჯელის ოფისში აღმოაჩინა ადამიანთა სია, სადაც აღნუსხული იყო ასობით გვარი, საწევრო ბილეთების ნომრები, საწევრო გადასახდები. ამის შემდეგ მალევე გაირკვა, რომ სამართალდამცავი ორგანოების ხელში მასონური ლოჟის "პროპაგანდა-2"-ის არქივი აღმოჩნდა, რომელიც ჯერ კიდევ 1885 წელს დააარსა *"იტალიის დიადი აღმოსავლეთის"* ლოჟის უმაღლესმა მაგისტრმა ადრიანო ლემიმ. აღმოჩენილ სიებში ფიგურირებდნენ ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელი პირები: გენერალი ჯუზეპე სანტოვიტო (SISMI), ჯულიო გრასინი (SISDE), პელოზი (CESIS). ლოჟაში ასევე გაერთიანებულნი იყვნენ ფინანსთა სამინისტროს და გენერალური შტაბის უმაღლესი თანამდებობის პირები, მსხვილი ბანკირები და დიპლომატები. როგორც გაირკვა, მასონური ლოჟა "პროპაგანდა-2" უკიდურესი მემარჯვენე პოლიტიკური მიმართულების ორგანიზაციას წარმოადგენდა. ლოჟის ლიდერი იყო ამერიკის მოქალაქე და იტალიელი წარმოშობის პიროვნება ლიჩო ჯელი. ლოჟა მიზნად ისახავდა იტალიაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას.

## მაფიასთან ბრძოლა

იტალიაში მაფიასთან და ორგანიზებული დამნშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას კოორდინაციას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული გენერალური საბჭო. გენსაბჭოს წევრები არიან: ნაციონალური პოლიციის უფროსი, კარაბინერთა კორპუსის და ფინანსური გვარდიის სარდლები, მაფიასთან ბრძოლის სამძებრო სამმართველოს (DIA) დირექტორი, ინფორმაციისა და დემოკრატიული უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი და სამხედრო დაზვერვის შეფი.

ამ კოლეგიალური ორგანოს ძირითადი ამოცანებია: მაფიასთან ბრძოლის სტრატეგიის დასახვა, კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა თითოეული სტრუქტურისათვის, არსებული რესურსების და საშუალებების კომპლექსური და მიზანმიმართული გამოყენება, მიღწეული რეზულტატების პერიოდული შემოწმება და სამსახურთა საქმიანობაში, საჭიროებისამებრ, კორექტივების შეტანა.

იტალიაში მაფიასთან საბრძოლველად ასევე შექმნილია საოლქო სამმართველოების ქსელი, სადაც წარმოდგენილნი არიან სასამართლოს ორგანოები. ტერიტორიული ნიშნით დაყოფილი აღიშნული სტრუქტურები, მაფიოზური ტიპის დანაშაულებრივი გაერთიანებების საქმიანობის გამოსავლენად, ადგილებზე აწარმოებენ გამოძიებას. 1992 წლის 20 იანვარს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც იტალიის გენერალური პროკურატურის ფარგლებში შეიქმნა *მაფიასთან ბრძოლის ნაციონალური სამმართველო,* რომელიც კოორდინაციას უწევს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების საქმიანობას აღნიშნული მიმართულებით.

***მაფიასთან ბრძოლის სამძებრო სამმართველო DIA*** ორგანიზებული დამნაშავეობის და მაფიის წინააღმდეგ მოქმედი სტრუქტურების უმთავრეს უწყებას წარმოადგენს. ეს დანაყოფი 1991 წლის 30 დეკემბერს გამოცემული კანონის საფუძველზეა შექმნილი, ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტში შედის. თავის საქმიანობაში DIA, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს აკეთებს არა ცალკეულ დანაშაულებებზე, არამედ დამნაშავე სუბიექტებზე. ამდენად, ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია მაფიოზური სტრუქტურების მდგომარეობის, მათი კავშირების და ძირითადი მოქმედი პირების გამოვლენაზე.

DIA ოპერაციებს ნაციონალურ პოლიციასთან, კარაბინერებთან, და ფინანსურ გვარდიასთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმართავს. კანონის თანახმად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ითანამშრომლონ DIA-ს საგამოძიებო პერსონალთან, მიაწოდონ მათ ყველა სახის ინფორმაცია და მათ ხელთ არსებული ოპერატიული მასალები, რაც მაფიის საქმიანობას ეხება. თავის მხრივ, DIA-ს ოფიცრები ფლობენ ყველა იმ უფლებამოსილებას, რაც ძიების პროცესს ესაჭიროება. კერძოდ, ჩხრეკების ჩატარება, სამხილი მასალების ამოღება, მოწმეთა ჩვენებების მიღება, დაპატიმრებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ის დადებითი შედეგები, რაც მიღწეულ იქნა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ძირითადად, იტალიის პარლამენტის დამსახურებაა. სწორედ იტალიელი კანონმდებლების ძალისხმევის შედეგად მოხდა სამართალდამცავი ორგანოების და სპეცსამსახურების კარგად კოორდინირებული საქმიანობის წარმართვა, ახალი ოპერტიული დანაყოფების შექმნა, ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში რეგულარული არმიის ნაწილების ჩართვა. კონკრეტული საკანონმდებლო ღონისძიებების გატარების შედეგად მოხდა იმ პირთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და სადამსჯელო ზომების დიფერენცირება, რომლებმაც სამართალდამცავ ორგაოებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ამ ღონისძიებამ ფრიად დადებითი შედეგები მოიტანა. მაფიოზურ სტრუქტურებში ჩართულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი იტალიის სპეცსამსახურების და სამართალდამცავი ორგანოების ინფორმატორები გახდნენ.

80-იანი წლების მეორე ნახევარში სიცილიურმა მაფიამ *"კოზა ნოსტრამ"* ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნისა და ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლისაკენ აიღო კურსი. მათ, გარკვეულწილად, მოახერხეს კიდეც იმ პერიოდში სამართალდამცავი სტრუქტურების დაჩაგვრა. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც 90-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებამ კონტრშეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა.

ნაციონალური პოლიციის მაღალკვალიფიციურმა კადრებმა - გამომძიებელმა ***ჯოვანი ფალკონემ*** და ***პაოლო ბორსელინომ,*** ამერიკელ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეძლეს, არა მარტო დაედგინათ იტალიური მაფიის საგარეო კავშირები, არამედ მათ მაფიის შიდა სტრუქტურებში შეღწევაც მოახერხეს. ფალკონემ და ბორსელინომ გამოავლინეს მაფიის ფინანსური სისტემა, ოკეანის გაღმა ნარკობიზნესში არსებული კავშირები საერთაშორისო და იარაღით ვაჭრობაში ჩართულ ორგანიზაციებთან. თუმცა, ამით გამომძიებლებმა საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. 1992 წლის მაისში ფალკონე ააფეთქეს. იგივე ბედი ეწია ბორსელინოსაც, ოღონდ ის ერთი თვის შემდეგ, ივნისში მოკლეს.

როგორც გაირკვა, ამ მკვლელობების უკან მაფიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ***ტოტო რეინი,*** მეტსახელად "კურტო", იდგა. 1994 წელს ის პალერმოში დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მასთან ერთად ციხეში ჩასვეს მაფიის ასობით წევრი.



## ოპერაციები

იტალიის სპეცსამსახურების ისტორიაში ყველაზე გახმაურებულ და ცნობილ ოპერაციად ითვლება რომის პაპზე განხორციელებული თავდასხმის გამოძიება. როგორც ცნობილია, 1981 წლის 13 მაისს თურქული ტერორისტული ორგანიზაციის "ნაცრისფერი მგლების" წევრმა ***ალი აგჯამ*** ესროლა და მძიმედ დაჭრა რომის პაპი იოანე-პავ-


მებრძოლ მცურავთა ბაზა


მებრძოლი მცურავები - "ადამიანი ტორპედოები"

ლე II. 1981 წლის ივლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ თურქ ტერორისტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. იმავდროულად დაიწყო გამოძიება აგჯას თანამზრახველთა და მეკავშირეთა გამოსავლენად. სპეცსამსახურები ე.წ. "ბულგარულ კვალზე" გავიდნენ. 1982 წლის 8 ნოემბერს პატიმარმა ალი აგჯამ ამოიცნო ბულგარელების - ანტონოვის, აივაზოვის და ვასილიევის ფოტოები. 1982 წლის 25 ნოემბერს იტალიის დაზვერვამ ბულგარეთის ავიაკომპანიის თანამშრომელი ***სერგეი ანტონოვი*** დააპატიმრა. დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც ისტორიაში "ანტონოვის საქმის" სახელით არის შესული. სასამართლო ათ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. 1986 წლის 29 მარტს სასამართლომ, საკმარისი სამხილების არარსებობის მიზეზით, ანტონოვი და მასთან ერთად მყოფი აივაზოვი და ვასილევი, ასევე თურქი მოქალაქეები - ჩელები და ჩელიკი გაათავისუფლა. თუმცა, დღემდე ძალაში რჩება ვერსია, რომ რომის პაპზე თავდასხმა სსრკ-ს და ბულგარეთის სპეცსამსახურების მიერ იყო დაგეგმილი და განხორციელებული.( ამის შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ ქვემოთ – ***რომის პაპზე თავდასხმა)***

1994 წელს იტალიაში აღიძრა საქმე SISDE-ს "შავი ფონდების" სახელით. საქმე ეხებოდა ინფორმაციისა და დემოკრატიის უსაფრთხოების სამსახურში არსებულ კორუფციას და მილიარდობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას. თავის მხრივ, იტალიის აღნიშნული სპეცსამსახური შეეცადა, იგივე ბრალდება ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისათვის, მათ შორის, პრეზიდენტისთვის წაეყენებინა. საბოლოოდ, როგორც გაირკვა, SISDE-ს ხელმძღვანელობამ სამსახურის ე.წ. "შავი ფონდებიდან" თავის საბანკო ანგარიშებზე, დაახლოებით, 40 მილიარდი დოლარი გადაქაჩა. სამსახურის ყველა ხელმძღვანელი პირი დააპატიმრეს.

## იტალიის სპეციალური დანიშნულების რაზმები

ტერორიზმთან ბრძოლის კარაბინერთა რაზმი (GIS)

მებრძოლი მცურავები (COMSUBIN "TESEO TESEI")

მე-9 მედესანტ-პარაშუტისტთა პოლკი " COL MOSCHIN"

სპეცჯგუფი NOCS, რომელიც პასუხისმგებელია ბირთვული ობიექტების უსაფრთხოებაზე.

იტალიის სპეციალური დანიშნულების რაზმების კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხს აგებს **Operatori Speciali Servizio Informazioni (OSSI)**

თავდაპირველად სპეცდანაყოფების მოქმედებების კოორდინაციით დაკავებული იყო სპეციალურ ოპერაციათა ჯგუფი **GOS (Gruppo Operazioni Speciali.** მის მემკვიდრე საკოორდინაციო სამსახურს კი OSSI ეწოდა. ამ სამსახურის ანგარიშზე 24 წარმატებით დაგეგმილი და შესრულებული ოპერაცია ირიცხება, მათ შორის, 5 იტალიაში ჩატარდა. საზღვარგარეთ იტალიის სპეციალური დანიშნულების რაზმების მოქმედების ტერიტორიების რიცხვში შედიან: ჩრდილოეთ იტალია, პერუ, სომალი, ეთიოპია, მოზამბიკი, ალბანეთი, ლიბანი, გვინეა და თურქეთი.

## მებრძოლი მცურავები - "ადამიანი - ტორპედოები"

იტალიელი მებრძოლი მცურავები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სპეცრაზმად ითვლება. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ყურადღება ეთმობოდა წყალქვეშა დივერსიული დანაყოფების შექმნას, რომლებსაც მტრის საზღვაო ხომალდების მწყობრიდან გამოყვანა შეეძლებოდათ. იტალიაში ასეთი დანაყოფი შეიქმნა ხელისუფლების სათავეში დუჩე მუსოლინის მოსვლის დროს. ეს რაზმი თავიდანვე ელიტურად ითვლებოდა. მათ ***"ადამიან ტორპედოებსაც"*** უწოდებდნენ.

1941 წლის დეკემბერში იტალიელმა მებრძოლმა მცურავებმა, ***თავადი ბორჯეზეს (***"შავი თავადი") მეთაურობით, ალექსანდრიის პორტში ბრიტანული ლინკორების - "დედოფალი ელისაბედის" და "ველიენტის" ჩაძირვა შეძლეს. აღსანიშნავია, რომ დღემდე შემონახულია ფლოტილიის იმ ათი დანაყოფის საშტურმო საშუალებები, რომლებსაც ბორჯეზე მეთაურობდა. სწორედ მას მიაწერენ რუსული ხომალდის, "ნოვოროსიისკის" აფეთქებასაც.

ჩვენს დროში იტალიელი მებრძოლი მცურავები Comsubin-ის სახელს ატარებენ. ისინი იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტილიის შემადგენლობაში ირიცხებიან. მცურავთა ბაზა განლაგებულია ვარინიანოში **(il Varignano).** მებრძოლი მცურავების სტრუქტურა ორი ქვედანაყოფისგან შედგება:

კლასიკური კომანდოსი - **GOI (Gruppo Operativo Incursori)**

საკუთრივ მებრძოლი მცურავები – **GOS (Gruppo Operativo Subasquei)**

უნდა ითქვას, რომ ამ ელიტურ დანაყოფში მოხვედრის სურვილს ყოველწლიურად ათასობით იტალიელი გამოთქვამს, მაგრამ მათგან მხოლოდ 10%-ს ღებულობენ. სხვა სპეცსამსახურებისგან მებრძოლ მცურავთა განმასხვავებელი ნიშანი ზურმუხტისფერი ქუდია. სპეცრაზმის დევიზია ***"უმჯობესია ცოტა და საუკეთესო, ვიდრე ბევრი და კარგი."***

## მედესანტე-პარაშუტისტთა მე-9 პოლკი - COL MOSCHIN

ამ დანაყოფის მოღვაწეობა სრული საიდუმლოებით არის მოცული. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს ქვედანაყოფი, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა კონფლიქტში იყო ამოქმედებული, სადაც კი იტალიის სამხედრო ნაწილები იღებდნენ მონაწილეობას. ასეთები იყო: ოპერაცია ლიბანში 1982-84 წწ, 1985 წელს ტერორისტების მიერ დაკავებული ხომალდის "აჩილე ლაუროს" გათავისუფლება, ოპერაციები ქურთისტანსა და ეთიოპიაში 1991 წელს, სომალში 1992-95 წლებში, რუანდასა და იემენში 1994 წელს და 1995 წელს კოსოვოში. სპეცდანაყოფის პირადი შემადგენლობა მუდმივად იზრდებოდა. თუ 1961 წელს მას ბატალიონი ეწოდებოდა, 1995 წლიდან ის უკვე პოლკის სახელს ატარებს.

## GIS

შედის კარაბინერთა კორპუსის შემადგენლობაში. მისი შექმნა უკავშირდება 1977 წლის 17 ოქტომბერს, 4 ტერორისტის მიერ მოგადიშოში "ლიუფტჰანზას" ბოინგის გატაცებას. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ფრანჩესკო კოსიგამ სწორედ მაშინ გასცა ბრძანება, შეექმნათ ანტიტერორისტული სპეცდანაყოფი.

## თავდასხმა რომის პაპზე

იტალიურ პრესაში კვლავ ძალაშია ვერსია იმის თაობაზე, რომ 1981 წლის 13 მაისს რომის პაპის თავდასხმაში საბჭოთა სუკი მონაწილეობდა. პუბლიკაციები ეყრდნობა, ძირითადად, იტალიური ორგანიზაცია "ჩესისის" ანგარიშებს, რომელიც კოორდინაციას უწევს იტალიური სპეცსამსახურების მოღვაწეობას. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ პაპის ტახტზე პოლონელი კაროლ ვოიტილას არჩევის შემდეგ, სუკ-ში შემუშავდა გეგმა - **"კათოლიკური ეკლესიის სადისკრედიტაციოდ, დეზინფორმაციის და ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზაციისთვის"**. იტალიელი კონტრმზვერავების მტკიცებით, ჩეკისტებს რომის პაპის ფიზიკური განადგურებაც უნდოდათ, თუ ეს საჭირო გახდებოდა. ეს გეგმა გეგმა ითვალისწინებდა ასევე ***კარდინალ კაზაროლიზე*** გარე მეთვალყურების დაწესებასაც. კარდინალი პასუხისმგებელი იყო აღმოსავლეთში ვატიკანის იმდროინდელ პოლიტიკაზე. ამისთვის სუკმა გადაიბირა მისი ძმისშვილი ***მარკო ტორეტი*** და მისი მეუღლე - ჩეხი ეროვნების ***ირენ ტროლეროვა***. მათ კარდინალის ვატიკანის სახლში მოსასმენი აპარატურა დაამონტაჟეს. როგორც შემდეგ გაირკვა, მათ ანტიკური ქანდაკება მოსასმენი აპარატიანი ანალოგიური ქანდაკებით შეცვალეს. პონტიფიკზე თავდასხმა 17 წლის მანძილზე აღელვებდა დეტექტიური ისტორიების მოყვარულებს. ჟურნალ-გაზეთების ვერსიების სიუხვის და უამრავი მასალის მიუხედავად, პასუხი ცალსახა მაინც არ იყო. დანამდვილებით ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ დაქირავებული მკვლელი ეროვნებით თურქი და ტერორისტული ორგანიზაცია ***"ნაცრისფერი მგლების"*** წევრი იყო.

გასროლის მეორე დღეს აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მოსკოვი "საერთაშორისო ტერორიზმში" დაადანაშაულა. იტალიურმა პოლიციამ მომხდარში "ბულგარული კვალი" დაინახა და დააპატიმრა იმ დროს რომში მომუშავე ავიაკომპანია ***"ბალკანის"*** თანამშრომელი, როგორც დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი. ამჟამად რომში ახალ ვერსიას განიხილავენ, რომელიც ჟურნალისტ ლუჩიო ანტინელის ეკუთვნის. მან საკუთარი ჟურნალისტური გამოძიების საფუძველზე დაასკვნა, რომ: თურქ ტერორისტ აგჯის ხელმძღვანელობდნენ არა ბულგარეთის და სსრკ-ს სპეცსამსახურები, არამედ იტალიური მაფია - "კოზანოსტრა."

ამის თაობაზე საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ***ბორის სოლომატინი***, რომელიც 1976-1982 წლებში რომში საბჭოთა რეზიდენტურას მეთაურობდა. მან რომის პაპზე - იოანე პავლე II-ზე, თავდასხმას შემდეგი კომენტარი გაუკეთა: " **მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მომხდართან არანაირი კავშირი არ აქვს. წმინდა პეტრეს მოედანზე მომხდარი გასროლის შესახებ ადგილობრივი რადიოს საშუალებით შევიტყვე, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რაც არ უნდა იყოს, პაპის უკან მილიარდზე მეტი კათოლიკე იდგა. მეორეს მხრივ, ჩვენ არ შეგვეძლო, არ დაგვენახა ის ქაოსი, რაც იტალიაში არსებობდა: მაფია, შეკვეთილი მკვლელობები, კორუფცია. გამოთქვამენ აზრს, რომ მოსკოვს შეეძლო, არ გაეფრთხილებინა რეზიდენტი რომში მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მაგრამ წესრიგი მკაცრი იყო: ნებისმიერ შემთხვევაში, რაიმე ფორმით, მე საქმის კურსში უნდა ვყოფილიყავი. გასროლის შემდეგ არ ყოფილა არცერთი ოფიციალური ვერსია მომხდართან ოფიციალური სოფიის ან მოსკოვის კავშირზე, მაგრამ პრესა მიანიშნებდა, რომ თუ საქმეში ბულგარელების ხელი ერია, ესე იგი, მათ მოსკოვი ხელმძღვანელობდა."**

იტალიურმა სასამართლომ ბულგარეთის ავიაკომპანიის თანამშრომელი სერგეი ანტონოვი სანახევროდ გაამართლა იმ ვერდიქტის გამოიტანით, რომ მას ბრალდება მოეხსნა საკმარისი სამხილი მასალების არარსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ გფრ-ში გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც რომის პაპზე განხორციელებულ თავდასხმაში საბჭოთა სუკის მონაწილეობას ეხება. დოკუმენტური კადრებიდან ჩანს, რომ ლუბიანკაზე, სუკის შენობაში არსებობდა გეგმა გრიფით - "საიდუმლო", რომელსაც უშიშროების კომიტეტის მაშინდელი შეფი იური ანდროპოვი აწერდა ხელს. სპეცღონისძიებათა კომპლექსური გეგმა ვატიკანის და პირადად იოანე პავლე II-ის წინააღმდეგ საიდუმლო ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებდა.

ამას ადასტურებს ვინმე ***შეიმოვი*** - სუკის ყოფილი გამშიფრავი, რომელიც, ცსს-ს დახმარებით, 1980 წელს დასავლეთში გაიქცა. მეგობრები და კოლეგები დიდხანს ეძებდნენ მას, ეგონათ, რომ ის დაიხრჩო ან მანქანამ გაიტანა. ის კი ამ დროს, თავის ოჯახთან ერთად, აშშ-ში იმყოფებოდა, აძლევდა ჩვენებებს, წერდა მემუარებს. ათი წლის შემდეგ სწორედ ეს შეიმოვი გამოვიდა ექსპერტად და განაცხადა, რომ საკუთარი თვალით აქვს ნანახი რომის პაპის წინააღმდეგ შეთქმულების "ანდროპოვის გეგმა".

სოლომატინის აზრით, ყოფილ გამშიფრველს არ შეეძლო, ენახა მსგავსი " საიდუმლო" დოკუმენტი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის მხოლოდ ადმინისტრაციული საკითხებით იყო დაკავებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეიმოვს ასეთი დოკუმენტი, შესაძლოა, შემთხვევით ჩავარდნოდა ხელში, რისი გამორიცხვაც არ შეიძლება. შემთხვევითობა სპეცსამსახურებში გამორიცხული არასდროს არ არის.

რუსეთის საგარეო დაზვერვის პრეს-სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა გენერალმა იური კობალაძემ "იზვესტიას" ჟურნალისტებს განუცხადა: "**დასავლეთის პრესაში გაჩაღებულ მორიგ პროპაგანდაში, რომის პაპზე განხორციელებულ თავდასხმაში ჩვენი სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ, ახალი არაფერია. ყველაფერი კვლავ დაუმტკიცებელია, არცერთი სერიოზული ექსპერტიზა, არცერთი დოკუმენტი არ არსებობს. მზვერავები უკვე ხუმრობენ: თითქოს ეს ამერიკელების შურისძიებაა იმის გამო, რომ თავის დროზე სუკ-მა გაავრცელა აზრი ცსს მიერ შიდსის მოგონებისა და მსოფლიოში მისი გავრცელების შესახებ."**

გთავაზობთ ნაწყვეტებს რომში საბჭოთა რეზიდენტურის საიდუმლო შიფროგრამებიდან:

**"ამა წლის 13 მაისს უცნობი პირის მიერ დაჭრილია რომის პაპი იოანე პავლე II. დანაშაული მაშინ მოხდა, როდესაც პაპი მორწმუნეების ღია მანქანით გამოდიოდა.**

**.... პირველ კომენტარებს რომის პაპზე თავდასხმის შესახებ უკავშირებენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას.... ზოგი პირდაპირ აცხადებს, რომ თავდასხმა მოხდა 17 მაისს დანიშნული რეფერენდუმის წინ. ბოლო დროს პაპს საერო პარტიის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ, აბორტების წინააღმდეგ კანონის მხარდაჭერის გამო."**

**"არსებული საქმის ანალიზისას ჩვენ გამოვდივართ შემდეგი ფაქტებიდან, რომ არც ანტონოვს, არც სხვა ბულგარელ მოქალაქეებს არ აქვთ კავშირი ვოიტილაზე განხორციელებულ თავდასხმასთან. ჩვენ ვეყრდნობით ბულგარელი მეგობრების განცხადებებს და რეზიდენტურების მიერ მოპოვებულ მონაცემებსაც".**

ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ თუკი რომის პაპზე თავდასხმა საბჭოთა სუკის მიერ იყო განხორციელებული, ცხადია, ლუბიანკის წარმომადგენლები ამას არცერთ შემთხვევაში არ დაადასტურებენ. რაც შეეხება სოლომატინის მიერ მოყვანილ შიფროგრამებს, ცხადია, რეზიდენტურის მიერ ოფიციალური არხებით გადაცემულ ცნობებში რომის პაპზე მომხდარი თავდასხმის შესახებ მხოლოდ ის იქნებოდა ნათქვამი, რაც ზემოთ არის მოყვანილი. თუ სუკმა დაგეგმა და განახორციელა პაპზე თავდასხმა, ეს იმდენად გასაიდუმლოებული იქნებოდა, რომ ოფიციალური შიფროგრამებით, თუნდაც "საიდუმლო" გრიფით ყოფილიყო, ცნობები თავდასხმის თაობაზე არ გადაიცემოდა. ამისათვის სპეციალური არხები არსებობს. გარდა ამისა, შესაძლოა, რომის რეზიდენტურას აღნიშნული გეგმის თაობაზე არც არაფერი ცოდნოდა. ლუბიანკაზე ამისთვის სპეციალურად იყო შექმნილი ე.წ. "ლიკვიდატორთა" ზესაიდუმლო განყოფილება, რომლებიც დავალებებს უშუალოდ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისგან ღებულობდნენ. ასეთი ბრძანებები კი ქაღალდზე არ აისახებოდა.



## ისრაელის ოფიცერი ჯაშუშობისთვის დააპატიმრეს

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს სკანდალური ინფორმაცია ისრაელის არმიის მაღალჩინოსანი ოფიცრის დაპატიმრების თაობაზე, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაციის "ჰესბოლას" სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედება ბრალი. აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ ძალზედ იშვიათი შემთხვევაა და ბოლო წლების განმავლობაში არც მომხდარა. როგორც გაირკვა, ისრაელის არმიის ვიცე-პოლკოვნიკი "ჰესბოლას" ისრაელის ჩრდილოეთში განლაგებული სამხედრო ობიექტების შესახებ აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციას, რის სანაცვლოდაც ფულს და ნარკოტიკებს ღებულობდა.


"ჰესბოლას" აქტივისტები

## კუბის აგენტები აშშ-ში

1998 წლიდან აშშ-ის სპეცსამსახურებმა ფიდელ კასტროს ათეულობით აგენტი გამოავლინეს. სულ ახლახან გამოძიების ფედერალურმა ბიურომ კიდევ ერთი ასეთი ფაქტი გამოამზეურა. ამერიკელმა კონტრმზვერავებმა აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ყოფილ თანამშრომელ ქალს კუბის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

***ანა ბელენ მონტესი***, 46 წლის. პუერტორიკოელი წარმოშობის ამერიკელი. დაბადებულია გერმანიაში, აშშ-ის სამხედრო ბაზაზე, არმიის ფსიქოლოგის ოჯახში. როგორც გაირკვა, ის ჯერ კიდევ შარშან დააპატიმრეს, თუმცა ამის თაობაზე მასმედიისათვის არაფერი იყო ცნობილი. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ანა ბელენ მონტესმა თავისი დანაშაული აღიარა.

თეორიულად მას სასიკვდილო განაჩენი ელოდა, მაგრამ პროკურორი დათანხმდა, დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ მისთვის 25 წლიანი პატიმრობა შეეფარდებინათ.

მონტესი აშშ-ის სამხედრო დაზვერვაში უფროს ანალიტიკოსად მუშაობდა. მას კუბის საქმეები ებარა. მონტესმა კუბის დაზვერვას საიდუმლო ინფორმაციების შემცველი დიდძალი მასალა გადასცა, მათ შორის იყო ცნობები კუბაში მომუშავე ოთხი ამერიკელი აგენტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მონტესმა დანაშაული აღიარა, მას თავისი საქციელი არ მოუნანიებია. სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში მონტესმა განაცხადა, რომ მას კუბისადმი სიყვარული ამოძრავებდა და ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის მიმართ აშშ-ის აგრესიული პოლიტიკით აღშფოთებული იყო.

**"მე სინდისს ვემორჩილებოდი და არა კანონს. მიმაჩნია, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა კუბასთან მიმართებაში სასტიკი, უსამართლო და არაკეთილმეზობლურია. ჩემს მორალურ ვალდებულებად ჩავთვალე, კუბას დავხმარებოდი, რათა ამ ქვეყანას ჩვენგან თავსმოხვეული პოლიტიკური წყობისა და ფასეულობათა სისტემისაგან დაეცვა თავი," -** განაცხადა სასამართლოზე ანა ბელენ მონტესმა.

როგორც გაირკვა, მონტესი კუბის დაზვერვას მოკლეტალღიანი გადაცემების, კომპიუტერის და საპეიჯერო ზარების მეშვეობით აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციას. გარდა ამისა, გფბ-ს მიერ მისთვის მიჩენილი აგენტები ხედავდნენ, რომ მონტესი ნაციონალური ზოოპარკისა და ვაშიგტონის გარეუბნების ტელეფონ-ავტომატებს იყენებდა.

## გფბ-სა და ცსს-ს ყოფილი ხელმძღვანელი ამერიკელ ფინანსისტებს გააკონტროლებს

**"აშშ–ს ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) უფროსმა ჰარვი პიტმა გფბ–სა და ცსს–ს ყოფილ ხელმძღვანელს ვილიამ**


SEC-ის უფროსი ჰარვი პიტი

**ვებსტერს აუდიტორებზე კონტროლის საბჭოს ხელმძღვანელობა შესთავაზა. ეს იქნება ახალი ორგანო, რომელიც დაუდევარ ამერიკელ ფინანსისტებს გააკონტროლებს,"** – იტყობინება **Wall Street Journal.**

SEC–მა ორშაბათამდე უნდა შეარჩიოს კონგრესის მიერ აუდიტორებზე კონტროლისათვის შექმნილი საბჭოს ხუთი წევრი, რომელიც იმ ფინანსური სკანდალების გამოსავლენად შეიქმნა, რამაც ისეთი დიდი კომპანიების კრახი გამოიწვია, როგორიცაა ENRON da WorldCom.

"78 წლის ვებსტერმა ეს ცნობა არ დაადასტურა", – გადმოსცემს "ინტერფაქსი"

ამჟამად ყოფილი მზვერავი იურიდიული ფირმების - "მილბანკი", "ტვიდი", "ჰედლი და მაკკლოი", ვაშინგტონის ოფისების პარტნიორია. მას გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის პოსტი 11 წლის განმავლობაში ეკავა, ხოლო ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს 4 წელიწადს ხელმძღვანელობდა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მას იმდენი გამოცდილება არ აქვს, რომ შეთავაზებული პოსტი დაიკავოს და საქმეს წარმატებით გაართვას თავი.

ამ პოსტზე სხვა კანდიდატად SEC–ის წევრი ჯონ ბიკსი მოიაზრება, რომელიც ამჟამად კოლეჯების მასწავლებლებისათვის დაარსებულ მსხვილ საპენსიო ფონდს ხელმძღვანელობს.

## იემენში ამერიკელი დიპლომატი მოკლეს

ის აშშ-ის საელჩოს კუთვნილ მანქანაში იპოვნეს მოკლული. იემენური გაზეთის - "აშ-სარქ ალ-აუსათის" ცნობით, უცნობი დიპლომატის გვამი პოლიციამ 19 ოქტომბერს, ქალაქ ბაჯილასთან ახლოს, გზაზე აღმოაჩინა. ამერიკელის დაღუპვის მიზეზი ჯერ უცნობია. თავდაპირველად პოლიცია ამ ტრაგედიას ავტოსაგზაო შემთხვევას უკავშირებდა. ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით, ექსპერტიზა თავად ამერიკელებმა ჩაატარეს საელჩოს ტერიტორიაზე და დაადგინეს, რომ დიპლომატი მოკლული იყო. როგორც გაირკვა, დაუდგენელ ვითარებაში დაღუპული დიპლომატი იემენში აშშ-ის საელჩოს შტატში არ ირიცხებოდა და ის ქვეყანაში სპეციალური საიდუმლო მისიით იყო ჩასული.

*მოამზადა ლევან ღირსიაშვილმა*

ჯანო ბაგრატიონის სახელობის
ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება ორი ოროთახიანი გარემონტებული ბინა ქვედა ზმკ-ზე. 71 84 88

იყიდება უცხოვრებელი 3-ოთახიანი ბინა ევრორემონტით ახალაშენებულ სახლში, ვაკეში. 37 18 44, 8(77) 40 64 65

შევიძენ ბინას 3000-ის ფარგლებში თბილისის გარეუბნებში. სართულს მნიშვნელობა არ აქვს. 76 63 98

იყიდება 2-ოთახიანი (გად. 4-ად) არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა მე-9 სართულზე, საბურთალო ზაქარიაძის 1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ. აივანით, 2 ტუალეტით, ორი სათავსო სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490 მარინა

სასწრაფოდ იყიდება მაღალჭერიანი არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა 3(4), სარდაფით, ბ/აირით. მეტრო "სამგორთან". 71 75 72

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

იყიდება თანამედროვე დიზაინით აშენებული კერძო 2 სართულიანი სახლი ავლაბარში, სამების ეკლესიასთან.
ტელ: 98 40 13, 899 516925

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ხეხილიანი ნაკვეთი საგურამოს ცენტრში. 37 18 44, 8(77) 40 64 65

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ქირავდება ან იყიდება 200 კვ.მ. გარემონტებული ბინა ვაკეში, ამავე ფართის სარდაფით. ფასი შეთანხმებით. 23 57 21

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა მიცკევიჩზე. 22 86 33

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

ქირავდება მაღალჭერიანი 2-ოთახიანი ლოჯიით, II სართულზე. თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ვაგზლის მოედანთან. 130-ად. 22 13 68

## კომერციული ფართი

ქირავდება ფართი კომერციული საქმიანობისათვის დიღმის მასივში. 53 44 68

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

იყიდება კაფე, ავტოსამრეცხაო, ვულკანიზაცია და 4-ბოქსიანი პროფილაქტიკა აეროპორტის ეზოში. 8(99) 14 14 01

ქირავდება!

კომერციული ფართი ვერაზე

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება LANCIA DEDRA INTEGRALE. 1993 წ. ძრავი 2.0 ტურბო (11 ლ 100 კმ), ტყავის სალონი, ელ.პაკეტი, ელ.ლუქი, კლიმატ-კონტროლი, ABS, ჰიდრავლიკა, 4x4 კვადრო, ავვისტოში ჩამოყვანილი, განბაჟებული. ფასი 4000 $.
8(77) 44 13 40

იყიდება "გოლფ-2". 99 60 04

სასწრაფოდ იყიდება "ვოლვო-440" 1991 წლის, საუკეთესო მდგომარეობაში, მუქი რუხი. 52 37 55, 8(99) 58 34 37

## სწავლება

შევასწავლი ქართულ ცეკვებს ნებისმიერი ასაკის მსურველს. 53 00 38, 8(77) 73 33 22

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

ვიქირავებ სამარშუტო ხაზს საქართველოში ნებისმიერი მიმართულებით. 23 28 07

იყიდება 710-ის სამეული (ტახტი, სავარძლები, მაგიდა) საუკეთესო მდგომარეობაში. ს/ფასი 1200 $. 23 57 39, 8(99) 16 80 06

იყიდება რუმინული ავეჯი: სასადილოები, საძინებლები, ტყავის სამეულები და როიალები.
ტელ: 95-77-88, 877 764758

დაგიმზადებთ უცხოური ავტომობილის ყველა სახის, გვერდითა, მოძრავ და უძრავ მინებს. 8(99) 24 40 32

საშუამავლო ფირმა "კახი-98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს დაბალ პროცენტში. 23 70 91, 8(77) 71 05 90

შევიძენ ფინური სასადილო "მიქადო"-ს ჟურნალების მაგიდას. 66 62 92, 8(99) 17 56 14

განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- სკოლის მოსწავლეთათვის:
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- აბიტურიენტებისათვის:
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

15 ოქტომბრიდან ტელეფონით
მიღებული განცხადების
(12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება
1 ლარით

98-86-43, 53-76-43

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კუპონი

29.10.02 N-149

## სკანდინავიური კროსვორდი



## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**მარჯანიშვილის თეატრი**
შოუ-კონცერტი "შემოდგომის არდადაგები"
დას: 16:00 სთ; ფასი 7-15 ლარი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"მონატრება", რეჟ; კოტე მირიანაშვილი; მთავარ როლში: გოგი გეგეჭკორი
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"მრუდე სარკეები", რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა: ნინო ბასილიას "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**„ქარვასლა"**
შვეიცარიელი ფოტოგრაფის ანდრიას ჰაგენბახის ფოტონამუშევრების გამოფენა
მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
"საშემოდგომო გამოფენა"

**ძველი გალერეა**
ნინო ფურცხვანიძის ფოტოგამოფენა, "ქართული პორტრეტი და ჰოლანდიური პეიზაჟი"

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გელა სამსონიძის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00 სთ

**„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ
"სამი იქსი"
დას: 19:00 სთ
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 21:30 სთ;



ფეხბურთი

# ევროფეხბურთი: გრანდებს მძიმე დრო დაუდგათ

აკა ტონია

## ესპანეთი, VII ტური: "რეალი" კრიზისშია, "ბარსა" გამარჯვებას ზეიმობს

*26 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| რეკრეატივო – ბეტისი | 1:1 |
| რეალი – ვილიარეალი | 1:1 |
| რაიო ვალეკანო – დეპორტივო | 1:2 |
| ვალენსია – ბილბაო | 5:1 |
| ბარსელონა – ალავესი | 6:1 |
| სელტა – ატლეტიკო | 0:0 |

*27 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| მალაგა – ესპანიოლი | 3:4 |
| მაიორკა – ოსასუნა | 2:0 |
| სევილია – ვალიადოლიდი | 2:1 |
| სოსიედადი – სანტანდერი | 2:1 |

წლევანდელი სეზონის დაწყების წინ მთელი ესპანეთი კანკალებდა "უძლეველი რეალის" შიშით. დამარცხება გუნდისა, რომელსაც თავის რიგებში რაულის, ზიდანის, ფიგუსა და კარლოსის მსგავსი ვარსკვლავები ჰყავს, ბევრს შეუძლებელ ამოცანადაც კი ესახებოდა. ჩემპიონატის უკანასკნელი, მეშვიდე ტურის შემდეგ საფეხბურთო ესპანეთმა შვებით ამოისუნთქა – "რეალი" სპორტულ კრიზისშია.

გასულ კვირას "რეალმა" სანტანდერის "რასინგთან" წააგო - 0:2. ამას მოჰყვა ჩემპიონთა ლიგის მატჩი ათენის "აეკთან", რომელიც სამეფო კლუბმა შინ ვერ დაამარცხა და 2:2-ს დასჯერდა. გასულ შაბათს კი "რეალმა" ისევ ვერ გაიმარჯვა. "სამეფო კლუბმა" "ვილარეალს" უმასპინძლა და მხოლოდ ულიმღამო ფრეს მიაღწია – 1:1. მატჩის 22-ე წუთზე ზიდანმა მასპინძლები დააწინაურა. პირველი ტაიმის მიწურულს "რეალის" კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც გამოიყენა კიდეც ხავიერ ლოპეს ვალეხომ. "რეალი" ღრმა კრიზისშია!" – წერდა გაზეთი "As". "ვილარეალთან" მატჩში დელ ბოსკემ სათადარიგოთა სკამზე დატოვა რაული და მორიენტესი, სამაგიეროდ, ითამაშა რონალდომ, რომელმაც ვერც ამჯერად გამოიჩინა თავი. "ალავესის" წინააღმდეგ ბრაზილიელს ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა "რეალის" შემადგენლობაში - მან ორი გოლი გაიტანა. თუმცა, ამ მატჩის შემდეგ რონალდო ვერც ჩემპიონთა ლიგაში და ვერც ესპანეთის ჩემპიონატში ვერ გამოირჩევა განსაკუთრებით კარგი თამაშით. "რონალდოსთან დაკავშირებით მოთმინება გვმართებს. მას დრო სჭირდება, რათა გუნდს შეეწყოს", - განაცხადა დელ ბოსკემ "ვილარეალთან" მატჩის შემდეგ.

"რეალისგან" განსხვავებით, ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა კატალონიურმა "ბარსელონამ". "ბარსამ" საკუთარ მოედანზე უმასპინძლა "ალავესს" და გაიმარჯვა 6:1. პატრიკ კლუივერტმა (16`, 25` და 79` წუთებზე), გაიცკა მენდიეტამ (თერთმეტმეტრიანი 35` წუთზე), ლუის ენრიკემ (40`) და ხავიმ (64`) ექვსი ბურთი გაიტანეს ბასკების კარში და მხოლოდ ერთი გოლი მიიღეს - იბონ ბეგონამ 53-ე წუთზე გადაარჩინა "ალავესის" პრესტიჟი. მატჩის შემდეგ კმაყოფილებას არ მალავდა ლუი ვან გაალი, რომელსაც უკანასკნელ მატჩებში "ბარსელონას" წარუმატებლობის გამო ბევრი კრიტიკა ხვდა წილად. "ჩვენ ძალიან მოწესრიგებულად ვითამაშეთ. გუნდმა მატჩის ყველა მონაკვეთში აჩვენა, რომ გამარჯვების დიდი სურვილი ჰქონდა. გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა, რაც ძალიან მიხარია", - ამბობდა ვან გაალი.

სიხარულის საბაბი ჰქონდა ლა კორუნიის "დეპორტივოსაც". ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მიუნხენის "ბაიერნის" წინააღმდეგ, "დეპორმა" სტუმრად დაამარცხა "რაიო ვალეკანო" - 2:1 და ორმატჩიანი წარუმატებლობების სერია გამარჯვებით დაასრულა.

ბრწყინვალე ფორმაშია ესპანეთის ჩემპიონი "ვალენსია", რომელმაც უკანასკნელ ტურში საკუთარ "მესტალიაზე" 5:1 დაამარცხა ბილბაოს "ატლეტიკი". გოლები გაიტანეს პაბლო აიმარმა (5`, 28`, 43` წუთებზე), ჯონ კარეუმ (7`) და ფაბიო აურელიომ (თერთმეტმეტრიანი 48` წუთზე).

მორიგი მატჩი მოიგო ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილის სათავეში მყოფმა "რეალ სოსიედადმაც". გიორგი დემეტრაძის ყოფილმა კლუბმა სანტანდერის "რასინგს" უმასპინძლა და გაიმარჯვა - 2:1. "სოსიედადს" 17 ქულა აქვს, მეორე ადგილზე კი "ვალენსიაა", რომელიც 3 ქულით ჩამორჩება ლიდერს. მესამეზეა "სელტა", ასევე 14 ქულით. მადრიდის "რეალი" მე-4 ადგილზეა (12 ქულა). დიდი ანგარიშით გამარჯვების მიუხედავად, კატალონიური "ბარსელონა" მე-8 ადგილს უნდა დასჯერდეს (11 ქულა).

## იტალია, VII ტური: ბირჰოფმა შური იძია

*26 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| კიევო – მილანი | 3:2 |
| იუვენტუსი – უდინეზე | 1:0 |

*27 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| ბრეშა – კომო | 1:1 |
| ინტერი – ბოლონია | 2:0 |
| პარმა – ატალანტა | 2:1 |
| პერუჯა – მოდენა | 2:0 |
| პიაჩენცა – ემპოლი | 1:2 |
| რეჯინა – ტორინო | 2:1 |
| ლაციო – რომა | 2:2 |

წლევანდელ სეზონში, თავისი მეორე გოლის წყალობით, ოლივერ ბირჰოფმა თავის ექს-კლუბს, "მილანს", სეზონის პირველი დამარცხება აგემა, რითაც მილანელებმა ჩემპიონატის ცხრილის სათავეში ადგილი დაკარგეს და თანაქალაქელ "ინტერს" დაუთმეს. "ცხადია, მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ განსაკუთრებულ სიამოვნებას მაინც ვერ ვგრძნობ, რადგან "მილანი" ძველებურად მიყვარს", - განაცხადა მატჩის შემდეგ 34 წლის თავდამსხმელმა. ბირჰოფმა "მილანს, თავისი ახალი კლუბის, "კიევოს" შემადგენლობაში უმასპინძლა და ვერონული კლუბის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა. კახა კალაძის გუნდმა ვერონაში 2:3 წააგო. "კიევომ" "მილანი" მიწაზე დააბრუნა", - წერს გაზეთი "Corriere della Sera". მწვრთნელი კარლო ანჩელოტი "მილანის" დაცვას აკრიტიკებდა, თუმცა, თავისი გუნდის დამარცხებას არცთუ ისე ტრაგიკულად მიიჩნევდა და კმაყოფილიც კი ჩანდა იმით, რომ გუნდს დაუბრუნდა ანდრეი შევჩენკო, რომელმაც "კიევოს" კარში გოლიც გაიტანა.

მატერაცისა და ვიერის გოლების წყალობით, ცხრილში დაწინაურების შანსი ხელიდან არ გაუშვა "ინტერმა" და "ბოლონია" შინ დაამარცხა – 2:0.

მდგომარეობა გაიუმჯობესა ტურინის "იუვენტუსმაც", რომელმაც საკუთარ "დელო ალპიზე" "უდინეზეს" მინიმალური ანგარიშით – 1:0 მოუგო და ცხრილში 13 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

მეოთხე ადგილზეა რომის "ლაციო", რომელმაც კვირას, 119-ე რომაულ დერბიში, "რომას" უმასპინძლა და 2:2-ზე დაუზავდა.

## ინგლისი, XI ტური: "ლივერპული" ისევ ლიდერობს, "არსენალი" მინი-კრიზისშია

*26 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| არსენალი – ბლექბერნი | 1:2 |
| ბირმინგემი – მან. სიტი | 0:2 |
| ჩელსი – ვესტ ბრონვიჩი | 2:0 |
| ლივერპული – ტოტენჰემი | 2:1 |
| მანჩესტერი – ასტონ ვილა | 1:1 |
| მიდლსბრო – ლიდსი | 2:2 |
| ნიუკასლი – ჩარლტონი | 2:1 |

*27 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| საუთჰემპტონი - ფულემი | 4:2 |
| ვესტ ჰემი – ევერტონი | 0:1 |

*28 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| ბოლტონი – სანდერლენდი | 1:1 |

"პრემიერ ლიგაში" აღებულ შესანიშნავ სტარტს "არსენალის" რიგით მესამე დამარცხება მოჰყვა უკანასკნელ ტურში. ეს, ალბათ, უკვე კრიზისს ნიშნავს. ლონდონელებმა ამჯერად "ბლექბერნს" უმასპინძლეს და 1:2 დამარცხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მიწურულს სტუმრებს უმცირესობაშიც კი მოუხდათ თამაში – მოედნიდან გააძევეს გარი ფლიტკროფტი. პირველი ტაიმის მთავარი მოქმედი პირი "არსენალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ედუ იყო. მატჩის მე-6 წუთზე ედუმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ტაიმის მიწურულს კი "ბლექბერნს" გაუტანა და წონასწორობა აღადგინა, თუმცა, ექს-მანჩესტერელმა დუაიტ იორკმა 51-ე წუთზე "არსერნალის" კარში მეორე ბურთიც გაიტანა და "ბლექბერნს" გამარჯვება მოუტანა. "ცოტა ხნით ადრე ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი", - განაცხადა "არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა მატჩის შემდეგ.

"არსენალის" მარცხი კარგად გამოიყენა ინგლისის ჩემპიონატის ლიდერმა "ლივერპულმა" და ლონდონელებთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა. "ლივერპულმა" "ტოტენჰემს" უმასპინძლა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მატჩი ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე მაიკლ ოუენმა "ტოტენჰემის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა და "ლივერპულს" მორიგი გამარჯვება მოუტანა. "მას შემდეგ, რაც "ტოტენჰემმა" ანგარიში გაათანაბრა, ჩემი გუნდი არ დაიბნა და მაინც გაიმარჯვა. შესანიშნავი იყო ის, თუ როგორ დაიმსახურა მაიკლმა (ოუენი) თერთმეტმეტრიანი", - განაცხადა კმაყოფილმა ჟერარ ულიემ მატჩის შემდეგ. ამ გამარჯვებით "ლივერპული" რჩება "პრემიერ ლიგის" ერთადერთ გუნდად, რომელიც წლევანდელ სეზონში არ დამარცხებულა. "ლივერპულს" 27 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ "არსენალს" 4 ქულით უსწრებს. მესამე და მეოთხე ადგილებს 19-19 ქულით "ჩელსი" და "მანჩესტერი" ინაწილებენ.

ალექს ფერგიუსონის გუნდი საკუთარ მოედანზე "ასტონ ვილასთან" წაგებას არგენტინელი დიეგო ფორლანის 86-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით გადაურჩა – 1:1. მატჩის შემდეგ მანჩესტერელთა მწვრთნელი არ მალავდა უკმაყოფილებას, თუმცა, ნასიამოვნები ჩანდა ფორლანის თამაშით. "დიეგოს დღეს ჰეტ-თრიქის გახერხებაც შეეძლო", - განაცხადა ფერგიუსონმა.

გაუჭირდა "ნიუკასლსაც", რომელიც შინ, "ჩარლტონის" წინააღმდეგ, კინაღამ დამარცხდა კიდეც, თუმცა, ანდი გრიფინმა 37-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეძლო, ლორენ რობერმა კი 59-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა – 2:1.

არ გაუმართლა არც "ლიდსს". მარკ ვიდუკას თერთმეტმეტრიანი დარტყმისა (მე-11 წუთზე) და ლი ბოუერის 56-ე წუთზე გატანილი გოლების წყალობით, ტერი ვენეიბლსის გუნდი "მიდლსბროსთან" გასვლით მატჩში ორჯერ დაწინაურდა, თუმცა, ჯოზეფ დეზირე ჯობმა და გარეტ საუთგეიტმა ორჯერვე შეძლეს წონასწორობის აღდგენა და "მიდლსბროს" ქულა შეუნარჩუნეს – 2:2.

## გერმანია, X ტური: "დორტმუნდი" "ბაიერნის ერთადერთი კონკურანტია

*26 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| არმინია – ჰამბურგი | 2:1 |
| ბაიერნი – ჰანოვერი | 3:3 |
| ჰერტა – ლევერკუზენი | 1:1 |
| მიონხენგლადბახი – მიუნხენ 1860 | 0:1 |
| შალკე – ნიურნბერგი | 1:1 |
| შტუტგარტი – კოტბუსი | 0:0 |
| ვერდერი – დორტმუნდი | 1:4 |

*27 ოქტომბერი*

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი – ჰანზა | 1:0 |

"ბუნდესლიგაში" კვირას ძლიერმა ქარმა დაუბერა – პირდაპირი მნიშვნელობით. ამ დღეს დანიშნული ორი მატჩიდან მხოლოდ ერთი ჩატარდა, "კაიზერსლაუტერნი"-"ბოხუმის" მატჩი კი ქარიშხლის გამო გადაიდო. ჩაშლა ემუქრებოდა "ვოლფსბურგისა" და როსტოკის "ჰანზას" შეხვედრასაც, თუმცა, მატჩი მაინც შედგა და "ვოლფსბურგის" გამარჯვებით დასრულდა – 1:0.

ტურის მთავარი მატჩები კი წინა დღეს, 26 ოქტომბერს ჩატარდა. "ბუნდესლიგის" მეათე ტურმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა მიუნხენის "ბაიერნის" კრიზისული მდგომარეობა. საკუთარ "ოლიმპია შტადიონზე" მიუნხენელებმა აუტსაიდერ "ჰანოვერს" უმასპინძლეს და ვერ გაიმარჯვეს. ჩემპიონატის ცხრილის მე-16 საფეხურზე მყოფმა ჰანოვერელებმა "ბაიერნს" სამი გოლი გაუტანეს და დამსახურებულ ფრეს მიაღწიეს. "აქ რაღაც უნდა შეიცვალოს, მაგრამ არ ვიცი, რა", - განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ბეკენბაუერმა. მწვრთნელი ჰიტცფელდი კი დაჟინებით ამტკიცებს, რომ "ბაიერნში" კრიზისს არ დაუშვებს. არადა, კრიზისი ნამდვილად არის. ამაზე საუბრობს მეჰმეტ შოლიც, რომელმაც განაცხადა, რომ ფეხბურთელებს მოტივაცია აკლიათ. "დეპორტივოსთან" ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მიუნხენელთა პერსპექტივა არცთუ ისე დამაიმედებელია. მიუხედავად ამისა, გერმანიის ჩემპიონატში "ბაიერნი" კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. ალბათ, იმის წყალობითაც, რომ კონკურენცია აშკარად ნაკლებია. ლიდერის ერთადერთი რეალური მდევარია დორტმუნდის "ბორუსია", რომელმაც შაბათს ბრემენის "ვერდერს" თავისივე მოედანზე მოუგო - 4:1. მატჩის გმირად შეიძლება დავასახელოთ ბრაზილიელი ევერტონი, თუმცა, გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვის მწვრთნელს, მატიას ზამერს. მეორე ტაიმში მან როსიცკისა და ამორუზოს ნაცვლად მოედანზე რიკენი და ევერტონი შემოიყვანა. შესანიშნავი გადაწყვეტილებაა – "დორტმუნდის" გამარჯვება სწორედ ამ ორი ფეხბურთელის დამსახურებაა.

"ბაიერნის" კიდევ ერთი მდევარი, გელზენკირხენის "შალკე" შინ "ნიურნბერგს" მასპინძლობდა და მხოლოდ ულიმღამო ფრეს დასჯერდა. გულშემატკივრებმა "შალკე" სტვენით გააცილეს მოედნიდან.

ბერლინში, ფრედ 1:1 დასრულდა "ჰერტასა" და "ლევერკუზენის" მატჩიც. ცხრილის ზედა ხუთეულის წარუმატებლობით კარგად ისარგებლა "მიუნხენ 1860"-მა და მიონხენგლადბახში, ადგილობრივ "ბორუსიასთან" გამარჯვების (1:0) წყალობით მე-7-დან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. მიუნხენელებს მეორე ადგილზე მყოფ "დორტმუნდთან" 3 ქულა აშორებთ. თავის მხრივ, "დორტმუნდს" 20 ქულა აქვს და ლიდერს - "ბაიერნს" ასევე 3 ქულით ჩამორჩება. "ვერდერი", "ჰერტა" და "შალკე", შესაბამისად, ცხრილის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საფეხურებზე არიან.



"რეალის" სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა

# ბეკენბაუერს არ სჯერა...

## ანუ ჰიცფელდი თავს იტყუებს

*დღეს უეფას ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის რვა შეხვედრა გაიმართება. ინტერესი და ინტრიგა საკმარისზე მეტია. თავს მშვიდად გრძნობენ მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედი", "ბარსელონა" და "მილანი". 4 ქვეჯგუფის 10 გუნდი კი მეორე ეტაპზე გასვლის მეტ-ნაკლებად თანაბარ შანსს ინარჩუნებს. უკიდურესად დაძაბულია ვითარება E ჯგუფში - მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივე გუნდს დარჩა. დღეს ბოლოსწინა ტურია. ერთი შეცდომა საბედისწერო იქნება.*

დიმიტრი ობოლაძე

**E ჯგუფი**
**იუვენტუსი - ფეიენოორდი**
**ნიუკასლი - დინამო**

| ჯგუფი E | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:2 | 7 |
| 2 | დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | 7 |
| 3 | ფეიენოორდი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| 4 | ნიუკასლი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ინგლისის "ნიუკასლიც" კი ინარჩუნებს მეორე ეტაპზე თამაშის სავსებით რეალურ შანსს. გუნდი, რომელსაც ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი, დღეს, კიეველთა დამარცხების შემთხვევაში, 6 ქულას მოაგროვებს და, ჰოლანდიელთა დამარცხების შემთხვევაში, ერთი ქულით გაასწრებს როტერდამელებს. დიდია ინტერესი "იუვენტუსისა" და ჰოლანდიელთა მატჩის მიმართ. წინა ტურში "იუვენტუსმა" და "ფეიენოორდმა" წაუგებელი სერია შეწყვიტეს. იტალიელებმა ინგლისში წააგეს, უეფას თასის მფლობელი კი კიევში 0:2 დამარცხდა. ბერტ ვან მაარვიკი მეორედ სტუმრობს ტურინში. პირველი შეხვედრა შედგა 1997 წლის სეზონში, როდესაც მასპინძლებმა 5:1 მოუგეს მეტოქეს. გოლები დელ პიერომ (2), ინძაგიმ, ზიდანმა და ბირინდელიმ გაიტანეს. მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ ტრავმირებულთა სია საკმაოდ გრძელია. დაშავებულები არიან დელ პიერო, მონტერო, პესოტო, ტრეზეგე და ფერარა. თუმცა, დაამატა, რომ დელ პიერო და ფერარა, ალბათ, ითამაშებენ. "ფეიენოორდს" უერთდება ტრავმამოშუშებული ბოსველტი, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩში ითამაშა და გოლიც გაიტანა. სიტუაცია ისეთია, შესაძლოა, ჯგუფში რამდენიმე გუნდმა ერთნაირი ქულები დააგროვოს. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელმაც ერთმანეთში უფრო მეტი ქულა დააგროვა. თუ ეს მაჩვენებელი თანაბარია, ყველაფერს ბურთების შეფარდება გადაწყვეტს. შემდეგ მოდის სტუმრად გატანილი გოლების რაოდენობა. თუ ისიც თანაბარია, ითვლება ჯგუფში გატანილი გოლები და ბოლოს - უეფას კოეფიციენტი.

**F ჯგუფი**
**მაკაბი - მანჩესტერი**
**ბაიერი - ოლიმპიაკოსი**

| ჯგუფი F | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:5 | 12 |
| 2 | ლევერკუზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | 6 |
| 3 | მაკაბი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 |
| 4 | ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 8:12 | 3 |

სერ ალექს ფერგიუსონი მაყურებელს "მანჩესტერ-იუნაიტედის" რეზერვის ჩვენებას შეჰპირდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდში ყველასთვის უცნობი ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ "მაკაბის" სამი ქულა ჯიბეში აქვს. ახალგაზრდა ამბიციური ფეხბურთელები, თანაც, ისინი, ვინც მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას აპირებენ, ორმაგად სახიფათონი არიან. და მაინც, გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს გერმანიის "ბაიერისა" და საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" შეხვედრა. სატურნირო მდგომარეობა ერთია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორი. პირველი ტური. 18 სექტემბერი. "ოლიმპიაკოსი" – "ბაიერი" 6:2. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელმა ფინალისტმა 6 გოლი გაუშვა და არსებობის განმავლობაში, ალბათ, ყველაზე სამარცხვინო და მტკივნეული მარცხი იგემა. ტოპმიოლერმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა თამაშს უმატა და დღეს რევანშის აღებას შეეცდება. თეორიულად, "ოლიმპიაკოსს" ფრეც აწყობს. უკანასკნელ ტურში ბერძნები საკუთარ მოედანზე "მაკაბის" იღებენ და მოგების რეალური შანსი აქვთ. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უმოტივაციოდ დარჩენილმა ფერგიუსონის გუნდმა ტოპმიოლერის "ბაიერს" დიდი ბრძოლა გაუმართოს. ასე რომ, გერმანელები უკეთეს სიტუაციაში არიან. თუ ისინი მოიგებენ, ყველაფერი ნათელი გახდება.

**G ჯგუფი**
**დეპორტივო - ბაიერნი**
**ლანსი - მილანი**

| ჯგუფი G | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| 2 | დეპორტივო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:10 | 6 |
| 3 | ლანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| 4 | ბაიერნი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |

ფრანც ბეკენბაუერს არ სჯერა, ჰიცფელდი კი ჯიუტად ცდილობს გერმანელებისა და საკუთარი თავის "გაბრუებას". მწვრთნელი აცხადებს, რომ მისი გუნდი მაინც გავა მეორე ადგილზე. ამისთვის კი საჭიროა, რომ სასწაული მოხდეს. დღეს "ბაიერნმა" აუცილებლად უნდა მოიგოს. ამის შემდეგ, უკანასკნელ ტურში, "მილანმა", რომელსაც თავი ქუდში აქვს, აუცილებლად უნდა დაამარცხოს ესპანელები. გერმანელებმა კი "ლანსს" უნდა მოუგონ. დღეს "ლანსი" მილანელთა დამარცხებას შეეცდება, რაც, ალბათ, სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, უფრო რეალურია, ვიდრე ჰიცფელდის გუნდის გამარჯვება სტუმრად. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორი ტაქტიკით ითამაშებს ესპანელთა მწვრთნელი ჰავიე ირურეტა - შეუტევს თუ სანუკვარი ზავისთვის იზრუნებს. "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაში იმდენად ცუდად თამაშობს, რომ ძნელი სათქმელია, რომელი ვარიანტი აწყობს ჰიცფელდს.

**H ჯგუფი**
**გალათასარაი - ლოკომოტივი**
**ბრიუგე - ბარსელონა**

| ჯგუფი H | | თ | მ | ფ | წ | ბ.შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| 2 | ბრიუგე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| 3 | გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| 4 | ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

კატალონიელები ბელგიაში ექსკურსიაზე მიდიან და ამას არც მალავენ. არც ერთი ესპანელი ფანი "ბარსას" წაგების შემთხვევაშიც კი ხმას არ ამოიღებს. ეს კარგ შანსს აძლევს ბელგიელებს. ტრონდ სოლიემ უკვე საბრძოლოდ განაწყო გუნდის თითოეული ფეხბურთელი. მასპინძელთა დაცვა შესანიშნავად გამოიყურება. გუნდმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგო (ბარსელონაში 2:3). თურქები კი, შესაძლოა, საკუთარ მოედანზე სწორედ ბელგიელთა წინააღმდეგ უგოლოდ დასრულებულმა შეხვედრამ "დაღუპოს". დღეს ფატიჰ თერიმის გუნდი, ალბათ, მოუგებს "ლოკომოტივს", რომელსაც, მოსკოვის ცნობილი ამბების გამო, მოუწევს, მომდევნო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გამართოს.

*დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2" გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს ტურინიდან, სადაც "იუვენტუსი" როტერდამის "ფეიენოორდს" მასპინძლობს.*

კალათბურთი

# თბილისში ევროპული კალათბურთი ბრუნდება

*30 ოქტომბერს შარშანდელი საკალათბურთო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი თბილისის "დინამო", "ჩელენჯ კაპის" ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში უკრაინის "ხიმიკს" მასპინძლობს. ეს გათამაშება არცთუ ისე ცნობილია. "ჩელენჯ კაპის" პირველ ეტაპზე რვა ჯგუფია. მათგან ორ-ორი გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე გადის. უფრო ზევით კი აიწევენ არა ჯგუფურ ტურნირში, არამედ წყვილებში გამარჯვებული გუნდები. თბილისელებთან ერთად ჯგუფში არიან უკრაინის სუპერლიგაში წლეულს გადასული "ხიმიკი" და აზერბაიჯანის **NTD**.*

დიმიტრი ობოლაძე

## მეოთხე ლეგიონერი

გუშინ თბილისში ჩამოვიდა იუგოსლავიელი კალათბურთელი, 208 სანტიმეტრი სიმაღლის იოგან სიროვინა. როგორც გაირკვა, სიროვინამ, მშობლიურის გარდა, არც ერთი სხვა ენა არ იცის და მასთან გასაუბრება არ მოხერხდა. თუმცა, უფრო საინტერესო იყო მისი საკალათბურთო დონე. იუგოსლავიური სკოლა საყოველთაოდ ცნობილია - ევროპასა და მსოფლიოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თბილისში ჩამოსვლიდან რამდენიმე საათში იოგან სიროვინამ პირველ ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა. იგი ცაციაა, საკმაოდ სწრაფი და აშკარად ეტყობა იმ სკოლის გავლენა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. რამდენად რეალურია მისი გამოჩენა მოედანზე უკრაინელთა წინააღმდეგ? დინამოელთა მწვრთნელები და კალათბურთელები ერთსულოვანნი არიან: ახალწვეულმა უნდა ითამაშოს. "დინამოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა გელა დარსაძემ კი განაცხადა, რომ სიროვინა საგანგებოდ "ჩელენჯ კაპისთვის" ჩამოვიდა თბილისში. გეგმაში იყო კიდევ ერთი კალათბურთელის ჩამოყვანა, მაგრამ დაბრკოლებად იქცა ფინანსური მხარე (აგენტებმა ბევრი მოითხოვეს). ამიტომაც დღეს "დინამოში" მხოლოდ ოთხი ლეგიონერია: კამერუნელი აჰმედ მუპე, სომეხი არმენ ოგანესიანი, ლიტველი ტომას ვენსკუნასი და იოგან სიროვინა. სხვათა შორის, ოგანესიანი ძალიან გამოაცოცხლა იუგოსლავიელის გამოჩენამ. ორმხრივი თამაშის დროს სიროვინას ლიტველი მეურვეობდა და ამას საკმაოდ ძალისმიერი მეთოდებით აკეთებდა. იუგოსლავიელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი შორიდანაც კარგად ისვრის და ზუსტი პასის მიცემასაც არ აგვიანებს. ერთი რამ ცხადია: მან იცის კალათბურთის თამაში. საინტერესოა, როგორ ითამაშებს სიროვინა 30 ოქტომბერს. აკლიმატიზაციის პერიოდის ყველაზე მძიმე - მესამე დღე - სწორედ 30 ოქტომბერია.

## მეტოქე

უკრაინის "ხიმიკი" წლეულს გადავიდა უმაღლესს, ანუ სუპერლიგაში და პირველი ტურები საკმაოდ კარგადაც ჩაატარა. "ხიმიკმა" პირველი სამი მატჩი მოიგო. გუნდს ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს. უკრაინის კლუბს ხორვატი მწვრთნელები ავარჯიშებენ, მოედანზე კი ასევე ხორვატები – 206-სანტიმეტრიანი ჟივკოვიჩი და 1976 წელს დაბადებული გამთამაშებელი დანილო ფატიჩი ქმნიან ამინდს. "დინამოს" მწვრთნელებმა და კალათბურთელებმა ერთად ნახეს უკრაინელთა უკანასკნელი შეხვედრების ვიდეოჩანაწერი. ქვეყნის ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრას "დინამოს" წარმომადგენელიც დაესწრო. ყველა აღნიშნავს გამოცდილი ჟივკოვიჩის (იგი 30 წლისა) უნივერსალიზმს. როგორც ამბობენ, მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე ხორვატი, ფატიჩი, 197 სანტიმეტრი სიმაღლისაა, თორთლაძესა და ჟღენტს სერიოზული ბრძოლა მოუწევთ. აღსანიშნავია ისიც, რომ დანილო ფატიჩი შორიდან საუცხოოდ ტყორცნის. მიმდინარე სეზონის მიხედვით "ხიმიკის" ლიდერი ამ მაჩვენებლით მესამე ადგილზეა. მოკლედ, უკრაინელებს უპირატესობა აქვთ სიმაღლეში და ჰყავთ სწრაფი გამთამაშებელი. იმედის მომცემია ის გარემოება, რომ "ხიმიკმა" ჩემპიონატის უკანსკნელი ოთხი მატჩი წააგო. 10 თამაშიდან გუნდს მხოლოდ ოთხი აქვს მოგებული.

## "დინამოს" გადაწყვეტილება

შეხვედრა გაიმართება ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო სასახლეში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საკალათბურთო კლუბის, თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ. უკანასკნელ დღეებში სასახლეში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მცირე სარემონტო სამუშაოები, რომლის ხარჯებიც "დინამომ" გაიღო. როგორც გვითხრეს, გასახდელები მატჩის დროს მზად იქნება. რაც შეეხება იმას, რომ სპორტის სასახლე ვერის ბაღის სასახლით შეიცვალა, ეს გადაწყვეტილება, ალბათ, გამართლებულია - სპორტის სასახლეში არ იკრიბება იმ რაოდენობის მაყურებელი, რომელიც მეტოქეს "დააშინებდა". სამი ათასის შეკრების შემთხვევაშიც კი ცარიელი ტრიბუნების შთაბეჭდილება იქმნება. ვერის ბაღში მდებარე სასახლე კი 2100 ადამიანს იტევს, რაც ტრიბუნების შევსების საშუალებს იძლევა. "24 საათთან" საუბარში ყველა კალათბურთელმა გამოთქვა იმედი და სურვილი იმისა, რომ ტრიბუნები შეივსება. ბილეთის ფასი 2 ლარია. მატჩი 19 საათზე დაიწყება.

# თბილისელი სტუდენტების გამოფენა დრეზდენში



E1 ანი ნიჟარაძე ასაკი-16, 164/88/63/88, თვალის-ყავის, თმა-წაბლის



E2 ანი ალექსიშვილი ასაკი-17, 174/89/60/90, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის



E3 ელენე ლომსაძე ასაკი-16, 169/87/62/89, თვალის-ყავის, თმა-ნაბლის



E4 ხათუნა შენგელია ასაკი-19, 169/84/65/91, თვალის-თაფლის, თმა-მუქი ნაბლის



E5 ვანდა ვიტმანი ასაკი-19, 170/84/60/89, თვალის-ყავის, თმა-ღია ნაბლის



E2 ანა ორშოვსკაია ასაკი-23, 163/92/60/90, თვალის-ნაცრისფერი, თმა-ქერა

# TV პროგრამა 29 ოქტომბერი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.35 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
03.00 კლასიკა.

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
09.55 მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "ფარაონი"
16.35 დოკ. ფილმი "სტამბული"
17.25 სერიალი "ძილის წინ"
17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "სათავეებთან"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "მიყვარს"

## პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.45 მხ. ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "ჩემი აღფრთოვანების ობიექტი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირობანა
23.00 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ზარი".
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "და მოვიდა ოზოზა".
03.10 ნონ-სტოპი

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 დოკუმენტური ფილმი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ნუ გააღვიძებთ მძინარე პოლიციელს"

## ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "დაიჭირეთ ბოტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25, 21.30 "სალონი"
14.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "სიყვარულის გზავნილი"

## იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "ცისფერთვალება მიკი"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. "სასტიკი თამაშები 2"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "პარფიუმი"
22.30 ძველი კინო "ვესტსაიდის ისტორია"
00.50 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ.ფილმი "თავში უქრის"
13.30 მხ. ფილმი "დრაკონის კოცნა"
15.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "მრბოლელი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "გლადიატორი"

## მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი" მე-7 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" 35-ე სერია
11.15 მხ. ფილმი "საჰაერო მონადირე"
12.45, 16.15, 23.50 მუსიკა
13.00 დოკ. ფილმი "პირველი მსოფლიო ომი"
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
14.45 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 1"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" მე-13 სერია
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი" მე-8 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 36-ე სერია
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "წმინდა პეტრეს ტაძარი, ვატიკანი".
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "დავიწყებული ფული"
00.20 მხ.ფ. "ორეული".

## აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "შეშლილი პროფესორი-2"
14.00 დრამა "ტელევიქტორინა"
16.15, 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი "ბემბი"
17.30 კომედია "მისტერ პიტკინი მტრის ზურგში"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული მხატვრული ფილმი "სად არის შენი ბედნიერება, მზია"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.30 საინფორმაჯიო გამოშვება "ნოვოსტი"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 სათავგადასავლო ფილმი "ექიმბაში"
03.30 მელოდრამა "ქალბატონის პორტრეტი"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.35 "აჩიკუდა"
10.00 "ბედნიერი ერი"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 1
10.45 "ავტოტრეკინგი"
11.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით)
12.05 ანიმაცია 12.55 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
13.25 "ბიორითმი" - რიკი მარტინი
13.45 დისნეი და მისი მეგობრები
14.05 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 "ღამის კაპრიზი"
22.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო - ვიდეო -ტელე
22.45 "კინოკლუბი" - "ჩვენნაირი ხალხი" მე-2 სერია.
00.20 პრესის მიმოხილვა
00.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
01.10 "ბიორითმი" - რიკი მარტინი
01.35 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 Независимое расследование
12.00 "Фабрика звезд"
12.25 "Ералаш"
12.35 Дисней-клуб
13.15 Детектив "РЕЦЕПТ УБИЙСТВА"
15.05 Жди меня
16.15 "Фабрика звезд"
16.50 Худ.фильм "КЛЕТКА", 1 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Смехопанорама"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
21.00 "ПОСЛЕДНИЙ ГЕРОЙ 2"
22.00, 01.00 Время
22.40 Худ.фильм "КЛЕТКА", 2 с.
23.45 "Тайны века". "Афера Ильича"
00.30 "Фабрика звезд"
01.15 Самозванцы. В погоне за царским золотом"
02.00 "Завещание желтого предка"
02.25 "Формула власти". Президент Словении
02.55 Триллер "ПОХИЩЕНИЕ В РАЮ"

## РТР

06.45 "Доброе утро, Россия!".
09.45 Сериал "ТАЙГА"
10.45 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ"
11.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 ВЕСТИ.
12.20 Ток- шоу "Цена успеха".
13.15 "КОМИССАР РЕКС". Телесериал
14.15 "Экспертиза".
14.30 "Колоссальное хозяйство".
14.45 ВЕСТИ-МОСКВА.
15.20 "Что хочет женщина"
16.20 "СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ".
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
18.20 сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.20, 21.35 ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 Сериал"ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "ТАЙГА".
22.50 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ".
00.00 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
00.30 х.ф."ПАДЕНИЕ" (Испания). 2000г.
02.15 "Дорожный патруль".
02.25 "Горячая десятка".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.